



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია შურას ასული ბაცანაძე

ნასესხებ სიტყვათა ტიპოლოგიური სტატუსი
 თანამედროვე ფრანგულ ენაში
 /თანამედროვე ანგლო-ამერიკანიზმები
 90-იანი წლების ფრანგულ პრესაში/

10.02.07. რომანული ენები

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი თ ნ ა შ რ თ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
 სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
 პროფესორი ი. ფხაკაძე

თბილისი

1994

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თავი I. თანამედროვე ფრანგული ენის სტატუსი და მასზე ანგლო-ამერიკულის ზეგავლენა	8
თავი II. ნიშანთა თეორია	47
თავი III. ლექსიკონი	86
დასკვნები	137
გამოყენებული საენათმეცნიერო ლიტერატურა	141
გამოყენებული ლექსიკონები	145
გამოყენებული პრესა	146

შ ე ს ა გ ა ლ ი

ნასესხებ სიტყვათა საკითხი ენათმეცნიერებაში ყოველთვის შეისწავ-
 ლებოდა ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით და დაიყვანებოდა ძირითადად ამა თუ
 იმ ენაში ამ სიტყვათა ადრესსება-ადრესცხვამდე და მათი ეტიმოლოგიური რუბ-
 რიკის განსაზღვრამდე, რასაც შედეგად მოჰყვებოდა კონკრეტული ენიდან ნა-
 სესხებ სიტყვათა ლექსიკონის შექმნა, რასაც უთუოდ უადრესად დიდი სარ-
 გებლობა მოჰქონდა, ვინაიდან ასეთი საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა
 მრავალი ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომლებიც შეიცავს კონკრეტულ ენა-
 თა შესახებ დაგროვილი დიდი მოცულობის ღრმა ენციკლოპედიურ და ენისმიერ
 ცოდნას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა დღესაც, თუმცა ენათმეცნიერე-
 ბაში ჩამოყალიბდა ისეთი კონცეფციებიც, რომლებშიც ადამიანის ენისმიერი
 ქმედების იმ სფეროებს მიეძევა ყურადღება, რომლებიც ადრე ან საერთოდ არ
 მიიღებოდა მხედველობაში, ან სათანადოდ არ შეისწავლებოდა. სწორედ ასეთ-
 მა მდგომარეობამ განაპირობა ნასესხებ სიტყვათა ამა თუ იმ ენაში შედ-
 წევის, იქ დამკვიდრებისა და ფუნქციონირების პროცესების ისტორიულ-სო-
 ციალური, ფსიქოლოგიური და ენისმიერი ფაქტორების გამყოფა-დადგენისა და
 გაანალიზების აუცილებლობა, რაც ძირითადად შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც
 ნასესხებ სიტყვათა, ამ შემთხვევაში ანგლოციზმების, ტიპოლოგიური სტატუს-
 სის დადგენის ცდა. ასეთი თვალსაზრისი გულისხმობს მსესხებელი ენის
 საერთო წონასწორობის მდგომარეობას, მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტთა
 ფსიქოლოგიურ განწყობილებას, ე.ი. მათი ცნობიერების მდგომარეობას საერ-
 თოდ, ან განსაზღვრულ ჯგუფებზე დაყრდნობით, ნასესხებ ერთეულთა ფუნქციო-
 ნირებას კომუნიკაციის ნებისმიერ დონეზე (სფეროში) და ენობრივი სისტემის
 თვალსაზრისით დიაქრონიული და სინქრონული ფარდობითი წონასწორობის პირო-
 ბებში გათვალისწინებას. ყველა მოხსენებული ფაქტორი მიიღება მხედველო-
 ბაში ანგლოციზმების, ანუ ინგლისური (ამერიკული ვარიანტიც) სიტყვების
 ტიპოლოგიური სტატუსის დასადგენად თანამედროვე ფრანგულ ენაში. სტატუსი
 განისაზღვრება, როგორც მოცემული ნასესხებები ელემენტის ადგილი თანამედროვე



ფრანგული ენის სისტემაში. (ზოგიერთი განმარტებით - როგორც ნერვული სისტემის ნაწილი). ასეთია მოცემული გამოკვლევის მიზანი. ანგლიციზმების და საერთოდ ნასესხებ სიტყვათა პრობლემატიკას თანამედროვე ენათმეცნიერებაში ზემოთხსენებული თვალსაზრისით ჯერ არავინ მიდგომია, რასაც მოწმობს თვით ნაშრომის სათაური, მოხსენებულ საკითხთა ჩამოთვლა-წამოყენება.

კვლევის მასალად ძირითადად აღებულია 90-ანი წლების ფრანგული პრესა (გაზეთები, ჟურნალები), გინაიდან აქ ყველაზე მეტად აისახება ენათშორისი ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობის ქმედითუნარიანობა (დინამიკა), რომელიც ზოგადად შეიძლება დავახასიათოთ როგორც მწვანე შუქის, ანუ ღია დერეფნის პოლიტიკა, გინაიდან ფრანგულ ენაში ყოველდღიურად შემოდის ათობით ინგლისური სიტყვა, რომელიც იქ ფეხს ვერ იკიდებს და ქრება.

მასალის წარმოდგენის ჩვენეული პრინციპი ძირითადად იმ ინგლისურ სიტყვათა ლექსიკონში აისახა, სადაც აღნუსხულია ის სიტყვები, რომლებიც ჯერ-ჯერობით დამატებულია ფრანგულ ენაში, თუმცა მათი განსაზღვრული რაოდენობა უახლეს ლექსიკონებში ჯერ არ არის ადრიცხული და შესაბამისად არც მათი ფრანგული განმარტება, არც ენობრივი გაფორმება არ არის მოცემული; ასეთ შემთხვევაში ვკმაყოფილებით ჩვენი განმარტებით.

რაც შეეხება მსატერულ ლიტერატურას, აქ მდგომარეობა შედარებით ნორმალურია, თუ ავტორი არ არის გატაცებული რაღაც განსაკუთრებული სტილის გამოყენებით თავის ნაწარმოებებში. ყოველ შემთხვევაში, ფრანგული სალიტერატურო ენა შორსაა იმ ქაოსიდან, რაც სალაპარაკო ენასა და პრესის ენაში სუფევს.

უცხო სიტყვათა შედწევა განსაზღვრულ ენაში, ნიშნავს ამ ენობრივი ერთეულის მიერ განსაზღვრული პოზიციის დაკავებას და სათანადო სტატუსის მოპოვებას (ზოგჯერ ნეოლოგიზმისას). ყველა შესაძლო შედეგი, რაც ამ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს, აუცილებელს ხდის მის შეფასებას და გაანალიზებას განსხვავებული თვალთახედვის პოზიციებიდან.

ენისმიერი თვალსაზრისის პოზიციიდან, უპირველეს ყოვლისა, გასარკვე-



გია, თუ რა პოზიციას დაიჭერს ნასესხები ერთეული ენის ნებისმიერ ნებზე (იგულისხმება ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის და სემანტიკის დონეები). თითოეული ეს დონე თავისებურ პრობლემებს წამოაყენებს და მოითხოვს მათ თავისებურად გადაჭრას.

ა) ფონეტიკის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის ბგერითი გაფორმების საკითხი.

ბ) მორფოლოგიის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის გრამატიკული კატეგორიებით გაფორმების საკითხი.

გ) სინტაქსის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის სელექციური მახასიათებლებით აღჭურვის საკითხი.

დ) სემანტიკის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის სემიოლოგიური სტატუსის გარკვევის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, როგორი არსი ენიჭება ნასესხებ ერთეულს, მიიჩნევა იგი ნიშნად თუ წარმოგენის სხვა სახეს ენიჭება უპირატესობა.

ე) პრაგმატიკის დონეზე ყურადღების ცენტრში ექცევა ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ნასესხები ერთეულის ფუნქციონირებას. მხოლოდ, აქაც აუცილებელია გარკვეული პოზიციის არჩევა - რომელ ფსიქოლოგიურ კონცეფციაზე დაფუძნებულ ენობრივ თეორიას მივანიჭებთ უპირატესობას : პროცესუალურ სემანტიკას, ფრეიმულ სტრუქტურებს თუ მეტყველების აქტებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ყველა დასახელებული პრობლემის საფუძველს წარმოადგენს ენობრივი ფარდობითობა, ვინაიდან ნასესხები ერთეულის შესვლა ერთი ენიდან მეორე ენაში მოასწავებს ერთი ენობრივი მსოფლმხედველობიდან განსხვავებულ ენობრივ მსოფლმხედველობაში უხეშ შეჭრას, ანუ, როგორც ახლა ძალიან ხშირად ვამბობთ, სამყაროს ერთი ენობრივი სურათიდან (ხატიდან) მეორეში გადასვლას. საინტერესოა, როგორი კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ნასესხებ ერთეულთა ფუნქციონირება მიმდებ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტთა მიმართ, როგორი ახალი პარამეტრები და შესაბამისი ტერმინები შეიძლება შემოვიდეს ხმარებაში საკითხისადმი სინქრო-



ნული თუ დიაქრონული სისტემების მიდგომის თვალსაზრისით, გინაიდან ნასესხება ერთეულთა მიმართ ორივე მოხსენიებული მიდგომა ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დიაქრონიკაში სტყვათმარაგი გაწონასწორებული სიმშვიდის მდგომა-რეობაში იმყოფება, სინქრონიკაში იგივე სიტყვათმარაგი მუდმივ მოძრაობაში, არამყარი წონასწორობის მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ძირითადი ენობრივი კონცეფცია შემდეგ დონეებად ლაგდება :

ა) არჩეული ენობრივი სისტემის გამოსახატავად მივმართავთ გენე-რაციულ-ტრანსფორმაციულ გრამატიკას ენის ბაზისური კომპონენტის წარმოსადგენად.

ბ) ვიყენებთ ბაზისური კომპონენტის შესაბამის მორფოლოგიურ წესებს

გ) მივმართავთ ლექსიკურ ერთეულთა შევსების წესებს.

ამის შემდეგ, უკვე, უშუალოდ გადავდივართ გარკვეული ნასესხები ენობრივი ერთეულის ტიპის ანალიზზე : ენობრივი ერთეული განიხილება როგორც ნიშანი და მხედველობაში მიიღება აქედან გამომდინარე ყველა შემდეგი, როგორც სემანტიკის, ასევე პრაგმატიზმის თვალსაზრისით.

ნასესხები ერთეულის, როგორც ენობრივი ნიშნის დადგენის შემდეგი საფეხურია რწმენისა და ცოდნის გამომხატველ წინადადებებში ამ ერთეულთა სინონიმიის საკითხი შესაბამის ფრანგულ ექვივალენტებთან.

და ბოლოს, დადგენილია იმ ფაქტორთა შეფარდებითი სიმრავლე, რომელთა აღრიცხვა ხერხდება ენობრივი მარაგის განუწყვეტელი მოძრაობის პირობებში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან :

I თავში განხილულია "franglais" -ს პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

II თავში განხილულია არჩეული ენობრივი სისტემა, შესაბამისი სემანტიკური კონცეფცია და წარმოდგენილია ფრანგული და ინგლისური ენების შედარებითი სურათი.

III თავში განხილულია იმ ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი, რომლებიც აღრიცხული და გაფორმებულია ფრანგულ ენაში. მოცემულია ამ ლექსიკონის შედგენის გრამატიკული და სემანტიკური პრინციპები.

ამავე თავში აღწუსებულია იმ სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც მოძრაობს ფრანგულ ენაში და აღწუსებულია მხოლოდ მეტყველების აქტებში (მის განსხვავებულ ფორმებში).

დასკვნებში განზოგადებულია კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები.



თ ა ვ ი I

თანამედროვე ფრანგული ენის სტატუსი

და მასზე ანგლოამერიკულის ზეგავლენა

XIX საუკუნის ბოლოდან საფრანგეთში მწვავე მსჯელობის საგნად იქცა ეროვნული ენის ბედი. საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ტრადიციული ლიტერატურისა და სალიტერატურო ნორმის მცოდნეთა წრეში ხშირად გაისმის საუბარი ფრანგული ენის კრიზისის შესახებ. ამ საკითხებს მიეძღვნა გერმანელი ენათმეცნიერის ი.კლარეს სტატია, სადაც გაანალიზებულია ფრანგულ ენაში ანგლო-ამერიკულის შერევის საკითხი და რ. ეტიაშლის წიგნში "Parlez-vous français" - დასმულ პრობლემათა წრე. ეს გამოკვლევა საუკეთესო წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ განიხილება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნასესხებ სიტყვათა საკითხი. საყურადღებოა აგრეთვე ფრანგული ეროვნული ენის დღევანდელი მდგომარეობა, სადაც ურთიერთმიმართებამ სალიტერატურო და სალაპარაკო ენას შორის გარკვეულ კრიზისულ მდგომარეობას მიადწია, რაც ფრანგულ ენაზე განსაკუთრებული ისტორიული ზრუნვის შედეგია. ისეთი ყოველმხრივ ნორმირებული და დაცვენილი ენისათვის, როგორც ფრანგულია, დღევანდელი ანგლო-ამერიკული ენობრივი ექსპანსია ჭეშმარიტად დრამატულ მდგომარეობას ქმნის და სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს, რასაც მოწმობს 1994 წლის მაისში მიღებული კანონპროექტი ფრანგული ენის დაცვის თაობაზე.

ფრანგული ენის სხვადასხვა ფორმები, სალიტერატურო ენით დაწყებული და სალაპარაკო ენის ფორმებით დამთავრებული, იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ დიდი კულტურული წარსულის მქონე კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ფრანგული ენა კრიზისულ სიტუაციაში იმყოფება. იმასაც კი ამტკიცებენ, რომ თითქოს ფრანგული უკვე მკვდარი ენაა, une langue morte, რომელმაც არ გამოიყენა შინაგანად, თავის თავში



განახლების შესაძლებლობა. რეიმონ კენო, რომელიც 1951 წლიდან კურის აკადემიის მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, ამტკიცებს, რომ დღეს ფაქტიურად ყოველი ფრანგი ორენოვანია. Langue écrite (სამწერლობო ენა) მკვეთრად უპირისპირდება Langue parlée -ს (სალაპარაკო ენა). მოსწავლეებს სკოლაში თითქმის ისევე ასწავლიან langue écrite -ს, როგორც უცხო ენას, რაც იმის სიმბტომატური ნიშანია, თუ რამდენად დაშორდა ერთმანეთს დროთა განმავლობაში ფრანგული ენის სხვადასხვა ფორმები, ერთი და იმავე ენის ვარიანტები. რთული სიტუაციიდან გამოსავალს კენო ხედავს არა თავდაცვით მოქმედებაში, არა ტრადიციული სალიტერატურო ენის სალაპარაკო ენის ზეგავლენისაგან გასამიჯნავად იზოლაციაში, არამედ langue parlée -ს საშუალებით თანამედროვე სალიტერატურო ენის სტატუსის აწევასში. ორელიენ სოფაჟომ, ენათმეცნიერმა, წიგნში "Français écrit, français parlé" (ფრანგული სამწერლობო და სალაპარაკო ენა) მსგავსი დაძაბული სიტუაცია მეცნიერულად განიხილა.

ეცნება, რომ ეს არადაბაკმაყოფილებელი სიტუაცია გამოიწვია არასაკმარისმა ენობრივმა განათლებამ და აგრეთვე საფრანგეთის სასკოლო სისტემის ნაკლოვანმა მხარეებმა. თუ ბ.ტ.სოცის სიტყვებს გამოვიყენებთ, რაც იტალიურს ეხებოდა, სალიტერატურო ენა იმიტომ არ არის პოპულარული, რომ თვითონ ლიტერატურა არ არის პოპულარული, და ლიტერატურა კი იმიტომ არ არის პოპულარული, რომ სალიტერატურო ენა არ არის პოპულარული.

მიუხედავად ამისა, ამ მოჯადოებული წრიდან გამოსავალის მოძებნა შესაძლებელია მხოლოდ საქმით, მხოლოდ მიზანდასახული დონისძიებებით. ზოგიერთი დოქტრინერი თეორეტიკოსი ცდილობს გაუთანაბროს ერთმანეთს ლიტერატურული ენისა და დღევანდელი სალაპარაკო ფრანგული ენის ფორმები. ეს კრიტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ შეაჩერონ ფრანგული სალიტერატურო ენის უძრავობის, გაყინვის პროცესი, ე.ი. სალიტერატურო ენად, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მიიჩნევა არა მარტო ბელეტრისტიკის ენა, არამედ საგაზეთო და სამეცნიერო ლიტერატურის ენაც. იმისათვის, რომ ფრანგული სალიტერატურო ენა ფრანგი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის



არ იქცეს უცხო ენად, ფრანგული ენა მუდმივ სიახლეებს, განახლებებს
საჭიროებს. როგორც შარლ ბალიმ იწინასწარმეტყველა ფრანგული ენა
მკვდარ ენად ქცევის მუდმივი საშიშროების წინაშე იმყოფება.

მწერალმა ანდრე ტერივმა თავის მრავალ ნაშრომში განიხილა თანა-
მედროვე ფრანგული ენის არსებობის თეორიული შენსები. თავის წიგნში
"Clinique du langage" , იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფრანგული ენა
ჯერაც პურიზმის გავლენას განიცდის. ტერივი გამოდის პურისტ გრამა-
ტიკოსთა წინააღმდეგ, რომლებიც მხედველობის არქდან სტოგებენ ენობ-
რივ სინამდვილეს. ტერივი ხედავს სალიტერატურო ენის პრაქტიკოსთა და
თეორეტიკოსთა მონდომებას ენის შემდგომი განვითარების გზაზე. იგი
დადებითად აფასებს იმ ცდას, რომ სალიტერატურო ფრანგული ენა, როგორც
სამეტყველო ვარიანტი, გა-თავისუფლდეს იმ კლანჭებისაგან, რომლებშიც
იგი XVII საუკუნიდან მოაქცია ვოლამ და მისმა მემკვიდრეებმა La
Cour et La Ville-ის (კარისა და ქალაქის) არისტოკრატიული უმცირესობის
სელექციურ და სტანდარტულ პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად,
უდავოა, რომ გამობაცვის საშუალებათა ასეთი შეზღუდვით ფრანგული ენა
სინტაქსურად და ლექსიკურად იმდენად ზუსტი და ნათელი გახდა, რომ
ფრანგულმა კლასიკურმა სალიტერატურო ენამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

თანამედროვე საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოების პირობებს გან-
საზღვრავს სამრეწველო და ტექნიკური რევოლუცია. ამ პირობებში კი და-
უმცებელია გასული საუკუნეების ენობრივი შეზღუდვების არსებობა, რაც
თანამედროვე სალიტერატურო ენას აქცევდა განსაკუთრებულ (სპეციალურ)
ენად :

"Il est impossible d'enchaîner une langue encore vivante à une tradition
unique, fût-elle la plus ancienne et la plus noble. Pour toutes ces raisons
conjointes, le français pur et classique a peu de chances de survivre ail-
leurs que dans l'enseignement littéraire et dans quelques administrations.
Il ne sera bientôt plus qu'un instrument de plaisir esthétique ou un code
de politesse pour une élite de raffinés". (A.Thérive, Libre histoire de la

langue française, Paris, p.3, s.284f.).

„შეუძლებელია ჯერ კიდევ ცოცხალი ენა მიაჯაჭვო ერთადერთ ტრადიციას, რაც არ უნდა ძველი და კეთილშობილიც არ უნდა იყოს ის. ყველა ამ მიზეზთა გამო სუფთა და კლასიკურ ფრანგულს სხვაგან არსებობის ნაკლები შესაძლებლობა აქვს, გარდა ლიტერატურული სწავლებისა (მოდდვრებისა) და ზოგიერთი ადმინისტრაციული დაწესებულებისა. იგი მაღეესთეტიკური სიამოვნების წყარო და ზრდილობიანობის კოდიცა თუ იქნება რჩეულთა ელიტისათვის.“

მეორეს მხრივ, ტერივი აღიარებს, რომ პრობლემას სხვა მხარეც გააჩნია; კერძოდ, ის, რომ ფრანგი ხალხის დიდ ნაწილს, რომელთათვისაც ხელმისაწვდომი არ იყო განათლების კერები, არ ჰქონდა მიღებული საკმარისი განათლება მშობლიურ ენაზე. ეს ფაქტი წარმოადგენს სალიტერატურო და სალაპარაკო ენებს შორის ზემოთ მოხსენიებული შეუსაბამობის ერთ-ერთ მიზეზს. თავისი ფონეტიკითა და სინტაქსით სალიტერატური ენისაგან განსხვავდება თანამედროვე საფრანგეთის განათლებული ფენების სალაპარაკო ენაც კი.

სალიტერატურო ენა გვხვდება ძირითადად აუდიტორიებში, სასკოლო ოთახებში და სცენაზე; ზოგიერთი შეზღუდვებით, მაგრამ მაინც ვხვდებით სალიტერატურო ენას აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიაში.

ამ შექმნილი სიტუაციის შედეგია, რომ საფრანგეთის საზოგადოებაში უკვე რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს დისკუსია ენის საკითხებზე. ყველანაირი პოლიტიკური მიმდინარეობის წამყვანი გაზეთები და ყოველკვირეული ჟურნალები დღესაც სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს, რომლებიც გრამატიკული და ლექსიკური ბუნების ენობრივ პრობლემებს ეხება. ამ რუბრიკის ავტორები ლინგვისტები და ლიტერატორები არიან. ეს უკანასკნელნი, როგორც გუგენეში ამბობს, განიხილავენ esprit puriste intransigent-ს (შეუდრეკელი პურისტული სულისკვეთება). ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ლინგვისტები, პირიქით, ისინი უარყოფენ გადაჭარბებულ, სტერილურად ქცეულ პურიზმს. პურისტულია, მაგალითად, ნარკვე-



ვები, რომლებიც აბელ ჰერმანმა (1861-1950) გამოაქვეყნა ფსევდონი-
მით და რუმბრიკით Lancelot (ლანსლო) 1945 წლამდე გაზეთში "Le
Temps" (გაზეთ "Le Monde -ის წინამორბედი). პურისტულ ტრადიციას გა-
ნაგრძობს ლუი პიემო გაზეთში "Le Figaro". მაგრამ მთლიანობაში ეს პო-
ზიცია არ გავს იმ პოზიციას, როგორცაღ განიხილება სადღეისოდ ენობ-
რივი საკითხებში ფრანგულ და ბელგიურ გაზეთებში და ასევე მრავალტი-
რებიან ყოველთვიურ სპეციალურ ჟურნალში "Vie et langage" . მოვეს-
მინთ თვითონ ფრანგებს:

"Dès lors apaisons notre inquiétude. Quand les Parisiens de cette
espèce se propagent en province, le rire qu'ils éveillent sur les lèvres
des provinciaux est la plus sûre des immunisations". (In: Mercure de France,
mai 1964, p.10, s.104f.).

„მას შერე ნუდა ვინადვლებთ. როცა პარიზელები პროვინციას მოე-
დებიან, სიცილი, რომელსაც ისინი პროვინციელთა ბაგეებზე იწვევენ,
ყველაზე საიმედო იმუნოზაციის საშუალებაა“.

"Mais j'aurais voulu qu'au lieu de les attacher ensemble vous en eus-
siez fait un tri. La moitié d'entre eux sont des mots qu'on lit et qu'on
ne prononce pas, qu'on ne prononce jamais". (In : Mercure de France,
mai 1964, p.10,s;105).

„ მე ვისურვებდი, რომ მათი ერთად შეგროვების მაგიერ, ისინი
დაგვხარისხებინათ. მათგან ნახევარი ის სიტყვებია, რომლებსაც კითხუ-
ლობენ და არ წარმოთქვამენ, რომლებსაც არასოდეს არ წარმოთქვამენ “.

"S'il y a un mal qui couve, l'origine en est dans la ruine de l'ensei-
gnement du français. Il ne s'agit pas d'embaumer le français ou d'en tarir
le cours, de proscrire les emprunts et d'anémier la langue pour satisfaire
au mythe de la pureté". (In : Mercure de France, mai 1964, p.10, s.109).

„თუ არსებობს უბედურება, რომელიც თავს იჩენს, ამის მიზეზი ფრან-
გული ენის სწავლების დაცემაშია. საქმე არ ეხება ფრანგული ენის და-
ბალზამებასა ან მისი დინების შეწყვეტას, ნასესხები სიტყვების გაძე-
ვებას და ენის დაუძღურებას სიწმინდის მითის დასაკმაყოფილებლად“.



ადიარებულისა, რომ თანამედროვე ფრანგული სალიტერატურო ენა (მისი ყველა სტილისტური ვარიანტი, როგორცაა ბელეტრისტიკის ენა, ჟურნალისტიკის და სამეცნიერო ლიტერატურის ენა) უკანასკნელ ათწლეულებში დინამიური გახდა. ცვლილებები ეხება არა მარტო სტილს, ან რომელიმე ავტორის ინდივიდუალურ დისკურსს, არამედ ენას - *langue* -ს, როგორც ასეთს.

სალიტერატურო ენის სტრუქტურა შეიცვალა ფრანგული ენის სალაპარაკო ვარიანტების ლექსიკისა და სინტაქსის ზეგავლენით. ეს ცვლილებები სალიტერატურო ენის სხვადასხვა სტილში სხვადასხვა ოდენობით განხორციელდა. პუბლიცისტიკის სტილი, რომელიც უფრო მჭიდრო კონტაქტშია ფრანგულ ზეპირმეტყველებასთან, უფრო მეტად განიცდის ცვლილებებს, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის სტილი. ეს უკანასკნელი სხვადასხვაგვარია თანამედროვე რომანში და ლირიკაში. ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის თანამედროვე ფრანგული რომანი იმისდამიხედვით, თუ ვისთვისაა - რომელი მკითხველისა და თანამედროვე ფრანგული საზოგადოების რომელი სფეროსთვისაა გათვალისწინებული ნაწარმოები. თანამედროვე ფრანგული რომანის ენაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრესა, რამდენადაც სადღეისოდ მრავალი მწერალი ერთდროულად ჟურნალისტიკაა.

თანამედროვე ფრანგულმა სალიტერატურო ენამ დაამსხვრია XVII-XVIII საუკუნეებში დადგენილი ტრადიციული საზღვრები. თანამედროვე ფრანგული სალიტერატურო ენის დიაპაზონი მოიცავს ამოდლებულსაც და ვულგარულსაც. ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმების ველი იმდენად გაფართოვდა, რომ ფრანგ კრიტიკოსთა ერთი ნაწილი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების დადგენილი სალიტერატურო ენის ნორმების მომხრეა, სამომავლოდ ფრანგული ენის ბედს სერიოზულ საფრთხეს უწინასწარმეტყველებს. თანამედროვე სალიტერატურო ენა გამოეცალა, აღარ ექვემდებარება *Académie française* -ის კონტროლს, რომელიც 1635 წელს დაარსდა და მისი დამაარსებლების პრინციპების ერთგულია დღესაც.



თანამედროვე საფრანგეთში ენათმეცნიერთა დისკუსიის საგნად მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფრანგულ ენაზე ან-გლო-ამერიკული ენის გავლენასთან. კრიტიკოსთა აზრით, თანამედროვე ფრანგულს ანგლო-ამერიკულით შთანთქმის საფრთხე ემუქრება. კულმინაციას მიაღწია იმ მოძრაობამ, რომელიც საფრანგეთში XVIII საუკუნეში დაიწყო. მაშინ, და აგრეთვე მთელი XIX საუკუნის მანძილზე, საქმე ეხებოდა ინგლისურ ელემენტებს, რომლებიც ფეხს იკიდებდა საფრანგეთში გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებიდან გამომდინარე. XX საუკუნის დასაწყისიდან ეს ელემენტები ძირითადად ინგლისურის ამერიკული ვარიანტებიდანაა, რომლებსაც ინგლისურისაგან განსხვავებული, საკუთარი ნიშნები გააჩნია.

ამრიგად, ინგლისური ელემენტები ფრანგულში ფეხს იკიდებს XVIII საუკუნიდან. ამასთან, თავდაპირველად ეს მხოლოდ ლექსიკური სახის ზეგავლენაა.

ყოველი ენის ლექსიკური მარაგი, როგორც ცნობილია, იყოფა სტაბილურ და მოძრავ ნაწილებად. სტაბილური ნაწილი ქმნის ძირითად ლექსიკურ ფონდს და იგი შედარებით დიდი ისტორიული დროის განმავლობაში რჩება სტაბილური, უცვლელი. ენის ლექსიკური მოძრავი (ლაბილური) მარაგი მუდმივად იცვლება; აქ ხშირია სიახლეები და ელიმინაცია. მისთვის დამახასიათებელია შინაგანი და გარეგანი ხასიათის სიახლეები. შინაგანი განახლება ხდება სიტყვათწარმოების ან სემანტიკური ცვლილებების საშუალებით, რის შედეგადაც იქმნება ახალი სიტყვები ახალი ცნებების გამოსახატავად. მის საპირისპიროდ, გარეგანი, პერიფერიული განახლება გულისხმობს სიტყვათა მარაგის გამდიდრებას სხვა ენებიდან სესხების საშუალებით. ენის ლექსიკური მარაგის ეს მუდმივი ცვლილებები განპირობებულია სხვადასხვა ისტორიული ფაქტორებით, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით, ანუ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებებით. ენის ლექსიკური მარაგი ის ნაწილია, რომელშიც ყველაზე ნათლად და უშუალოდ გლინდება ისტორიასა და ენის ისტორიას შორის ურ-



თიერთობანი. ეს ურთიერთობა ყველაზე უკეთესად აისახება ლექსიკონო-
გიაში, სადაც ერთიმეორეს უკავშირდება ენის ლექსიკურ მარაგში მომ-
ხდარი ცვლილებები და ამ ენის მატარებელი საზოგადოების ისტორია.

XVIII საუკუნის საფრანგეთში პირველი ინგლისური სიტყვების შე-
მოტანა აიხსნება იმ მზარდი ინტერესით, რომელსაც რევოლუციის წინა
პერიოდში ფრანგული ბურჟუაზია იჩენდა ინგლისის ცხოვრების ყაიღისად-
მი, პარლამენტისადმი, რომელიც 1649 წლის რევოლუციის შემდგომ ჩამო-
ყალიბდა ინგლისში, ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაწარმოებებისადმი.
საფრანგეთისათვის აქამდე უცნობი ინსტიტუტების აღსანიშნავად აუცი-
ლებელი ხდება სიტყვების სესხება ინგლისურიდან. ახალ საგანთან, ცნე-
ბასთან ერთად შემოდის ამ ცნების მატარებელი ნასესხები სიტყვებიც,
მაგალითად : vote, budget, club, bill, comik, corporation, jury, oppo-
sition, parlement, congres, session, meeting, franc-macon.
პირველი სპორტული ტერმინებიც ინგლისურიდან შემოდის. ესაა ცხენოს-
ნობის სფეროდან le jockey, რომელიც თავის დროზე ფრანგული სახელი-
დან Jacques წარმოიშვა. შემდეგ ფრანგულში შემოდის ინგლისური მოდის
აღსანიშნავად la redingote, რაც ო.ბლოკისა და ვ.ვარტბურგის "Dic-
tionnaire étymologique de la langue française" (Paris, 2-1950, 4-1964)
მიხედვით საფრანგეთში პირველად 1725 წელს ჩნდება. შემდეგ ფრანგულ-
ში შემოდის ინგლისური კერძების სახელწოდებები - le pudding (1678),
le punch (1708), le grog (1776), le rosbif (1798), le sandwich
(1804), le bifteck (1806). ინგლისურიდან ამ ნასესხებ სიტყვათა უმ-
რავლესობა ფრანგულში იღებს ფრანგული ენის ბგერითი სისტემის დამახა-
სიათებელ ნიშნებს და ამიტომ ისინი შემდგომ პერიოდში ფრანგულისათვის
უცხო სახელებად აღარ ითვლებოდა. ასიმილაციის უნარი XVIII-XIX საუ-
კუნეებში ფრანგულს აშკარად მეტი ჰქონდა, ვიდრე დღეს.

მაღე, საფრანგეთში აუცილებლობით გამოწვეული სიტყვების სესხებას-
თან ერთად, იწყეს სიტყვათა მარაგის გასამდიდრებლად სიტყვათა სესხება
ყოველგვარი მიზეზის გარეშეც.



XIX საუკუნეში საფრანგეთის გარკვეულ სოციალურ ფენებში იზრდება ინტერესი ყოველგვარი ინგლისურისადმი, რომ უკვე ლაპარაკია ანგლომანიამზე საფრანგეთში. სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება კონტაქტი ინგლისთან ინგლისის სამრეწველო და სავაჭრო აღზევებასთან დაკავშირებით. იწყება ყოველი ინგლისური სიტყვის ფრანგულში გადმოტანა, რაც აუცილებლობით აღარაა განპირობებული. ეს ხდება სხვადასხვა დარგის ტერმინებში, დაწყებული სპორტიდან დამთავრებული პრესითა და ტექნიკით. ეს სპეცტერმინებისათვის გადმოტანილი სიტყვები ქმნის ხიდს, რომლითაც ანგლიციზმები აღწევს სალაპარაკო ფრანგულ ენაში. უკვე XIX საუკუნეში ფრანგულ ენაში გაუთვალისწინებლად შემოტანილია ასობით ინგლისური სიტყვა, რომლებიც ფრანგულისათვის მეტწილად საჭირო არც არის. აღარ აქცევენ ყურადღებას და აღარ იყენებენ სიტყვათწარმოების იმ მდიდარ საშუალებებს, რომლებსაც ახალი საგნებისა და სიტყვების შესაქმნელად ფრანგული ენა გეთავაზობს. მაღე კარგ ტონად იქცა ფრანგულ ტერმინებზე შეგნებულად უარის თქმა, რათა მათ ადგილზე გამოყენებულ იქნას ინგლისური ან ფსევდოინგლისური ტერმინები. მრავალი პროფესიისათვის საჭირო ლექსიკური მარაგი, მაგალითად, რკინიგზისათვის, მრავალ ინგლისურ ელემენტს მოიცავს. მხოლოდ მოგვიანებით, თანდათან ჩნდება ზოგან ფრანგული სახელწოდებები. ინგლისური სიტყვები მოწმობენ XIX საუკუნეში ინგლისის პრივილეგიებზე მრეწველობასა და ტექნიკაში. ინგლისი სარკინიგზო სისტემის განვითარებაში პიონერი იყო, რასაც მოწმობს სიტყვები tender (1837), rail (1817) და tunnel (1829), რომელიც წინა საუკუნეებში ნასესხებია ფრანგული სიტყვიდან tonnelle. ეს კი ნიშნავს, რომ ოდესღაც ფრანგული სიტყვა საფრანგეთში უკან ბრუნდება ახალი მნიშვნელობით, რომელიც მან ინგლისში შეიძინა.

ფრანგულის ინგლისურით დაკაბალება XIX საუკუნეში იმდენად მატულობს, რომ ეს ეხება უკვე ფრანგულ ბეგრით. სისტემას, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებს. მაგრამ ანგლომანია არ ეხებოდა საზოგადოების ფართო მასებს, იგი მხოლოდ ბურჟუაზიულ დაჯგუფებებში იჩენდა



თავს. ამიტომ საფრანგეთში შემოღწეული სიტყვების დიდი ნაწილი XIX საუკუნეშივე მივიწყებას ეძლევა. ესენია გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ჟარგონები. ასეთი ელემენტები ხშირი იყო, მაგრამ არასტაბილური. საერთო სალაპარაკო ენაში მხოლოდ მცირე ნაწილმა მოიკიდა ფეხი. ეს ნიშნავს, რომ საფრანგეთში მოსახლეობის ფართო ფენები მათ იშვიათად იყენებდა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა წყალობითაც ფართო ფენების ყურამდე ადვილად მიაღწევდა უცხო სიტყვები და რომლებიც მეტ ზეგავლენას იქონიებდა.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა XX საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუ აქამდე საფრანგეთში ინგლისიდან მხოლოდ სიტყვათა მარაგი შემოდიოდა, ამჯერად ანგლო-ამერიკული ზეგავლენა შეიმჩნევა დღევანდელი საფრანგეთის ყველა შესაძლო სფეროში. ამჯერად შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ ექცევა არა მხოლოდ პრივილეგირებული, გაბატონებული ჯგუფები; ანგლო-ამერიკულ სიტყვათა მარაგს იღებს პროფესიები არა მხოლოდ სპეცტერმინებისათვის, არამედ ამ პროცესმა მოიცვა ფრანგი ხალხის ფართო მასების სალაპარაკო ენა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორცაა პრესა, რადიო, ტელევიზია, რეკლამა, ამაში საბედისწერო როლს თამაშობს. მას შემდეგ, რაც 1944 წლიდან ამერიკელებმა ფეხი მოიკიდეს საფრანგეთში, ამერიკა ცდილობს საფრანგეთის, ისევე როგორც მთელი დასავლეთ ევროპის, ინტეგრაციას და ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ამ დროიდან განუზომლად მატულობს ანგლო-ამერიკულის შემოჭრა ფრანგულში. სიტუაცია მით უფრო სახიფათოა, რადგანაც ანგლო-ამერიკულის ძირგამომთხრელი ქმედება ყველგან უცებ არ შეინიშნება. შედარებით ადვილია ფრანგული ენიდან ისეთი ამერიკული სიტყვის აღმოფხვრა, როგორცაა *snack-bar*, ვიდრე კალკისა, რომელიც იქმნება ძირეული ფრანგული სიტყვისაგან მისი პარალელური კონსტრუქციის ზეგავლენით. ესაა ენობრივი მოვლენები, რომელთაც ფრანგულად ეწოდება - *calques, calques syntariques* და *emprunts du sens*.



მხოლოდ ზუსტი დაკვირვებითაა შესაძლებელი იმის გარკვევა, რომ ერთი კონსტრუქცია, რომელიც ხშირად გაისმის პრესასა თუ რადიოში, არაა ფრანგული კონსტრუქცია, არამედ იგი ფრანგული მასალით გადმოცემული ინგლისური კონსტრუქციაა, რომელიც ენიდან სდევნის მის შესატყვისს, ადექვატურ ფრანგულ კონსტრუქციას. ამასთან ერთად, სიტუაციას ართულებს ის, რომ ინგლისურსა და ფრანგულში გვხვდება ხშირად გრაფიკულად მსგავსი სიტყვები, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით. ასეთ „ყალბ მეგობრებს“ (*faux amis*) ხშირად შეცდომაში შეყავთ ენის კარგად არ მცოდნე.

1945 წლიდან ფრანგი ლინგვისტები, რომლებიც კარგად გრძნობენ პასუხისმგებლობას და კარგად ესმით თავიანთი ეროვნული ენის მდიდარი ენობრივი შესაძლებლობანი, გაძლიერებულად იბრძვიან ფრანგულში ანგლო-ამერიკული ელემენტების აღრვეის წინააღმდეგ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან მორის რა, ჟორჟ მატორე, მორის შაპლან. ეს უკანასკნელი ჟურნალ "Le Figaro littéraire" -ში არისტიდის ფსევდონიმით აქვეყნებს ნარკვევებს რუბრიკით "Usage et grammaire". მათ რიცხვშიცაა ალენ გილერმუ (მისი სტატიები იბეჭდება ძირითადად ჟურნალში "Vie et langage") და რენე ეტიამბლი. საყურადღებოა, რომ კრიტიკოსები არ უარყოფენ ლექსიკური მარაგის ჯანმრთელ, მისი გამდიდრების აუცილებელ საშუალებებს ფრანგულში.

მოვეუსმინოთ თვითონ ფრანგებს:

"Cette invasion barbare et cette "occupation" si j'ose dire, de notre langue, il est nécessaire et urgent de les combattre". (Le Figaro littéraire, N 765, tom.I7.I2., p.II, 1960).

„ამ ბარბაროსულ შემოსევას და ჩვენი ენის ამ „ოკუპაციას“, თუ გავბედავ ამის თქმას, აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა შევებრძოლოთ“.

"Or la seule conclusion à laquelle ne me conduisent pas ces enquêtes quotidiennes est celle que l'anglais ou l'américain sont en train de contaminer le Français. Me faudrait-il aller sur les Champs Elysées, en fréquen-

ter les bars pour vérifier le diagnostique d'Etienne? Alors, je n'ai pas peur pour le français". (In: Mercure de France, mai 1964, p.10, s.104).

„ამდენად, ერთადერთი დასკვნა, რომლისკენაც ამ ყოველდღიურ კვლევებს არ მივყავარ, არის ის, რომ ინგლისური და ამერიკული ენები ანაგვიანებენ ფრანგულ ენას. ელისეის მინდვრებზე წასვლა და მისი ბარების სტუმრობა ხომ არ იქნებოდა საჭირო ეტიამბლის დიაგნოზის დასაზუსტებლად? ასეთ შემთხვევაში მე არ შეშინია ფრანგული ენის გამო.“

"... que le français redeviennne langue vivante, capable de digérer, d'assimiler des mots étrangers, ceux du moins qui sont indispensables, ou plus modestement /: utiles.

„... რომ ფრანგული ენა გახდეს ცოცხალი ენა, უნარჩიანი, რომ აიტანოს, შეითვისოს უცხო სიტყვები, ის სიტყვები მაინც, რომლებიც აუცილებელია ან უზრალოდ სასარგებლოა.“

"Si nous avons inventé le bulldozer, le corn-picker, le mixer, le take-over-bid, le copy-testing, le twist etc. : ces choses porteraiient des noms français!

„ჩვენ რომ გამოგვეგონებინა le bulldozer, le corn-picker, le mixer, le take-over-bid, le copy-testing, le twist და ა.შ., მაშინ ეს საგნები ფრანგულ სახელებს ატარებდა“.

"Travaillons donc pour qu'elles (les inventions françaises) font prime sur les marchés. Ce n'est pas le cas. Travaillons donc pour qu'elles y conquièrent des places. Mais ne nous en prenons pas à l'anglais et à l'américain si dans ces domaines et en d'autres le français leur cède". (Mercure de France, Mai 1964, p. 15-35, s.106).

„ვიდგაწოთ იმისთვის, რომ ისინი (ფრანგული გამოგონებები) სჭარბობდეს ბაზარზე. ვიდგაწოთ იმისთვის, რომ მათ დაიპყრონ ბაზარი. მაგრამ არ წავართვათ ინგლისურსა და ამერიკულს, თუ ამ სფეროებსა და სხვებში ფრანგული ენა მათ ჩამორჩება.“

დღეს, როცა მიველ მსოფლიოში მყარდება ხალხთა შორის ურთიერთკაც-
შირი, განსაკუთრებით კი სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, რა თქმა უნდა,
მატულობს ენებს შორის მიტყვათა გაცვლის, გადაღების რიცხვი, იზრდება
საერთაშორისო სიტყვების რაოდენობა. ასეთი სიტყვები ხელს უწყობს გარ-
კვეთელ პირობებში სპეციალისტთა შორის ურთიერთგაგების დამყარებას,
გინდაც მათთვის სხვადასხვა იყოს მშობლიური ენა.

ზოგ შემთხვევებში ასეთი ტერმინები საჭიროა იმიტომაც, რომ ისინი
უფრო მოკლეა და ნათლად გადმოსცემს. არსს, ვიდრე მათი შემცველი
ფრანგული სიტყვები: ასე მაგალითად, ტელევიზიის სისტემაში სიტყვა
fading უფრო გასაგებია, ვიდრე variation de l'intensité du signal
ანდა antifading - réglage automatique de sensibilité".

ამით კრიტიკოსები არ უარყოფენ აუცილებელი ელემენტების ასიმილა-
ციის პროცესს. ისინი ფრანგულში უცხო სახელებად არც კი უნდა დარჩნენ.
მხოლოდ ენიდან უნდა განიღვენოს ზედმეტი, სნობისტური, ავანგარდისტუ-
ლი; ასევე მკაცრადაა გაკრიტიკებული ფრანგული ენის გრამატიკული სტრუქ-
ტურის ყოველგვარი დარღვევის ცდა.

გასულ ათწლეულებში ფრანგული ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებში მთლი-
ანად მიეცნენ ანგლომანიას. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიკურ,
პოლიტიკურ და სამხედრო ინტეგრაციას მოჰყვა აგრეთვე სულიერი, კულტუ-
რული და ენობრივი ინტეგრაცია, რაც განსაკუთრებული სიმწვაგით დაძა-
სიათა რენე ეტიამბლმა. ცხოვრების ამერიკული ყაიდა ბევრისთვის ამჟამა-
ზასიათისაა, ნათელია. ასეთი ჯგუფების ცხოვრების სტილს, ეტიამბლის
მიხედვით, ამერიკელი სუპერმენი განსაზღვრავს. ფრანგული საზოგადოების
ნაწილი უჯერებს და ენობრივადაც ბაძავს დოლარებით საფასე ამერიკელებს,
რომლებიც საფრანგეთში ჩამოდიან როგორც ჯარისკაცები, ტურისტები, ვაჭ-
რები ან ტექნიკოსები.

ზუსტად ასეთ პოზიციას ებრძვიან მასიურად ზემოთ მოხსენიებული
ფრანგი ლინგვისტები, რადგანაც ასეთი პოზიცია ავლენს მშობლიური ენის
სიმშვენიერისა და სიმდიდრის გაუფასურებას. ფრანგული ენის ანგლო-ამე-
რიკული დაკაბალების წინააღმდეგ ცხარე დისკუსიას ეხება სათაურშივე

პროვოკაციული წიგნი "Parlez-vous français?" წიგნის ავტორი რენე ეტიამბლი განიხილავს ფრანგულში ყველა შესაძლო ანგლო-ამერიკანიზმის უპასუხისმგებლოდ გადმოტანისა და ამით ფრანგული ენის შესაძლებლობების გაუფასურების პრობლემებს. *Franglais Français* -სა (ფრანგული ენისა) და *anglais* -ს (ინგლისური ენის) სიმბიოზის პროდუქტია. ფრანსუა ბონდიმ ამ წიგნს „გაბრაზებული ენის პატარებლის პამფლეტი“ უწოდა. იგი შეიცავს ლექსების ციკლს, რომელიც ეტიამბლმა უკანასკნელ წლებში წაიკითხა სორბონაში და რადიოთი. წიგნი ბესტსელერად იქცა, რასაც მოწმობს საფრანგეთის საზოგადოებრიობის რეაქცია წიგნის გამოსვლაზე. 1964 წლის შუა რიცხვებისათვის უკვე წიგნის 200000 ეგზემპლარი გაიყიდა.

ეტიამბლმა შეარყია, გამოადგინა საზოგადოებრიობა და აიძულა ის ჩაფიქრებოდა მშობლიური ენის ბედს. მან განგაში ასტეხა იმ ღროს, იმ სიტუაციაში, რომელიც საბედისწერო იყო ფრანგული ენისათვის. ეტიამბლის წიგნის გამოჩენას მოჰყვა და ახლაც გაისმის კრიტიკული, ხშირად ძალზე მწვავე გამოსვლებიც მის წინააღმდეგ. ამ წიგნმა ყველა სახის კრიტიკოსთან გამოძახილი გამოიწვია. არცერთი ენობრივი ხასიათის წიგნი არ გამხდარა საფრანგეთში ისეთი პოპულარული, როგორც ეს წიგნი. ამას მოწმობს მის შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიები საფრანგეთის თითქმის ყველა ყოველდღიურ და ყოველკვირეულ გაზეთში.

"Il ne faut pas traiter cet ouvrage comme d'autres: le lire, en parler, l'oublier et passer aux suivants. Il faut en faire une actualité permanente, y revenir sans cesse, s'appuyer sans fin sur lui, apprendre à s'en servir comme d'une arme". (Le Figaro Littéraire, N 930, tom.I3.2., p.II, 1964.

„ამ ნაშრომს ისე არ უნდა მოვექცეთ, როგორც სხვებს; წავიკითხოთ იგი, მასზე ვილაპარაკოთ, დავივიწყოთ და სხვებზე გადავიდეთ. იგი მუდმივად დღის წესრიგში უნდა იდგეს, განუწყვეტლივ უნდა ვუბრუნდებოდეთ მას, გენდოთ მას, ვისწავლოთ მისი, როგორც იარაღის გამოყენება“.



მემარჯვენე რადიკალური ძალები თავისებურად გამოეხმაურნენ ეტიამ-
ბლის ნაშრომს. ერთ-ერთ სტატიაში, სათაურით "La croisade contre le sabir"
რომელსაც H.C. აწერს ხელს, ნათქვამია:

"La croisade contre le sabir: L'extrême droite ... a couvert de fleurs
le "décolonisateur" d'un nouveau genre. Le Figaro que l'on ne savait pas
si anti-américain consulte ses lecteurs (il est probable que les avis seront
partagés). Mais comment la gauche ne serait-elle pas impressionnée, y com-
pris L'Express qui a publié un extrait du livre ... Et l'on a pu lire dans
Le Monde une "tribune libre" reprochant à nos "mandarins progressistes" de
dénoncer un mal dont ils sont responsables par leur mépris du marchand et
l'ingénieur. Qu'en pense Etienne? Plus modestement Morvan Lesbesque a mis
en garde dans Le Canard Enchaîné contre les cuistres et les pédants qui
voudraient châtier notre langue de tout apport étranger". (In: Tribune
Socialiste, N 194, vol. 9-5, p.9, 1964.

„ჯვაროსნული ლაშქრობა „საბირის“ (დამახინჯებული ენის) წინააღ-
მდეგ: უკიდურესი მემარჯვენეები სოტბას ასხამენ ახალი ტიპის „დეკო-
ლონიზატორს“. „ფიგარო“, რომელსაც არ თვლიდნენ ასე ანტი-ამერიკულ
განწყობილად, რჩევას თავის მკითხველებს ეკითხება. (მოსალოდნელია,
რომ რჩევები გაზიარებული იქნება). და როგორ არ მოახდენდა მემარცხე-
ნეებზე შთაბეჭდილებას „ექსპრესის“ ჩათვლით, რომელმაც გამოაქვეყნა
ნაწყვეტი წიგნიდან ა.ა. და „მონღში“ შეგეძლოთ წაგეკითხათ „თავისუფალი
ტრიბუნა“, რომელიც საყვედურობს ჩვენს „მოწინავე ინტელიგენციას“,
რომ ამხილოს ბოროტება, რომელზედაც თვითონ არის პასუხისმგებელი...
რას ფიქრობს ამის თაობაზე ეტიამბლი? „კანარ ანშენეში“ მორგან ლებეკ-
მა შედარებით უფრო მორიდებით გააფრთხილა პედანტები, რომლებიც ჩვენი
ენის ყოველგვარი უცხოურისაგან განწმენდას მოისურვებდნენ“.

ცნობილი ფრანგი მკვლევარი რ.ლ.გაგნერი კრიტიკულად უდგება ეტიამ-
ბლის კვლევას. კერძოდ, ნაშრომში "Le mythe de la pureté ou beaucoup de
bruit pour rien" („სისუფთავის მითი ან ბევრი ხმაური არაფრის გამო“)
გაგნერი ცდილობს ეტიამბლი მიაკუთვნოს ფრანგ პურისტთა რიცხვს, რომლე-
ბიც XVI საუკუნიდან დღემდე ენის გამწმენდას როლში გამოდიან. ესენი



იყვნენ ანრი ეტიენი, რივაროლი და მუფლე.

როგორც ყველა მისი წინამორბედი, ეტიამბლიც ენის ახალ ეტაპში გადასვლას მის დადუპვას უწოდებსო, - ასე აფასებს ვაგნერი მის პოზიციას. ვაგნერი იმ საფრთხეს ვერ ხედავს, რომელიც ეტიამბლს მოსვენებას არ აძლევს ენათა შეფხვარების პროცესის განხილვისას.

ვაგნერი ენლობა ფრანგი ხალხის ჯანმრთელ ძალებს, თუმცა ვაგნერი ეტიამბლისეულ ფანტაზიის ფანტომს *franglais* -ს არ უწოდებს, მაინც საჭიროდ თვლის განმარტებებს, რომ ეს განსაკუთრებული (შექმნილი) ენა გვხვდება მხოლოდ *ces nouveaux précieux* -ს (ახალი პრეციოზების) წრეებში, რომლებიც ძირითადად ცალკე, საკუთარ დაჯგუფებებად არიან პარიზში

ვაგნერი ეტიამბლს უჩრევს პროვინციებში შეამოწმოს მის მიერ პარიზში მიღებული შთაბეჭდილებები, რის შედეგადაც იგი გულდადინებული დაბრუნდება დედაქალაქში. ვაგნერი არ უარყოფს, რომ ეტიამბლის მიერ მოხსენიებული ანგლო-ამერიკანიზმები არსებობს ფრანგულში, მაგრამ თვლის, რომ ისინი ფრანგულში არაა ისე დიდი რაოდენობით, როგორც ამას ეტიამბლი აცხადებდა.

ამდენად, ვაგნერის აზრით, ფრანგულს სერიოზული საფრთხე არ ელის, და თუ საფრთხე არსებობს, მაშინ ფრანგების ცალია მედგრად დახვდნენ ამ საფრთხეს, კერძოდ, ეს შესაძლებელია უკეთესი ენობრივი დაოსტატების გზით.

ეგვსგარეშეა, რომ ვაგნერი სათანადოდ ვერ აფასებს იმ საფრთხეს, რომელიც ფრანგულ ენას ანგლო-ამერიკანიზმებისაგან მოეღის. როგორც ეტიამბლმა გვიჩვენა, ამ ელემენტთა უმრავლესობა შედგება ფრანგული ენისათვის. მათ აზრის გაუგებად და უშინააქსო ვადმოცემისაკენ მიყვარათ. აქედან გამომდინარე, უადგილოა, რომ ეტიამბლის მოსაზრებები ნეოპურნიზმად იქნას შეფასებული და გაუფასურებული, რომ მან თითქოს „არაფრისათვის შექმნა ხმაური“. პირიქით, საფრთხე მთელი სწავლით უნდა იქნას გამოაშკარავებული.



ვაგნერის საპირისპიროდ, მრავალი კრიტიკოსი მხარს უჭერს ამბლს, მაგალითად, მორის რა და მორის შაპლანი (არისტოდი).

„ატლანტურ გაუგებარ ენას“ (Sabir atlantique), რომლის წინააღმდეგაც ეტიამბლი ილაშქრებს, არისტოდი მიიჩნევს „ჩვენი ენის ნომერ პირველ მტრად“ - l'ennemi numéro un de notre langue.

მორის რამ ჯერ კიდევ 1960 წელს გაილაშქრა ფრანგულ ენაზე ანგლო-ამერიკანიზმის გავლენის ზრდის წინააღმდეგ.

მოსალოდნელი იყო, რომ ფრანგული ენის დასაცავად მიმართული დონისძიებანი კრიტიკის საგანი გახდებოდა არა მარტო საფრანგეთში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. 1963 წლის 12 დეკემბრის "Figaro Littéraire" -ის 921-ე ნომერში მოხსენიებულია ამერიკულ გაზეთ "Time American" -ის (29.XI.1963) სტატია. XV-XVI საუკუნეებში გავრცელებული თეზისის განხორციელებით ფრანგული ენა გახდება მარტივი და უშუალო, როგორც წარყვნილი ლათინურისაგან გაკეთებული მდიდარი რაგუ შეზავებული არაბული, ინგლისური, გერმანული, ესპანური და ბეოძნული სუნელებით (a rich ragout of corrupted Latin, spiced with Arabic, English, German, Spanish and Greek).

ეტიამბლისა და გილერმუს მოსაზრებები კვალიფიცირებული იყო, როგორც შოვინისტური ცდა. ეტიამბლმა კრიტიკას უპასუხა სტატიით "Du français au japonais ou Much about nothing" (ფრანგულადან უპასუხებულმდე ან ბევრი ხმაური არაფრის გამო) (In Les Lettres Françaises. No. 1035, vol. II, bis 17, 1965. I und S-7) იგი თავს იცავს იმისაგან, რომ მას პურისტობას, შოვინისტობასა და ნაციონლობას მიაწერენ და განაგრძობს, რომ ვაგნერი სწორად არ აფასებს საფრთხეს, როცა ამბობს, რომ ფრანგულში ასიდან ზუთასამდე ანგლო-ამერიკანიზმია. სინამდვილეში საქმე ეხება დაახლოებით ორმოცათასამდე არაასიმილირებულ სიტყვას.

მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა გარდაუვლად იწვევს ენების ერთმანეთში შერევას, რასაც ეტიამბლი მთავარ საფრთხედ მიიჩნევს. იგი უფრო მეტად შიშობს, რომ ეს ელემენტები უცხო სახელებად რჩება ენაში და არ ხდება მათი ასიმილაცია ფრანგულ ზგერათა სტრუქტურაში.



ტურასთან. იგი დასძენს, რომ ფრანგულმა sa faculté d'assimilation დაკარგა.

მაგალითად, XVIII საუკუნეში, ანგლიციზმები riding coat და roast-beef ფრანგულში redingote -ისა და rosbif -ის ფორმებით შევიდა, ეტიამბლი მოითხოვს, რომ კოჭტეილის ნაცვლად გვეყოს ძალა და წარმოვქვათ coquetèle - "du 'au lieu de cocktail nous retrouvons la force de prononcer et d'écrire - coquetèle..."

ეტიამბლი მოითხოვს თუ სრულ ასიმილაციას არა, ნაწილობრივს მაინც. ეს ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს უცხო ელემენტის ბგერითი და წერითი მიმსგავსება ფრანგულთან, რათა იგი აღარ იყოს უცხო სახელი იმ ენისათვის, რომელშიც იგი შევიდა. ათასამდე არაასიმილირებული ლექსიკური ელემენტი გვხვდება ჯერ კიდევ ათწლამდე ასაკის ბავშვთა კომიქსებში. ამ ეტიამბლი უმწეობა, გინაიდან ასეთ გავლენას მასიურად განიცდის პრესის ორგანოები, რადიო და ტელევიზია, ანუ ის დაწესებულებები, რომლებიც ენობრივი თვალსაზრისით უფრო არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ვიდრე რომელიმე მწერალი ან სცენა.

ფრანგულში უცხო ენობრივი ელემენტების სიჭარბის ერთ-ერთ მიზეზად ეტიამბლი თვლის საფრანგეთის აუცილებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. რიგი კრიტიკოსებისა, მათ შორის ვაგნერი, არ აქცევს ყურადღებას ამ წინაპირობას, ან ნაკლებად აფასებს მას. იგი აღნიშნავს, რომ ფრანგულ ენაზე ანგლო-ამერიკულის ზეგავლენის საკითხზე გადაამწყვდელი პასუხის გაცემა არ შეიძლება, თუ ამ ურთიერთობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ (კულტურულ) ფესვებს არ განვიხილავთ. ამ თემატიკის კვლევისას ლინგვისტიმა გვერდი არ უნდა აუაროს არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული სიტუაციის შეფასებას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საფრანგეთში დღეს, სადაც ცხოვრების ყველა სფერო ამერიკაპნიზებულია. 1) რა იწვევს ამას - აშშ-ს პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერე თუ მისი კულტურის უნივერსალობა, 2) რას აკეთებს საფრანგეთის მთავრობა ამ თვალსაზრისით, როგორ ებრძვის ამ გავლენას? საერთოდ



თუ ებრძვის, რა ღონისძიებები ტარდება? რა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირები არსებობს აშშ-სა და საფრანგეთს შორის დღეს? წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კვლევა ზედაპირული იქნება ეტიამბლი საცესებით ეწინააღმდეგება იმ არგუმენტსაც, რომ ახალი სიტუაციის გაჩენას აუცილებლად ტექნიკური და მეცნიერული პროგრესი იწვევს. ამის საპირისპიროდ მას მოჰყავს მაგალითი, როცა ზოგი ტექნიკური და სამეცნიერო სიახლე, რომელიც ფრანგების მიერაა აღმოჩენილი და ფრანგული სახელითაა დასახელებული, ხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, იქ იგი იღებს შესაბამის ინგლისურ სახელს და ამ სახით ბრუნდება უკან, საფრანგეთში. ასე ავიწროებს ინგლისური სიტყვა მის პირველად ფრანგულ დასახელებას. მაგალითად, "tringlage des varices" (პროტესის) ნაცვლად ეტიამბლის მიხედვით ახლა stripping გვხვდება. ეტიამბლი დაჟინებით გვახსენებს ფრანგული ეროვნული ენის მდიდარ შესაძლებლობებს და არ უჯერებს ღონ კუკის მიერ "New York Herald" -ში გამოთქმულ აზრს, რომ français -ს მარცხი ელისო.

ზოგიერთი ამერიკელი კრიტიკოსი მიხვდა, რომ ეტიამბლმა უბედურების სათავეს მიაგნო, რომ მან გადაღახა ტაბუ, რომელიც დიდი ხანია არსებობდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, და რომ მან საგნებს მათი ნამდვილი სახელები უწოდა. ზოგიერთები ყოველივე ამას მიიჩნევენ პოლიტიკისა და მეცნიერების, ჟურნალისტიკისა და ლინგვისტური კვლევის დაუშვებელ კომბინაციად.

ეტიამბლი მასალის ჩინებული მცოდნეა. იგი კარგად იცნობს ფრანგულ ენას და ინგლისურის ამერიკულ ვარიანტს. საფრანგეთში ფაშიზმის არსებობის პერიოდში, 1937 წელს იგი ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში, სადაც მას საშუალება ჰქონდა შეესწავლა ამ ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი მონაცემები. 18 თვის განმავლობაში მეხიკოში ყოფნამ იგი შეახვედრა აშშ-ს კოლონიალურ სისტემას ლათინურ ამერიკაში, ეტიამბლი საყვედურობს მეოთხე ფრანგული რესპუბლიკის ზედადებს

(27.10.1946 წლიდან 28.09.1958 წლამდე), რომ ისინი მხოლოდ გაშინ-
გტონის ბრძანებების აღმასრულებელი ორგანოები იყვნენ. იგი უკვე აქვე
იტყვის თავს მოსალოდნელი კრიტიკისაგან, რომ იგი თითქოსდა ნაციონალის-
ტი და შოვინისტია. მას მოსწონს მეზუთე რესპუბლიკა, თუმცა დე გოლის
უშუალო მომხრე არ არის:

"Le gouvernement actuel de la France, quelles que soient ses fautes,
permet à notre pays le luxe d'une politique. Ce n'est pas la mienne, ni la
vôtre. C'en est une."

„საფრანგეთის დღევანდელი მთავრობა, როგორც არ უნდა იყოს მისი
შეცდომები, ქვეყანას საკუთარი პოლიტიკის გატარების ფუფუნებას სთა-
ვაბობს. შეიძლება ეს არ არის ჩემი და თქვენი პოლიტიკა, მაგრამ იგი
პოლიტიკაა“.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის მთავრობამ ამ მიმართულებით უკვე
გადადგა გარკვეული ნაბიჯები ნატოში და აგრეთვე საგარეო პოლიტიკურ
სფეროშიც. აგრეთვე, იმის გამოცხადება, რომ ინგაღუტა მომავალში გაი-
ცემა არა დოლარებში, არამედ ფრანგული ფრანკებით, მოწმობს ეროვნული
დამოუკიდებლობის ადვკენის ცდებს. ეს ღონისძიება შეზღუდავს ამერიკუ-
ლი კაპიტალისა და ამერიკული კონცერნების ფრანგულ ეკონომიკაში შეღ-
წევას და ამით იგი შეეხება ცხოვრებისეულ ყველა სფეროს ამერიკანიზა-
ციის მტკიცებულ საკითხს. დღეს რა ზღვაა ამ განხრით. (შეძლო თუ არა
გატარებულმა ღონისძიებებმა ამერიკანიზაციის აღმოფხვრა საფრანგეთში).

ეტიამბლი აშიშვლებს, ააშკარავებს იმჟამინდელ ანგლომანიას საფ-
რანგეთში. აქედან გამომდინარეობს ბონდის შეფასება, რომ „ეტიამბლის
წიგნის ზოგიერთ თავში ენობრივი არგუმენტების ნაცვლად პოლიტიკური
არგუმენტები გვხვდება და სხვადასხვა სახის პროტესტებია დაჯუფებული“.

ეტიამბლის მიხედვით დღევანდელ საფრანგეთში ვითარდება ანგლო-
-ამერიკულ-ფრანგული აღრეული ენა, სწორედ *franglais*, რასაც იგი *un
saber atlantique* -საც უწოდებს. ამ ენის - *franglais*-ს - მატარებლები
ის "*américanolatres*"(ები) არიან, რომლებიც ხელს უწყობენ ფრანგული ენის

vanquisation -ს (იანკიზაციას). იმ სფეროებში, სადაც აშშ-ს გავლენა დიდია, ცდილობენ შექმნან განსაზღვრული ენობრივი ღონე, ხოლო ენობრივი ბარიერების ლიკვიდაციას მოყვება *barrières de pensées* -ს (აზროვნების ზღუდეების) გათავისუფლება. თუ ენობრივი ღონის შექმნა ანგლო-ამერიკულ-ღის საფუძველზე მოხდებოდა, ეს ჟარგონს ნიშნავს, რომელიც ხალხთა მასებისათვის გაურკვეველი ღარჩება, როგორც ფარული კოდი და ბნელით იქნება მოცული, თუ რა მიზანს ემსახურება, საერთოდ, ენა (49 - 234).

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში სწორად არაა შეფასებული ბრძოლაში ნაცადი ფრანგი ხალხის პოლიტიკური ცნობიერება, თუმცა აშეკარა მსგავსი ცდებით არა კეთილსინდისიერი პოლიტიკური მიზნების დაფარვის მცდელობა.

ეტიამზლის აზრით, ღღევანღღ ფრანგულ ენაში კვლავაც გვხვდება 3000-დან 5000-მდე ანგლო-ამერიკული სიტყვა, რომლებიც არ არის ასიმილირებული ფრანგული ენის ბგერათა სისტემასთან (49 - 343).

უკვე აღვნიშნეთ, რომ ცალკეული პროფესიების ენები (ამ სპეციალობებისათვის განკუთვნილი ლექსიკა) წარმოადგენს შუა ხიღს უცხო ლექსიკური ეღემენტების ზოგად საღაპარაკო ენაში გაღმოსატანად. ცალკეულ პროფესიათა ენებში, უკანასკნელ წლებში, ანგლო-ამერიკული ლექსიკის შეღარებით დიდი რაოღენობა ფიგურირებს. აქვე უნდა ითქვას, რომ პროფესიული ღარგების ენის ლექსიკური მარაგის ანგლო-ამერიკული სიტყვების დიდი ნაწილი ხანგრძლივად ან მუღმივად რჩება ამ ენაში. ანგლო-ამერიკული სიტყვების დიდი ნაწილი გვხვდება ქიმიის, ფიზიკის, მეღიტინის, სამშენებლო და სააღიაციო პროფესიათა ენებში და ეს დიღაღა განპირობებული იმით, რომ აშშ ამ სექტორებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ღა მაინც, ეს გითარება პროფესიული ენების ანგლომანიით გაღაცების ერთადერთი მიზეზი არ არის, ამიტომაღ ვაგნერისეული საკითხის გაღაწყვეტა ზუსტი არაა. საღემ ეხება ერთგნული ენის სიღდიღრის გაცნობიერებას, საკუთარი, კარგად გააზრებული ტერმინების შეგნებულად შემოღებას, გითონ და მოსახერხებელი უცხო სიტყვების ხმარების ნაცვღად.

ცალკეული პროფესიული ღარგების ენებზე ანგლო-ამერიკული სიტყვების შეგაღღენის ხარისხი ყვეღგან ერთნაირი არაა. ანგლო-ამერიკანიზმების

ყველაზე მეტ გავლენას ფრანგული რეკლამის ენა განიცდის. საწარმოთა სარეკლამო განყოფილებები მაქსიმალური საქონელბრუნვისთვისაა გამიზნული. ისინი ცდილობენ მომხმარებლის გადაბირებას და კონკურენციისათვის თავის აზრდობას. ამერიკულით შელამაზებული რეკლამა თავბრუს ახვევს არა მარტო დოლარებით დატვირთულ უცხოელებს, არამედ ჟრანგებსაც, რომელთაც უცხოურად მოთხული საქონელი უფრო უკეთესი ერგენება, ვიდრე ისეთი, რომელსაც ასეთი რეკლამა არა აცეს.

სარეკლამო ენაში ანგლო-ამერიკულის შემოსვლაზე 1955 წელს ილაპარაკა მარსელ გაიომ და იგი 1935-1945 წლებით დაათარიდა (51). გაიომ დასკვნები ჩრდილში მოექცა 1945 წლიდან ამ პრატესის აღმავლობის წყალობით .

ეტიამბლი იუწყება, რომ სარეკლამო ენაში მუდმივად იყენებენ 1300-ზე მეტ ინგლისურ სიტყვას (49 - 255). ანგლო-ამერიკული რეკლამით შელამაზებული ზოგი რამ ხშირად უზრუნველად იყიდება, რაც ისე ძნელი გასასაღებელია. უბრალო და კორექტული ფრანგული დასახელების *fauteuil de repos* -ს ნაცვლად სწორია ორმაგი ენობრივი ბუნების *fauteuil relaxe*, რაც სიტყვათწარმოების ისეთი პრინციპითაა შედგენილი, რომელსაც ჯერ არ აქვს მოკიდებული ფეხი ფრანგულში. *Fauteuil de détente* -ის ნაცვლად გვხვდება *un relaxer-tion* , *omelette aux fines herbes* -ის ნაცვლად კი ენობრივი სიმახინჯე *herb's omelette, lavoirs, laveries, repasseries* -ს ნაცვლად - ფსევდოინგლისური *lavings* გვხვდება. ფეხსაცმელების მოდის განვითარებასთან ერთად მოდას აცოლილი პარიზელი მეწაღეები თავის თავს *cordinniers* კი აღარ უწოდებენ, არამედ *shoe-makers* , რომლის პარიზული წარმოთქმა შემდეგ გრაფემას გულისხმობს: *choémacaires* . ზამთრის სპორტის სახეობები ერთდროულად სამეწოვან რეკლამას იკეთებს: *Wintersport d'hiver* , *sport d'hiver* -ის ნაცვლად. რეკლამაში მუდმივად გვხვდება ანგლო-ამერიკული სიტყვები - *living room, week-end, at home* და *selfmademan* . მათ ნაცვლად უკვე დიდი ხანია ცდილობენ ფრანგული შესატ-



ყვისების *salle de séjour*, *fin de semaine*, *chez soi* და *filles de ses oeuvres* -ს გამოყენებას (*Le Figaro Littéraire*, N 793, p.7, 1961). ზოგჯერ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბოლოს დასახელებული ანგლო-ამერიკანიზმების ხმარება გამართლებულია, რადგან ისინი ცხოვრებისეულ ახალ ყალიდას აღნიშნავენ. მაგრამ ამ არგუმენტშივეა ჩადებული საფრთხე, რადგანაც სიახლის ელემენტების გადმოღების მტკიცებაში ყველაფრის ანგლო-ამერიკულიდან აღება ივარაუდება. რეკლამაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება შედარებითი და აღმატებითი ხარისხები. მარტივი, დადებითი ხარისხი რეკლამას არ აკმაყოფილებს. ყველაფერი არის *better than, the best*; რის მატივრადაც ფრანგულში გვხვდება *le(la) meilleur du monde*. ამერიკული *do it yourself* -ის შემცველად ფრანგულში გვხვდება *douite yourself* ანდა ნასესხები თარგმანის ფორმა *faites-le vous même*. ამ მაგალითში ჩანს უკვე, თუ როგორ უნდა ფრანგული კონსტრუქციით ამერიკული ცხოვრების წესი.

ძლიერი გავლენა იქონია ანგლო-ამერიკულმა ფრანგული პრესის ენაზეც. ამერიკული ეურნალისტიკის მრავალი კლიშე დაუფიქრებლად გადმოდის ბეგრანგულში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პრესისააგენტოებიდან ტელე-ტაიპით შემოსული ინგლისურენოვანი ცნობები მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში ითარგმნება ფრანგულად. თანაც "*faux amis*", ეს ფრანგული შესატყვისობები, რომლებსაც განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, დიდ საფრთხეს ქმნის.

ეტიამზღმა დაადგინა, რომ დაახლოებით ათასმა ფრანგულმა სიტყვამ დაკარგა თავისი პირველადი მნიშვნელობა, რაც ინგლისური ჰომოგრაფიული, ანდა მსგავსი მართლწერის სიტყვების ზეგავლენითაა გამოწვეული. მათი ზეგავლენით ფრანგული სიტყვები, თავისი მნიშვნელობების დაკარგვასთან ერთად, შესატყვისი ინგლისური ჰომოგრაფიული სიტყვის მნიშვნელობას იძენს. ამდენად ქვემოთ მოყვანილი შემდეგი წინადადება ამერიკული წინადადების ფრანგულად გადათარგმნის ცდას წარმოადგენს. არასწორი ფრანგულის *il ne pleut pratiquement pas* -ს მიღმა ინგლისური *practically* იგულისხმება. ფრანგული *il ne semble pas y avoir de problèmes*



- there is no problem -ს გულისხმობს.

La Corée du Sud, La Corée du Nord - ტიპის ფრანგული ავტოქტონური აღნიშვნების გვერდით სულ უფრო ხშირად გვხვდება Le Sud-Corée და Le Nord-Corée ინგლისური ტიპის აღნიშვნები. ასევე La République du Vietnam du Nord -თან ერთად ვხვდებით La République du Nord-Vietnam - აღნიშვნას.

ფრანგმა კრიტიკოსმა მ.რამ გვიჩვენა, რომ, ასევე, ფრანგულმა impératif,-ve -მა ანგლო-ამერიკული imperative -ის გავლენით impérieux, urgent, qui s'impose -ის მნიშვნელობა მიიღო: La rencontre est plus impérative que jamais (Le Figaro Littéraire, N 774, 18.9., 1961).

მანვე Le Figaro Littéraire -ში (N 765, 7.12, 1960) გაილაშქრა interférence -ის ingérence -ის მნიშვნელობით ხმარების წინააღმდეგ, რაც ანგლო-ამერიკულის გავლენითაა გამოწვეული (Le Figaro littéraire, N 844, 23.6., 1962). Délégués alternants ასევე ანგლო-ამერიკული alternate delegate -ს თარგმანს წარმოადგენს და ავტოქტონური ფრანგული შესატყვისის- délégué suppléant -ის ნაცვლად იხმარება.

ამერიკული უარგონით პროფესიული ღარგების გაუხეშების ნიშნები ყველა სახისა და პოლიტიკური მიმდინარეობის ჟურნალ-გაზეთებში შეიმჩნევა. Sabir atlantique ყველაზე მეტად მაინც პუბლიკაციის იმ ორგანოებშია, რომლებიც ევროპის ამერიკულ პოლიტიკას უჭერს მხარს. ქალთა ილუსტრირებული ჟურნალები Elle და Madame Express, ყოველდღიური გაზეთი France-Soir ასევე აჭრელებულია ამერიკანიზებით.

უდავოა, ეტიაშბლი მართალია, რომ ღღეგანდელ საფრანგეთში ეროვნული განათლების მიღებას ჟურნალ-გაზეთები უფრო მეტად განსაზღვრავენ და განაპირობებენ, ვიდრე კარგი მწერლები. მისივე გამოკვლევით ამერიკანიზმებისაგან შედარებით თავისუფალია მნიშვნელოვანი ყოველდღიური გაზეთი Le Monde. სამაგიეროდ მრავალ ანგლო-ამერიკულ ელემენტს შეიცავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო L'Humanité.



ფრანგული ენის ამერიკანიზმებისაგან გაწმენდის მოკრძალებულ მუშაობას დაიწყო 1959 წელს ჟურნალ-გაზეთებში ენის სიწმინდისათვის დადგენილი პრიზი, რომელიც წელიწადში ერთხელ მიენიჭება ენობრივად სამაგალითოდ შედგენილ გაზეთს. დაჯილდოება ხდება ყოველთვის ერთი პარიზული და ერთი პროვინციული გაზეთისა. მაგალითისათვის ეს პრიზები 1961 წელს მიიღო Le Figaro -მ და Le Télégramme de Brest -მა.

მსგავსი სიტუაციაა ფრანგულ რადიოსა და ტელევიზიაში. ამ სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ მუშაობა, გადაცემები მიდის არა ტიტრებით, არა წერითი, არამედ ზეპირი ფორმით, ე.ი. ხდება ანგლო-ამერიკანიზმების წარმოქმნა, რაც ახალ პრობლემებს ქმნის.

რადიოსა და ტელევიზიის პროფესიული დარგების ენაც, ისევე როგორც ფილმები და ფოტოტექნიკა, საცხება ამერიკანიზმებით. ეს ამერიკანიზმები ფილმების, და განსაკუთრებით ამერიკული ფილმების, პოპულარობის გამო ნაწილობრივ იჭრება სალაპარაკო ენებში, როგორცაცაა western, vamp, happy-end, sex appeal, star. ამ გარემოებას განაპირობებს ის, რომ აშშ-ში ტექნიკური პიონერები იყვნენ აღნიშნულ დარგებში. ეს პროცესი გრძელდება დღესაც. სპორტის ენა ინგლისში წარმოიშვა, მაშინ როდესაც კინოს ენა - აშშ-ში.

ისმება კითხვა - აქვს თუ არა შესაძლებლობა ფრანგულ პროფესიულ დარგების ენას იარსებოს საერთოდ ანგლო-ამერიკანიზმების გარეშე.

ღუი გილბერმა ჩამოაყალიბა ის მიზეზები, რომლებიც ტექნიკის საშუალებით განაპირობებს ანგლო-ამერიკანიზმების ფრანგულში შემოტანას.

1. ახალი საგნები ინარჩუნებენ თავიანთ პირვანდელ სახელებს, გინდაც ეს სახელი უცხოური წარმოშობის იყოს. სახელწოდება მკაფიოდ უნდა გამოსატყვევდეს აკსს, რაც მუშაობის პროცესში სწრაფად მიხვედრას და სწორი წარმოდგენის შექმნას უწყობს ხელს.

2. ტექნიკოსთა შორის ინტერნაციონალური ურთიერთობა ადვილდება, როცა საგანი ინარჩუნებს თავის პირვანდელ სახელწოდებას.

3. პროფესიული ენის ტერმინების გაგება სჭირდება მხოლოდ პროფე-

სინალთა მცირერიცხოვან ჯგუფებს.

ვინაიდან ინგლისური ელემენტები მსოფლიოშია გავრცელებული, ისინი აუცილებლად ითვლება. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაირღვას პრინციპი, რომ პროფესიულმა ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ დასახელებები და განსაზღვრებანი მშობლიურ ენაზე, რათა იგი ფართო მასებისათვის იყოს ხელმისაწვდომი და არ იტყეს საიღუმლო კოდად მხოლოდ პროფესიული ჯგუფის წევრისათვის.

ასეთი მოსაზრების მიუხედავად, ინგლისური და ფრენკონგლისური ტერმინები მაინც ყველგანაა გავრცელებული, რამდენადაც ისინი საერთაშორისო ურთიერთობებს აადგილებს. ისინი პროფესიული დარგის მეცნიერებს აწოდებენ ერთმნიშვნელოვან ტერმინებს, რომლებიც განსაკუთრებით პროფესიულ ენას ესაჭიროება, მაშინ როდესაც სალაპარაკო ენაში სიტყვათა პოლისემია ნორმალური მოვლენაა. ამის მიუხედავად, ეს ფაქტი არ წარმოადგენს არავითარ დაბრკოლებას, რომ სალაპარაკო ენის პოლისემიური სიტყვები პროფესიულ ენაში გადავიდეს, სადაც ისინი ზედმიწევნით ზუსტად არის განსაზღვრული და მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად იხმარება.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, საფრანგეთის პროფესიათა სხვადასხვა კორპორაციები ცდილობენ მეცნიერებისა და ტექნიკის პროფესიული ენის ნორმებისა და სტანდარტების დადგენას.

ამ სამუშაოს ასრულებს ორი კომისია Office du vocabulaire français -ში (ფრანგული სიტყვათმარაგის ბიურო), რომელიც 1957 წლიდან არსებობს. ეს დაწესებულება ფ.პარიზოსა და პოლ ვალერის მიერ 1937 წელს დაარსებული Office de la langue française -ის (ფრანგული ენის ბიუროს) მემკვიდრეა, რომლის მოღვაწეობა მისი დამაარსებლების სიკვდილის შემდეგ შეწყდა. პირველ კომისიას Comité consultatif du langage scientifique (მეცნიერული ენის საკონსულტაციო კომიტეტი) წარმო-



ადგენს. იგი ამ სახელს 1955 წლიდან ატარებს. ადრე მას ერქვა *seuil du langage scientifique* (მეტყველებული ენის საზღვო). მისი პრეზიდენტია გამორჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველი და ნობელის პრემიის ლაურეატი ლუი დე ბროლი. მეორე კომისია *Comité d'études des termes techniques* (ტექნიკურ ტერმინთა შემსწავლელი კომიტეტი).

ორივე კომისია უფრო ემედოვნად უნდა ჩაებას ენობრივ საქმიანობაში. ამ კომისიებში ერთად მუშაობენ ლინგვისტები, მეტყველები და ტექნიკოსები. მეორე კომისია *Comité d'études des termes techniques* ცდილობს პირველ რიგში შექმნას პროფესიული დარგების ენობრივი ტერმინებისათვის ადეკვატური შესატყვისებები ფრანგულ ენაზე. კომიტეტი კავშირშია სამეტყველო კომისიასთან, საწარმოო კომისიებთან, რომლებიც თავიანთი პროფესიული დარგის ახალ ტერმინებს თვითონ ქმნიან. მეტყველებათა აკადემიამაც მრავალჯერ განიხილა ეს საკითხი.

ეუროპული თვალსაზრისითაც ბევრს ზრუნავენ ენის სიწმინდისათვის, რაც ვლინდება *Cercle Richelieu* -ს (რიშელიეს წრე), (*Cercles d'Etudes professionnelles pour la défense de la langue française dans la presse* -ს - პრესაში ფრანგული ენის დაცვის პროფესიული შემსწავლის წრე) დაარსებით. ეს კომისიაც ენისათვის შეუფერსებელი ნეოლოგიზმების წინააღმდეგ იბრძვის და მისთვის ადეკვატური ფრანგული შესატყვისობის დადგენას ცდილობს. უკვე მრავალი დარგობრივი ენის ლექსიკაში დაიწყო ცვლილებები, კერძოდ, აღმოიფხვრა ანგლო-ამერიკული აღნიშვნები და მოიძებნა შესატყვისი ფრანგული ტერმინები; ეს ასეა პრესის, სპორტის, ტექნიკის დარგებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოიშალოს ის მოჩვენებითი დიდება, რომელიც უცხო სიტყვას ახლავს. ამასთან ერთად, ეს არაერთარ შემთხვევაში არ გულისხმობს ყველა ანგლო-ამერიკანიზმზე უარის თქმას, მაგალითად, სპორტში. ახლანდელი ლექსიკა გულდასმითაა გადასასინჯი. საქმე ეხება იმ სიტყვათა ელიმინაციას, რომლებიც ენისათვის ზედმეტია.

ზედმეტი ანგლო-ამერიკანიზმების აღმოფხვრის შედეგები სახეზეა. ამდენად *speaker* -ის ნაცვლად ფრანგულში მკვიდრდება *annonceur*, *spea-*



kerine -ს სცვლის annonceuse . ამდენად უკან იხევეს ინგლისური შობის სიტყვა, რომელიც არც ანგლო-ამერიკულში არ ნიშნავდა რადიო-დიქტორს. მსგავსი ფსევდონაგლიციზმები ფრანგულში იშვიათობა არაა. დღემდე შემორჩენილი tennisman (ინგლ. tennis player); ინგლისური lavatory , რაც ინგლისურში საბაბახანოს ან ტუალეტს ნიშნავს, ფრანგულში კი boutique de coiffeurs , salon de coiffure -ს მნიშვნელობით შემოვიდა (44, 267-276). ასეთივე ფსევდონაგლიციზმებია recordman (რეკორდის მფლობელი), standing (ცხოვრების დონე) (standing of living). ფართოდ გავრცელებული parking აბრევებზე თანდათან იცვლება parage ან parc-auto ან parc-ით, ^{სა}feul [fju] ადგილს იკავებს mazout , რომელიც რუსული წარმოშობისაა. ეს სიტყვა Comité d'études de termes techniques -მა (ტექნიკური ტერმინების შემსწავლელმა კომიტეტმა) შემოიტანა. სიტყვის pipeline-ს ნაცვლად შემოდის oléoduc, tanker -ის ნაცვლად navire-citerne და petrolice; container -ის ნაცვლად conteneur , fall out-ის ნაცვლად უკვე ხშირად ხმარობენ სიტყვას retombées (Le Figaro Littéraire, N 765, tom. 17. 12. 1960). ქიმიური ტერმინი cracking გზას უთმობს craquage -ს. ასევე იცვლება სპორტული ტერმინები: goal keeper - gardien de but -ით შეიცვალა, come-back - retour -ით, referee - arbitre -ით, heading - coup de tête-ით, match-rencontre - parti ან confrontation -ით, sho(t) - tir-ით. აეროპორტებში welcome service -ის ნაცვლად უკვე გვხვდება service d'accueil , cameraman -ის ნაცვლად opérateur, chewing-gum -ის ნაცვლად gomme à mâcher , single -ის ნაცვლად le simple , blue jean-ის ნაცვლად blue jeans ან blues jeans -ის ნაცვლად გვხვდება უკვე treillis bleu (R.Etienneble, Les Lettres Françaises, N 1033, 5.I.) . script-girl-ის ნაცვლად შემოთავაზებულია scriptice , scriptoresse , scripteuse, scripteur (Le Figaro Littéraire, N 876, 2.2. 1963). იგივე ითქმის fair play-ზე, რომელიც შეიცვლება franc jeu loyal , jeu ré-



gulier ან jeu correct-ით (Le Figaro Littéraire, N 276, I.7. 1962)

პრობლემატურია სიტყვის perchman შეცვლა : celui qui tient la perche et suit les mouvements des acteurs avec le micro = ხმის მეორე ასისტენტი რადიოში ან ტელევიზიაში. ამ სიტყვის აღსანიშნავად ენაში უნდა შემოვიდეს perchiste . მაგრამ ეს აღნიშვნა perchiste ენაში უკვე არსებობს და იგი ნიშნავს sauteur à la perche , რაც ხელს შეუშლის მის აღქმას, როგორც „ხმის მეორე ასისტენტი“. ასევე, პრობლემები წარმოიშვა clapman -ის შეცვლისას. (ეს ფილმის გადაღებისას დუბლჰების აღმრიცხველის პროფესიაა). იგი ფრანგულში იცვლება სიტყვიო claqueur , რაც ფრანგულში უკვე ნიშნავს celui, qu'on paie pour faire la claque.

ენიამბლი აქ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლისემიურობის ძალას. მანამდე ფართოდ გამოყენებული ანგლო-ამერიკული სიტყვების ფრანგული სიტყვებით შეცვლის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორცაა პრესა და რადიო, მუდმივად მხარს უჭერს ფრანგული სიტყვების გავრცელებას და ცდილობს გვერდი აუაროს ანგლომანიას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ეტიამბლის მიერ Petit Larousse -ის (მცირე ლარუსის) კრიტიკა. ეს ყველაზე გავრცელებული ლექსიკონია, რომელშიც ეტიამბლის აზრით ძალზე ბევრი ანგლოციზმია.

ენიამბლი გადაჭარბებით აფასებს ფრანგული სკოლის შესაძლებლობებს, სთვლის რა, რომ სკოლას შეუძლია გადაამწყვეტი წვლილი შეიტანოს ჭარბი ანგლო-ამერიკანიზმების აღმოფხვრაში. მაგრამ ასევე აუცილებელია, რომ ენობრივი დისციპლინა დაიცვას ყველა საზოგადოებრივმა დაწესებულებამ, რადგანაც ენაზე დამტყდარმა უბედურებამ ღრმად გაიდგა ფესვები. ვიდრე ფრანგი მოსწავლე ყოველდღე, ცხოვრების ყველა სფეროში უამრავ ანგლოციზმს შეხვდება, მას სჭირდება ლექსიკონი, რომელიც აუხსნის მას მნიშვნელოვან და ხშირად ხმაურებულ სიტყვებს. ეს აუცილებლობა გაითვალისწინა Larousse -მა თავისი ლექსიკონის გამოცემისას.



გამომცემლობა Guillet-Flammarion -ის ლექსიკონები კი, მათ შორის

Dictionnaire usuel par le texte et par l'image (Paris, 1960) .

უფრო ფრთხილად შეუდგა საქმეს. ანგლო-ამერიკანიზმებს საფუძვლიანად გამოირცხავს თავის ლექსიკონიდან Georges Matoré . იგი სპეციალურად უცხოელებისათვის და აგრეთვე ფრანგი მოსწავლეებისათვის არის გათვალისწინებული. ანტორმა ამ ნაშრომისათვის არისტიდის უამრავი ქება-დიდება მიიღო(Le Figaro Littéraire, N 939, 16.4., 1964).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ანგლო-ამერიკული, რომელიც ფრანგულ ენასთან მჭიდრო კავშირში თანააჩსებობს, ფრანგული ენის სტრუქტურას შეეხო. ამ სფეროში უფრო რთულია ანგლო-ამერიკანიზმის დაძლევა, ვიდრე ლექსიკური ელემენტებისა, რომელთა შემჩნევა, როგორც ანგლოციზმებისა, ადვილი იყო. განსაკუთრებით საგანგაშოა კალკების მომძლავრება.

ფრანგული ენის სტრუქტურის ინფიცირების მავალითები სიტყვათწარმოების, ძირითადად კომპოზიტების წარმოქმნით წარმოიღვინება.

სიტყვათკომპოზიტების შექმნა ორი არსებითი სახელის ერთმანეთის გვერდით ხმარების საშუალებით ფრანგულში უკვე რამდენიმე საუკუნეა გვხვდება. იგი ფრანგული ენის სტრუქტურას არ ეწინააღმდეგება. მაგრამ სიტყვათწარმოების ეს საშუალება ინტენსიურად XIX საუკუნის ბოლოდან იხმარება. მისი ასე ინტენსიურად ხმარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ტექნიკის სწრაფი განვითარებაა, რაც ენობრივად ინგლისურის ზეგავლენითაა გამოწვეული. ტექნიკაში იხმარება შეძლებისდაგვარად ერთმნიშვნელოვანი, ზუსტი ტერმინები, რომლებიც სინტაქსური ელემენტების მინიმუმს შეიცავს და არ შეიცავს თანდებულიან ფორმებს. ამრიგად, ფრანგულშიც ადარ იხმარება აქამდე არსებული სინტაქსური შეკავშირების საშუალებები, აპოსტროფიც კი ადარ გვხვდება ზოგჯერ აუცილებელ შემთხვევებში, არამედ არსებითი სახელი უბრალოდ მეორე არსებითი სახელის გვერდით დგას.

სიტყვათწარმოების ეს ტიპი პროფესიული ენებიდან გადავიდა პრესა-



ში ცნობების გადმოცემისას, რასაც აზრის სიმოკლე მოითხოვს, და სიტყვათწარმოების ეს ტიპი საზოგადოების სალაპარაკო ენაშიც დამკვიდრდა.

ამასთან, ფრანგულში ასეთ კომპოზიტივში მსაზღვრელი მოჰყვება მსაზღვრულს. ეს ფრანგული წინადადების აღმავალი ინტონაციითაა განპირობებული, რის მიხედვითაც მასწავლებელი სიტყვათა ჯგუფის, სინტაგმის ან მთელი წინადადების ბოლოშია. სიტუაცია ფრანგულში გერმანულისა და ინგლისურის საპირისპიროა, ე.ი. ინგლისურსა და გერმანულში ჯერ მსაზღვრელია და მერე მსაზღვრელი: გერმანულ Grenzfall-ს ფრანგულში un cas limité შეესაბამება.

კომპოზიტთა გერმანული და ინგლისური თანმიმდევრობა ფრანგულ ენაში უკანასკნელ ათწლეულებში სულ უფრო ხშირად გვხვდება, თუმცა ასეთი პოზიცია არღვევს ფრანგულ ინტონაციას და ამით ენის სტრუქტურას. ამიტომ ინგლისური peace pipe -ს (დაზავება) აღსანიშნავად ტრადიციული calumet de paix -ს გვერდით, რომელიც დათანხმებულით იწარმოება გვხვდება აგრეთვე calumet-paix და paix-calumet.

გვხვდება აგრეთვე ჰიბრიდები, რომლებიც ინგლისური და ფრანგული ელემენტებითაა შედგენილი. მაგალითად, une baby-balance , რომელსაც ამჟღერად უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე un peace-ხეხე -ს. ასეთი ჰიბრიდებია: informations flashes, une robe tremper.

მაკავშირებელი ელემენტების გარეშე აგებული კომპოზიტივის სიუხვის დამადასტურებელია შემდეგი მაგალითები: base-contrôle-avions , baby-confort-avion . ეს ფორმები უადრესად არაფრანგულია.

ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის შინაგანი განახლებისა და გამდიდრების მნიშვნელოვანი საშუალებაა სიტყვათწარმოების აფექსალური დერეგაცია - სიტყვათწარმოება პრეფიქსების ან სუფიქსების საშუალებით.

ენის ამ სფეროშიც, რომელიც აქამდე მხოლოდ ფრანგულ მასალაზე დაყრდნობით ხორციელდებოდა, შეიმჩნევა ანგლო-ამერიკულის ზეგავლენა.

თავდაპირველად შევვხვით პრეფიქსალურ წარმოებას.

ამერიკულში გავრცელებული, წარმოშობით ლათინური პრეფიქსი, super ეფექტურია რეკლამებში: super-stretch (ზე-უხიფათო), trois super bestsellers (სამი ზე-ბესტსელერი), un super hôtel européen (ევროპული ზე-სასტუმრო), les super-grands du cinéma (კინოს ზე-გრანდი, სუპერ-გრანდი).

ფრანგული სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი ფსევდობრეფიქსი auto უპირისპირდება ანგლო-ამერიკულს. Autodidacte (თვითნასწავლი), მაგალითისათვის, ნიშნავს celui qui s'instruit soi-même (ის, ვინც თვით-განისწავლა). ფრანგულში ფეხმოკიდებულ ამ პრეფიქსს აციწრობს ფსევდო-ანგლო-ამერიკული auto. (აქ auto მანქანას ნიშნავს). L'auto-stop, როგორც ეტიამბლი ადგენს n'est pas l'art de s'arrêter soi-même, mais celui d'arrêter l'auto d'autrui (49, 156). ინგლისურში და ამერიკულში სიტყვა auto-stop საერთოდ არ არსებობს, რადგანაც ინგლისურში ვინმესთან დამგზავრების მნიშვნელობით ხმარობენ hitch-hike -ს, ამერიკულში long-hop -ს, ასეთივე ვითარებაა l'auto démolition -ის ხმარებისას. ეს ნიშნავს არა le suicide -ს (მკვლელობა), არამედ un cinetière d'auto (მანქანის სასაფლაოს) ან auto-école -ს (ავტო-სკოლა) - l'école où l'on apprend à conduire une auto (სკოლა, სადაც სწავლობენ მანქანის ტარებას).

ზემოთმოხსენიებული შემთხვევები აყენებს სიტყვათკომპოზიციისა და დერვივაციის გამოიჯნის საკითხს. auto-stop და auto démolition-ში საქმე გვაქვს კომპოზიტთან. Autodidacte და auto-suggestion -ში კი საქმე გვაქვს პრეფიქსებით სიტყვათწარმოებასთან. პრეფიქსი, ანდა, უფრო სწორედ, ფსევდობრეფიქსი auto (თვით) ფრანგულში დამოუკიდებელი არაა, auto (voiture) კი დამოუკიდებელი ელემენტია. სიტყვათწარმოების ორივე სფეროს გამოიჯნის კრიტერიუმი, ამის მიხედვით, სიტყვათწარმოებისათვის გამოყენებული სიტყვათმწარმოებელი მორფემების იზოლირებული (დამოუკიდებელი) ან არაიზოლირებული (დამოკიდებული) ხმარების შესაძლებ-



ლობას ეყრდნობა.

ენიდან პრეფიქსმა auto (თვით) français -ში თავისი ძირითადი ფუნქცია დაკარგა, ამიტომვე წესებსები პრეფიქსი self (თვით) გამოიყენება: le self-service, იგი ხშირად შემოკლებული ფორმითაც le self გვხვდება. თვითმომსახურების სასადილო პარკის Boulevard des Capucines-ზე თავის თავს სუპერლატიური ფორმით უწოდებს le self des selfs -ს.

გვხვდება აგრეთვე le quick-service (სწრაფი მომსახურება). წესებსები სუფიქსითაც შექმნილი self-beauté, (საკუთარი სილამაზე), self-estimate (საკუთარი თავის პატივისცემა), self contrôle (თვითკონტროლი); self-control - ის გვერდით self-gouvernement (თვითკონტროლი) გვხვდება.

მიღწერება აგრეთვე სუფიქსთა დიდი არსენალიც. ანგლო-ამერიკულიდან ფრანგულში გადმოდის რამდენიმე წესებსები სუფიქსი, რომლებიც ფრანგულ სიტყვათა ძირითად ნაწილს - ლექსემასაც კი უერთდება. ისინი ხშირად, ისევე როგორც მათი ძირითადი კომპონენტები ანუ ლექსემები, ენისათვის ზედმეტია.

ფართოდ გავრცელდა სუფიქსი -ing, რომელიც XVII - XVIII საუკუნეებში უკვე გვხვდება ისეთ ინგლისურ წესებსებ სიტყვებში, როგორცაა pudding და meeting. შემდეგ ის გვხვდება საცესებით ახალ სიტყვებში, როგორცაა camping, რომელიც ფრანგულში პოლ რობერის თანამედროვე ფრანგული ენის ლექსიკონის მიხედვით 1905 წლიდან დამკვიდრდა (73). შემდეგ ეს სუფიქსი გვხვდება სიტყვებში - dancing, standing, planning = méthode de travail industriel comportant la prévision, la préparation (Robert), matcing, skating, rating, yachting; caravaning (voyage et séjour en vacance), parking, kidnapping, ამას გარდა, ზმბა (kidnapper), travelling (mouvement de la caméra placée sur un chariot qui glisse sur des rails disposés selon les besoins), training და უკვე მოხსენიებული. fading, anti-fading.

ამ სუფიქსმა, რომელიც უკვე რამოდენიმე ათწლეულია სულ უფრო ხში-



რად გვხვდება ტექნიკურ და სამეცნიერო პროფესიათა ენებში, ახალი ფორმების შემოღებამდე მიგვიყვანა ფრანგულ ფონოლოგიურ სისტემაში. იგი, უპირველეს ყოვლისა, გვხვდება სალიტერატურო და ოფიციალურ ენაში: camping [Kãpiŋ] , smoking [smoŋkiŋ] , meeting [mœtiŋ] .

შემდეგ ეს ბგერა გადმოღებულ იქნა სალაპარაკო ენის ვარიანტებში. შემდეგ ხდება მისი ჩანაცვლება მისი მეზობელი ფრანგული ბგერებით. მაგალითად, smoking -ისათვის გვხვდება წარმოტემის სხვა ვარიანტებს, რომელთათვისაც შესაბამისი ტრადიციებიც ჩნდება : smokingue [-ŋ:ყ] , smokine [-ია] , smokigne [-იქ] , [-იყ] -ის გვერდით (Martinet, La prononciation du français contemporain, Paris, 1945, s.180-182).

რამდენადაც ხშირი იქნება ამ ანგლო-ამერიკანიზმების ბგერით წარმოტემა-მოსმენის საშუალება რადიოთი და ტელევიზორში, იმდენად უფრო სწრაფად აღიქმება და გამოიყენება იგი შემდეგ პროვინციაშიც.

შემდეგი სუფიქსი, რომელიც ანგლო-ამერიკულიდან მოდის, ესაა -er სუფიქსი. იგი აღნიშნავს მოქმედების შემსრულებელ პირს. ამასთან [-ღ:რ] წარმოტემასთან ერთად გვხვდება აგრეთვე [-ღ:რ] წარმოტემაც, რითაც ეს სუფიქსი ავტოტონურ ფრანგულ სუფიქსს -eur-ს უახლოვდება. მეორის მხრივ, -er სუფიქსი აღნიშნავს ინსტრუმენტს (მექანიზმს, ხელსაწყოს), [-ღ:რ] წარმოტემით. პირველ შემთხვევას აქვს ადგილი სიტყვაში quaker [Kwãkœ:r] [kwãkœ:r] -ის გვერდით. Leader [lido:r] reporter [-ღ:რ] , gangster [-ღ:რ] , docker , outsider , speaker [-ღ:რ] [-ღ:რ] -ის გვერდით. მეორე შემთხვევის მაგალითებია სიტყვებში: revolver [-ღ:რ] , scooter , bulldozer , shaker , tender [tãdœ:r] , corner (ფრანგული coup de coin -ის გვერდით). სუფიქსი -er ფრანგულისათვის ზედმეტია, რადგანაც ფრანგულს გააჩნია მთელი რიგი ავტოტონური სუფიქსები, როგორცაა -eur, euse; eur, euse; -ier , -ières; -tier , -tière; -on , -onne ; -ien , -ienne.

როგორც უკვე ვთქვით, ანგლო-ამერიკანიზმების გავლენით ფრანგული ენის სინტაქსში შეიმჩნევა სტრუქტურული ცვლილებები. ბუნებრივია,



მსგავსი გარეგანი გავლენა მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა^{აქ} ენობრივი სისტემის სტრუქტურულ მონაცემებსა და მოთხოვნილებებს შეესაბამება. ეს ფაქტი, რომელიც ეტიამბლს მხედველობიდან გამოორჩა, გვაძლევს იმედს, რომ ზოგი რამ, რაც მას თავის წიგნში გაკრიტიკებული აქვს, მომავალში არ იქნება სტაბილური, ხშირი მოვლენა. ეს ესება სიტყვათწყობას. ატრი-ბუტული ზედსართავები, რომლებსაც ფრანგულ ენობრივ სტრუქტურაში სიტყვის წინა ან მომდევნო პოზიცია უკავიათ, თანდათან, დროთა განმავლობაში მხოლოდ წინა პოზიციაში გვხვდება, თუმცა მსგავს შემთხვევებში უფრო მოსალოდნელი უკანა პოზიცია იყო. France - Observateur-ის 10.09. 1955 წლის ნომერში ნათქვამია: "La scientifique composition de l'idéal équi-page . სწორედ გაზეთის ენა, ისევე როგორც რეკლამის ენა, დაუნდობლად იყენებს ატრიბუტული ზედსართავის წინა პოზიციაში ხმარების შესაძლებლობას ანგლო-ამერიკულის ზეგავლენით და არ აქცევს ყურადღებას დადგენილ წესებს, ასევე L'actuelle situation ინგლისური მაგალითის the present situation -ის შესაბამისად არის შექმნილი. ინგლისური მაგალითის მიხედვით ასევე ხშირად იყენებენ ზედსართავს ზმნიშედის ადგილზე. ამასთან ერთად ფრანგულში პროდუქტიული ხდება ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც დიდი ხანია დაფიქსებას იყო მიცემული. Parlez français -ს დიდი ხნის დამკვიდრებულ ფორმას უერთდება არც თუ ისე დიდი ხანია acheter français , voter démocrate , habillez-vous pratique (49, 189), il écrit économique, ან boire frais manger frais -თან ერთად, vivez gai ან voyager FLI4 , volez KLM.

ბევრი ცვლილებაა თანდებულთა ხმარებაშიც. ეს ცვლილებები ადვილი შესამჩნევი არ არის. საგაზეთო ენა ამის მრავალ მაგალითს გვთავაზობს. სწორი ვარიანტის sur l'initiative , sur commande -ს ნაცვლად სწორია არასწორი ვარიანტი à l'initiative, , à la demande, à temps -ის ნაცვლად in time ან en temps. Une conférence officielle s'ouvrirait les jours prochains სწორი ფორმის ნაცვლად, ინგლისური within the next few days



მაგალითის მიხედვით ცხვდებით აგრეთვე dans les prochains jours . და
 ბოლოს, ხდება მთელი გამოთქმების თარგმნა ინგლისურიდან ფრანგულში;
 ისინი ანტოქტონური ფრანგულის გვერდით რთულად გასარკვევე français -ს
 ქმნის . Je m'appelle Dupont იდიომატური გამოთქმა, ინგლისური my name
 is Smith -ის ნიმუშით mon nom est Dupont -ად იცნა. Que puis - je faire
 pour vous -ს ნაცვლად ხშირად ხმარობენ puis-je vous aider -ს, რაც
 May I help you- კადაკა. (წმინდა ფრანგული და ხშირად ხმარებული მიმარ-
 თვა წერილში არის Monsieur (Madame, Mademoiselle) , რაც ხშირად ინგლისური
 Dear Sir -ის გავლენით იცვლება და უკვე ცხვდებით Cher M. (M. Monsieur -ს
 შემოკლებბა) Dupont ანდა cher ami -ს, თუმცა წერილის დამწერი ზოგჯერ
 ადრესატს არც იცნობს.

Faux amis - ეს ის ფრანგული სიტყვებია, რომლებიც სემანტიკურად
 და ფონეტიკურად გაფართოვდა მათი მსგავსი, ხშირად, ჰომოგრაფიული
 ანგლო-ამერიკული შესატყვისების გავლენის წყალობით. ამ შემთხვევის
 შესახებ კ.გლაზერი (Neologismus und sprachgefühl im heutigen Französisch,
 Giessen, 1930, p.26-27, s.I4) წერს, რომ უცხო, ინგლისური სიტყვა „იმ-
 დენად მკვიდრდება ფრანგულში, რომ იგი კვალს აშინებს ფრანგულ სიტყვას
 და ამით ნაწილობრივ ავიწროებს ფრანგული სიტყვის ძველ მნიშვნელობას“.
 ფრანგულ contrôler-vérifier -ს დაუპირისპირდა იგივე ბგერების შემ-
 ცველი to control - diriger . მისი გავლენით ფრანგულმა contrôler-მ მიი-
 დო ახალი მნიშვნელობა diriger . ინგლისურში იგი ნიშნავს to conduct
 an orchestra , a delegation , ფრანგულში კი diriger un orchestre, une
 délégation . Français -ს მაგალითი გვაქვს სახეზე, როცა ითქმის
 და იწერება conduire un orchestre , une délégation . განსაკუთრებულ
 ჯგუფს ქმნის სიტყვები, სადაც emprunts de sens მოხდა.

მსგავსი შემთხვევაა ფრანგულში საუკუნეების მანძილზე არსებული ზმნა
 entraîner , რომელმაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისური სიტ-
 ყვის to train -ის (წვრთნა, მომზადება) გავლენით მიიღო ახალი მნიშვნე-



ლობა - წერტნა. ატედანაბ ნაწარმოები entraineur (Vgl.H.Scheider, Die Terminologie des französischen fushballspiels. Frankfurter Quellen und Forschungen zur germanischen und romanischen Philogien, Frankfurt/Main, 1938, 596).
 საგსებით შესაძლებელია, რომ ზოგმა ფრანგულმა სიტყვამ, რომელიც აქამდე მხოლოდ რკაბიონალურად გვხვდებოდა, ინგლისურის ზეგავლენით ახალი, უზუალური მნიშვნელობა მიიღოს.

ენობრივი კონტამინაციების ეს სერია, რომელიც ინგლისურ და ფრანგულ ენებს შორის უზუალ კონტაქტითა გამოწვეული, შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ფრანგული ენის დაჭყტყიანების თავიდან ასაცილებლად გადამწყვეტი მუშაობის პირველ ცდას წარმოადგენს ეტიენ დიკის ლექსიკონი (Grand dictionnaire d'americanismes. (Contenant les principaux termes americains avec leur equivalent exact en francais), Paris, 1962, 703 seiten).
 თვითონ ეტიამბლიც ამზადებდა Dictionnaire philosophique et critique du sabir atlantique -ს, რომელიც კრიტიკულად მიუხედავად არასწორსა და ენობრივად გაუმართლებელ ცარიანტებს.

აუცილებელია ფრანგულის ზემოთმოხსენიებული ზეგავლენიდან განთავისუფლება, რადგანაც ყოველივე ეს ენის არსებით სფეროს ეხება. უცხო სხეულები, რომელთა გამოცნობა გრაფიკულად და მოსმენით ადვილია, როგორც წესი, შედარებით ძნელად აღწევს და მკვიდრდება ზოგად სამეცყველო ენაში პროფესიული ენებიდან. მხოლოდ ცოტა მათგანი აღმოჩნდა სტაბილური, რადგანაც მათ მოახერხეს შედწინება ფრანგული ენის ლექსიკური მარაგის ცენტრალურ ნაწილში. ისინი, უგეჯა არ მიემსგავსება ფრანგულს ბგერებითა და გრაფიკულად. ენაში უცხო სიტყვის ინტეგრაციის საზომს წარმოადგენს მისი პროტექტულობა, ანუ რამდენად ახერხებს ეს უცხო სიტყვა ახალი სიტყვების შექმნას სიტყვათწარმოების საშუალებით. მაგალითად, scout -ს თან მოჰყვა scoutisme , რაც რ. ფრენის მიხედვით (Das englische Lehnwort in modernen Französisch. Nach Zeitungserzerplen von I9I(2°0bis 1940. Diss. Z. 1943) 1930 წელს , ა.დოზას მიხედვით კი (Dicti-



onnaire étymologique de la langue française, Paris, 1938.

უკვე 1914 წლისათვის შეიქმნა. ასევე მოჰყვა football -ს footballleur.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, საკმე არ ეხება ანგლო-ამერიკანიზმების აბსოლუტურ უარყოფას. „ბარიერი უნდა შეიქმნას მასიურად შემოჭრის წინააღმდეგ, რომელიც გამდიდრების ნაცვლად აფუჭებს ენას“ (H. Willers, Zur Unterwandenen des Französischen durch Anglizismen. "Lebende Sprachen", Heft I, 1958 •

აუცილებელია, ფრანგულს ჩამოშორდეს ჭარბი ელემენტები, რომლებიც არ ასრულებს სწორ ფუნქციას. ფრანგული ეროვნული ენის შემდგომ ბედს მთელი პასუხისმგებლობით განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის სამუშაო-ლებანი, როგორცაა რადიო, ტელევიზია, პრესა და კინო, რამდენადაც ისინი სულ უფრო და უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს. ახლა, როგორც არასოდეს, ისეა აუცილებელი ენობრივი დისციპლინის და, აქედან გამომდინარე, ენის სიწმინდის დაცვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს ცნებები არ უნდა აგურითთ კონსერვატიზმთან, რეაქციულ აზროვნებასთან ენაში და პურიზმთან.

არ გაამართლა ცდამ, რომ თანამედროვე ფრანგული, რომელმაც ატლუ-ლური საზოგადოებრივი სინამდვილის სხვადასხვა სექტორის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, იგივე საზომით ვზომოთ ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორითაც საუკუნეების წინათ. სადღეისოდ ფრანგული ენის სხვადასხვა ფორმები

გარდატეხას განიცდის.

ყველა, ვინც XVII-XVIII საუკუნეების ენობრივ მიღწევათა სიმალლიდან გადმოხედავს თანამედროვე ფრანგულის წერილობით და ზეპირ ვარიანტებს, კრიზისულ სიტუაციას დაადგენს. მაგრამ, ვინც, ენობრივი და საზოგადოებრივი განვითარების ურთიერთკავშირში კაოგად ერკვევა, ამ აღმოჩენს მრავალ სიანხლეს და ადექვატურს თანამედროვე პირობებთან. მაშინ მისთვის უსაფუძვლოდ იქცევა თანამედროვე ფრანგული ენის კრიზისი

და აშკარა გახდება ორ უკანასკნელ ათწლეულში მომხდარი ცვლილებები ენაში, რაც ახალი ისტორიულ-მემორემდეგებითი ძალების გამორჩენის უძუალო შედეგია.

და მაინც, ენის განვითარება არ უნდა მიგუშვათ თვითდინებით. ახლა, როგორც არასოდეს, ისეა საჭირო ენობრივი სიწმინდის დაცვა და სწორი გამოყენება. ჩვენ, ვისაც კავშირი გვაქვს ფრანგულ ენასთან, მაგრამ არა როგორც ჩვენს მშობლიურ ენასთან, ყოველთვის ფაზილად უნდა ვაღვივებთ თვალყური ამ პროცესებს. კრიტიკის თვალთ უნდა ვიკითხოთ და ვის-მინთ, ე.ი. ყველაფერი როდია კარგი, ნორმას დაქვემდებარებული ფრანგული თანამედროვე თვალსაზრისით, რაც დაბეჭდილი ან ნათქვამი მოადწევს ჩვენამდე. განსაკუთრებით მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენს მოსწავლეებს არ მივაწოდოთ ფრანგული ენის ის ლექსიკური და სინტაქსური სიახლე, რაც ენობრივი სიბეცით ან ანგლო-ამერიკაწიზმის სწობიზმიტაა გამოწვეული. ასეთია ენათმეცნიერის დასკვნა, რომელიც არა მარტო ფრანგული, არამედ ყოველი ეროვნული ენის მიმართ უნდა იქნას გათვალისწინებული და ძირითად პრინციპად აღიარებული.



თ ა გ ი II

ნიშანთა თეორია

უცხო სიტყვათა სესხება და მათი დამკვიდრება მსესხებელ ენაში იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთოდ ენის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით, რომ აუცილებლად დგება საკითხი ამა თუ იმ ენის ზოგადი სისტემის წარმოადგენისა, რათა ნათელვყოთ, თუ რაოდენ თავისებური მთლიანი სტრუქტურაა ენა და როგორ აისახება მასში მის პერიფერიაზე მიმდინარე პროცესები. ენის სტრუქტურის წარმოსადგენად მივმართთ ისეთ ძირითად ცნებებს, რომლებზე დაყრდნობით აიგება ენის ძირითადი განზომილებანი; ესენია: ნიშანი, ცნება, ტერმინი, კონცეპტუალური სისტემები და ბოლოს, რწმენის გამომხატველი წინადადებანი.

ნიშანთა საშუალებით გამოხატვა, ანუ განიშინანება, ნიშნად ქცევა და ნიშანთა გამოყენება ახასიათებს ადამიანის მოქმედების ყველა სფეროს. ადამიანი ნიშნებს იყენებს გონისმიერი განსჯის, ინტუიციურ-მჭიდრეტილობითი, მხატვრულ-ემოქმედებითი თუ პრაქტიკული ქმედების დროს. ნიშანთა სისტემების კვლევა გულისხმობს ნიშნის რაობის დადგენას და განსაზღვრას, ნიშანთა კლასებად და იერარქიის პრინციპით დალაგებას, ნიშანთა სისტემების წარმოადგენა-რეპრეზენტირებას და ამ სისტემათა მოქმედების წესების აღმოჩენა-ჩამოყალიბებას.

ნიშანთა სისტემებს ყოველ დროში შეუწინაღებელი ინტერესით იკვლევდნენ მრავალრიცხოვანი და სრულიად განსხვავებული მეცნიერული და ხელოვნების დოქტრინათა მიმდევარნი: ფილოსოფოსები, ლოგიკოსები, ლინგვისტები, მათემატიკოსები, ხელოვანნი. ნიშანთა სისტემის შესახებ არსებული უზარმაზარი ლიტერატურა მოიცავს ნიშანთა არსისა და გამოყენების განზომილებათა კანონზომიერების მრავალრიცხოვან განსაზღვრას. ამის გამო, უშედეგოა ვეძებოთ რაღაც საბოლოო და ყოველისმომცველი განსაზღვრება ნიშანთა სისტემების მდგომარეობისა და მათი მოქმედების წესთა შესახებ.



რ.ს.პირსი სემიოტიკის, ანუ ნიშანთა ზოგადი თეორიის ფუძემდებელია. მან დიდად შეუწყო ხელი მიმართებათა შესახებ ლოგიკურ-მათემატიკური კონცეფციის განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრთა შერეობა მარტება მოწმდება პრაქტიკის საშუალებით - ასეთია პირსის პრაგმატიზმის ძირითადი დებულება. რ.პირსის თეორიამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა თანამედროვე ლოგიკურ-სემანტიკურ და ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

რ.პირსის სემიოტიკური კონცეფცია მიზნად ისახავდა განსხვავებული თვალსაზრისით შეესწავლა ნიშანთა მოქმედების ყოველი დონე. თავდაპირველად რ.პირსი მიისწრაფოდა შეექმნა ნიშანთა ლოგიკა და სემიოტიკის ლოგიკასთან აიგივებდა; მოგვიანებით პირსის კონცეფცია პრაგმატიზმისაკენ იხრება, რითაც აიხსნება ინტერპრეტანტათა შემდგომი კლასიფიკაცია და ახალი სემიოტიკური დისციპლინის „პრაგმატიზმის“ წარმოქმნა. რ.პირსმა შექმნა თანამედროვე სემიოტიკისა და პრაგმატიზმის (განიშნაინების პროცესის ყოველ დონეზე) ძირითადი დებულებანი. მან პირველმა შენიშნა მნიშვნელობის მრავალგანაყოფი და დაუკავშირა იგი განიშნაინების პროცესის სხვადასხვა საფეხურებს. პირსმა პირველმა აღნიშნა ნიშანთა წარმოქმნის პროცესის უსასრულობა და წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელობის ცვალებადობის მრავალსახეობის თანამედროვე თეორიები. ერთი ცნების ფარგლებში მოემდო ხატაქცევის (იკონიზირების) პროცესი განსაზღვრავს ნიშნის მეტაფორულ ფუნქციას. გარდა ამისა, ნიშნის ფუნქციონირებას რ.პირსმა შეუერთა ინფორმაციის ცნება. ინტერპრეტანტისა და ინტერპრეტატორის, ქვანტორთა და ინდექსთა ცნებები გადამწყვეტი შექმნა პრაგმატიკისათვის. ინტერპრეტანტათა კლასიფიკაციამ საფუძველი ჩაუყარა ენის ადამიანის ქცევაზე გავლენის კვლევას. რ.პირსმა პირველმა დაუკავშირა ინტერპრეტანტისა და მოღალტობის ცნებები ადამიანის ცოდნას და იწინასწარმეტყველა შესაძლო სამყაროთა სემანტიკის წარმოქმნა შესაძლებლობათა პორიზონტისა და სამყაროზე მითითების აუცილებლობის აღმოჩენის საფუძველზე.



სემიოზისი, ანუ ნიშანთა წარმოქმნის პროცესი ჩ.პირსის თვალსაზრისით სამი ტრიქოტომიისაგან (სამად განყოფისაგან, სამწვერიანობისაგან) შედგება. პირველად ტრიქოტომია მოიცავს შემდეგ ნიშნებს: ერთეულ ნიშნებს, რომლებიც აღნიშნავენ წვშმარიტად არსებულ საგანს ან მოვლენას, ზოგად ნიშნებს, რომლებიც აღნიშნავენ არა ერთეულ საგანს, არამედ ზოგად ტიპს; ამასთანავე ერთეული ნიშანი წარმოადგენს ზოგადის ვონკრეტულ გამოყენებას, ანუ მის რეპლიკას. თვისებითი ნიშანი გამოსატყავს ნებისმიერ აღქმად თვისებას. ამ ნიშანთა შორის განსაზღვრული ურთიერთმიმართება არსებობს. პირველი ტრიქოტომია ემყარება და გამომდინარეობს ნიშნის არსიდან.

მეორე ტრიქოტომია ემყარება ნიშნის მიმართებას საგნისადმი და შეიცავს შემდეგ ნიშნებს: ხატისმიერი, ინდექსები და სიმბოლო.

მესამე ტრიქოტომია ემყარება ნიშნის მიმართებას მის ინტერპრეტაციასთან და მოიცავს ტერმინს, წინადადებას და ღასკენას. ტერმინი წარმოადგენს წინადადების წმინდა ფორმას - პროპოზიციულ ფუნქციას.

სამსახა მიმართება ერთმანეთთან აკავშირებს ნიშანს, საგანს და ინტერპრეტაციას. მათგან პირველადია ნიშანი, მეორადი - საგანი, ხოლო მესამე - მაინტერპრეტირებელი აზრი (ინტერპრეტაცია). ნიშანთა მეორადი ტრიქოტომიისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება იმ საშუალებებს, რომლითაც ნიშნები წარმოადგენს თავიანთ ობიექტებს და იმ გნოსელოგიურ შედეგებს, რომლებიც ამ ტრიქოტომიით მიიღება. საკომუნიკაციო აქტი მოლაპარაკედა შორის ნიშანთა საშუალებით ხორციელდება და მას ყოველთვის თან სდევს ერთგვარი რწმენა-იძულება. ეს კი აუცილებლად საჭიროებს დინამიურ ნიშანს. ნიშანი - ხატი, ანუ საგნის ხატოვანი - ცნებითი გამოსატყავა, არ ფლობს ასეთ დინამიურ თვისებებს, იგი ლოგიკურად შესაძლებელ საგანს გადმოსცემს. დინამიურ თვისებას ინდექსი ფლობს. იგი მოლაპარაკე სუბიექტის ყურადღებას მიაქცევს რეალურად არსებულ საგნებზე. ცხადია ქვანტორებიც ინდექსებს განეკუთვნება.

განსხვავებით ნიშან-ხატისა და ინდექსისაგან, სიმბოლოები ჭეშმარიტად პირობითი ნიშნებია, ისინი აიხსნება როგორც რეპრეზენტაციური და როგორც კი ნიშნად ჩამოყალიბდებიან, იძენენ კანონის, ანუ წესის ხასიათს. სუფთა სიმბოლო მოკლებულია ყოველგვარ ხატისმიერ ან ინდექსურ თვისებებს.

გოძინობდა რა მნიშვნელობის არაერთგვაროვნებას, რ.პირსი ანაწევრებს მას და უკავშირებს ნიშნადქცევის სხვადასხვა დონეებს. თვით ნიშნადქცევა ერთი ნიშნის განსხვავებულ ნიშნად ქცევის უსასრულო მომავლისაკენ მიმართულ პროცესად აღიქმება. ვინაიდან პირსი ნიშნის მნიშვნელობას ინტერპრეტანტას უკავშირებს, ამდენად ნიშნის ინტერპრეტანტაც მომავალს ეკუთვნის.

წინადადება-ნიშანი (დიცისიგნუმი) გადმოსცემს ინფორმაციას, რომლის ჭეშმარიტების დირეზუღება დამოკიდებულია დიცისიგნუმისა და მის რეალურ ობიექტს შორის არსებულ ეგზისტენციურ მიმართებაზე. კავშირი სუბიექტსა და პრედიკატს შორის წარმოადგენილია ორ დონეზე: პირველი დონე თვისების ახუ არსის გამოხატვაა, მეორე - ეგზისტენციური მიმართებით გადმოცემული მიმართება რეალურ ფაქტთან. ამგვარად, დიცისიგნუმი - აბსტრაქტული საინფორმაციო სიმბოლოა, ინტერპრეტანტა კი წარმოადგენს მის მენტალურ (გონისმიერ) გამოხატულებას, აბრს. ფაქტთან მისი მიმართება. მყარდება ერთეული რეპლიკის, კონკრეტული ცდის მეშვეობით და გამოიხატება ეგზისტენციური გრაფის მეშვეობით. რეალური ფაქტის გარეშე წინადადება უაზროა.

წინადადება შეიცავს ძალდატანების მომენტს; იგი აიძულებს ინტერპრეტანტას მიემართოს საკუთარ საგანს, ე.ი. წარმოსდგეს როგორც ინდექსი. ამგვარად, წინადადება დისციგნუმი-სიმბოლო-ინფორმაციული ნიშანი ამასთანავე ინდექსიცაა ფაქტთან მიმართებით. ინფორმაციის რაოდენობითი თვალსაზრისით ხასიათდება ტერმინი, წინადადება და დასკვნა.

ჩ.პირსის სემიოტიკაში მნიშვნელობას არ ექცევა სათანადო ყურადღება. სცნობდა რა ნიშნის ბუნდოვან, შემთხვევით ხასიათს და ნიშნით გადმოცემული ინფორმაციის უკმარისობას, პირსი აღიარებდა ნიშნის ინტერპრეტაციის აუცილებლობას ასეთი ბუნდოვნების გამოსარიცხავად.

მნიშვნელობა ჩ.პირსის თვალსაზრისით ხან თვით უშუალოდ ობიექტია, ხან ტრიადული მიმართება, ხან კი მოცემული ნიშნიდან მიღებული ახალი ნიშანი; ნიშანთა გარდაქმნა ახალ ნიშნად ანდა ახალ ნიშანთა სისტემაში მისი გადაყვანა წარმოადგენს ნიშნის ინტერპრეტაციას. სწორედ ინტერპრეტანტს უკავშირებს პირსი ნიშნის მნიშვნელობას. განიშნიანების პროცესი უსასრულოა, მას არა აქვს დასაწყისი, საგანი უსასრულო წარსულში იმყოფება, ხოლო მნიშვნელობა უსასრულო მომავალს განეკუთვნება. განიშნიანების პროცესში საგანი იკარგება, მას ნიშანი ცვლის; მართალია პირსი ინტერპრეტანტს „შემეცნებად აზრად“ სთვლის, ინტერპრეტაციას იგი მიიჩნევს გარე და განუპირობებელ ობიექტიად, რომლის დროსაც ნიშანი იქცევა სხვა ნიშნად ნიშანთა უსასრულო მწყობრში და ინტერპრეტანტს კარგავს თავის შემეცნებით მნიშვნელობას.

ვინაიდან ინტერპრეტანტს არ გამოხატავს მყარ, განსაზღვრულ მნიშვნელობას, ამიტომ პირსი იყენებს საბოლოო ინტერპრეტანტს: იგი აღარ საჭიროებს შემდგომ ინტერპრეტაციას, ე.ი. იგი ნიშანი აღარ არის. განიშნიანების პროცესი, ჩ.პირსის აზრით, ობიექტური, ნიშნის საკომუნიკაციო ფუნქციისაგან დამოუკიდებელი ლოგიკური პროცესია და მას ლოგიკური დასკვნის გამოტანის სახე აქვს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა-ინტერპრეტანტს ლოგიკური თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს, მაგრამ მას არა აქვს კონკრეტული მნიშვნელობა და არ გამოდგებოდა დამაკავშირებელ რგოლად სემიოტიკასა და პრაგმატიზმს შორის. ამისათვის ნიშანს უნდა ჰქონდეს საბოლოო მნიშვნელობა. გამოსავალი ერთია და იგი უნდა მოიძებნოს ნიშანსა და ინტერპრეტატორს შორის ურთიერთობაში, ე.ი. პრაგმატიკაში.



ენიანიდონ ნიშნის ზემოქმედება და ამ ზემოქმედებით გამოწვეული შედეგები სრულიად მრავალფეროვანია, რ.პირსი მიმართავს ინტერპრეტანტათა ტრიქოტომიას. თავდაპირველად იგი გამოიყოფს „უშუალო“, „დინამიურ“ და „საბოლოო“ ინტერპრეტანტას; შემდეგი ტრიქოტომია შეიცავს „ემოციურ“, „ენერგეტიკულ“ და „ლოგიკურ“ ინტერპრეტანტებს. აქედან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ლოგიკურ“ ინტერპრეტანტას, რომელიც თავის მხრივ იყოფა პირველად და საბოლოო ინტერპრეტანტად. პირველადი ინტერპრეტანტა მცენიერულ მიხვედრას და ცარაულს წარმოადგენს და იგი აიძულებს აღამიანს აწარმოოს შემდეგში გონისმიერი ოპერაციები. საბოლოო ინტერპრეტანტა ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: უპირველეს ყოვლისა, იგი როგორც ნიშნობრივი პროცესის საბოლოო შედეგი, უნდა ისწრაფვიდეს მომავლისაკენ. მეორე, ლოგიკური ინტერპრეტანტა ზოგად ხასიათს უნდა ატარებდეს და მის მიერ გამოწვეული მოქმედება ზოგად წესს უნდა ემორჩილებოდეს. მოქმედების ასეთი ზოგადი პირობა ჩვევაა და სწორედ იგი წარმოადგენს ლოგიკური ინტერპრეტანტის აკსს (27, 238). ჩვევით გამოწვეული ქცევა მოცემულ პირობებში მიმდინარე მიზანდასახული მოქმედებაა. საბოლოო ინტერპრეტანტა პირობითი წინადადებით გამოხატული ჭეშმარიტებაა (27, 239).

„საბოლოო“ ინტერპრეტანტის ცნებამ თავის დროზე გაცხადებული კამათი გამოიწვია, თუმცა თვითონ რ.პირსს არ ჩამოუყალიბებია იგი საბოლოოდ და ამომწურავად. პირსი „საბოლოო ინტერპრეტანტას“ თითქმის მაშინვე აიგივებს „უშუალო ინტერპრეტანტასთან“, ხოლო მოგვიანებით – „დინამიურ ინტერპრეტანტასთან“. შემდეგ პირსი მრავალჯერ დაუბრუნდა საბოლოო ინტერპრეტანტის იდეას და აღარ უკავშირებდა მას ჩვევას. იგი წარმოადგინებოდა როგორც უსასრულო ნიშნობრივი პროცესის იდეალური ზღვარი.

რ.პირსის ზოგადი თეორია, ინტერპრეტაციისა და ინტერპრეტანტის ცნება, ღებდო საფუძვლად დამოუკიდებელ სემიოტიკურ დისციპლინას, პრაგმატიკას. ამგვარად, სემიოტიკა, რომელსაც პირსი ლოგიკასთან აიგივებდა, უფრო განზოგადდა. ნიშნის ზემოქმედება ინტერპრეტანტის ცნობიერებაზე



ორგვარად განიხილება: როგორც ცოდნა და როგორც ფიზიკური შემოქმედება (27, 242).

ბ.ფრენგელს მიერ შემუშავებული ფორმალური ენა სრულიად განსხვავდება კლასიკური ლოგიკის ენისაგან და წარმოადგენს ბუნებრივი ენის ახლებურად ანალიზის საშუალებას. თავის ადრინდელ გამოკვლევებში ფრენგელს ჯერ კიდევ ტრადიციული ლოგიკის მეთოდებს იყენებდა. მოგვიანებით, მან მიზნად დაისახა ბუნებრივ ენაზე უარის თქმა, რის მიღწევისათვის იმედოვნებდა ენის, ობიექტსა და მნიშვნელობას შორის არსებულ მიმართებების გარკვევის საშუალებით. საზრისისა და მნიშვნელობის გამოჯენა ხდება პიკდაპირ და ირიბ კონტექსტებში. პიკდაპირი კონტექსტების ჩვეულებრივი მნიშვნელობა (დენოტაცია) გამოეყოფა ირიბი კონტექსტების ჩვეულებრივ მნიშვნელობას. გარდა ამისა, ნიშნის მნიშვნელობა და საზრისის მკაცრად გამიჯნულია ნიშნის სუბიექტური რეპრეზენტაციისაგან. ნიშანთა შორის განსხვავება სამ ღონეზე ხდება: რეპრეზენტაციის პირველ ღონეზე, საზრისის და მნიშვნელობის (დენოტაცია) ღონეებზე (50, 235).

ბ.ფრენგელს ფუნქციურ ფორმალური ენობრივი სისტემის შემუშავებასთან ერთად ღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნიშნის არსის დადგენას, რის გარეშეც მას შეუძლებლად მიაჩნდა კონცეპტუალური აზროვნება. ნიშანი აღნიშნავს განსხვავებულ, მაგრამ ამავდროულად ერთგვარად ერთმანეთის მსგავს საგნებს, ე.ი. მიუთითებს არა ცალკეულ, ერთეულ საგნებზე, არამედ იმაზე, რაც საერთოა მათ შორის, ე.ი. ცნებას აღნიშნავს.

ნიშანს (სახელს, სიტყვათა ჯგუფს, ასოთა სიმრავლეს), გარდა იმისა, რომ იგი აღნიშნავს, და რასაც შეიძლება დენოტაცია (აღნიშვნა) ვუწოდოთ, გააჩნია აგრეთვე მნიშვნელობა, რომელშიც გადმოცემულია თუ როგორ წარმოიდგინება საგანი. სახელსა და ნიშანს შორის არსებული მიმართება საგნის აღნიშვნის ნებისმიერ ხერხთა სიმრავლეს შეიცავს.

აღნიშვნის, ანუ დენოტაციის ცოდნა მოასწავებს ყოველი მნიშვნელობის არჩევას შესაბამისი აღნიშვნისათვის. ბუნებრივი კავშირი ნიშანს, მნიშვნელობასა და აღნიშვნას შორის იმგვარია, რომ ნიშანს შე-



ესაბამება განსაზღვრული მნიშვნელობა, ხოლო ამ უკანასკნელს საზღვრული დენოტაცია; თავიმ მხრივ, ერთი დენოტაცია (ერთი საგანი, ობიექტი) შესაძლოა ერთზე მეტ ნიშანს შეესაბამებოდეს. ერთი და იგივე მნიშვნელობა არა მარტო სხვადასხვა, არამედ ზოგჯერ ერთ ენაშიც კი სხვადასხვანაირად გადმოიცემა. ნიშანთა თანამედროვე სისტემაში ერთი მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს ერთ გამოხატულებას, რაც ბუნებრივ ენაში განუხორციელებულია.

საკუთარი სახელის დენოტაციას თვით საგანი წარმოადგენს. იგი, საკუთარი სახელი, გამოხატავს თავის მნიშვნელობას და აღნიშნავს საკუთარ დენოტაციას. ნიშანი გამოხატავს საკუთარი სახელის მნიშვნელობას და აღნიშნავს მის დენოტაციას. ნიშანს განსხვავებული მნიშვნელობა და დენოტაცია გააჩნია პირდაპირ და ირიბ კონტექსტში (50, I02-I10).

ნიშანთა აღნიშვნა სისტემის სუსტი და ამაცე დროს ძლიერი მხარეცაა. ძლიერია იმიტომ, რომ ნიშანთა გარეშე წარმოუდგენელია კონცეპტუალური აზროვნება, სისუსტეს განაპირობებს ნიშანთა მრავალმნიშვნელობა და ინდივიდის სახელისა და შესაბამისი კონცეპტის განსხვავების შეუძლებლობა. ბუნებრივი ენის წარმმართველი წესები არ არის საკმარისი განსჯის ზუსტად გადმოსაცემად. გ.ფრეგეს მიერ შექმნილ პირველ იდეოგრამფიას უნდა დაეკმაყოფილებინა ლოგიკის მოთხოვნები და ვარგისი გამომდგარიყო ფილოსოფიური განსჯისათვის. ეგვსგარეშეა, რომ ამის გამო ლოგიკური ცნებები უნდა განსხვავდებოდეს ლინგვისტური ცნებებიდან. ფუნქციის მათემატიკურ, ტრადიციულ განსაზღვრაში უგულვებელყოფილი იყო ფორმისა და შინაარსის, ნიშნისა და დენოტაციის (მნიშვნელობის) განსხვავება. ფუნქციის ფრეგესეულ განსაზღვრაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფუნქციური გამოხატულების ანალიზს. ეს კი ფუნქციის ამოცნობის, მისი მნიშვნელობის და საზრისის, ფუნქციითა იგივეობის დადგენის სამუშაოებას იძლევა. ლოგიკური კონცეპტი დაიყვანება განსაზღვრული ჭეშმარიტების დირეხულების მქონე ფუნქცია-



აზე. ფუნქციის ექსტენსია განისაზღვრება ჭეშმარიტების მნიშვნელობის მქონე ერთარგუმენტიანი ფუნქციის მნიშვნელობის არის დადგენით. ზრდის რა ფუნქციათა ასაგები ოპერაციების, არგუმენტებისა და ფუნქციათა მნიშვნელობის სფეროს, ფრეგე გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციებს და ადგენს ცნებათა შესაბამის იერარქიას.

გ.ფრეგეს დოქტრინამ დიდი გავლენა მოახდინა ექსტენსიური ლოგიკის ჩამოყალიბების ეპოქის ფილოსოფიურ აზროვნებაზე. ბ.რასელისა და ლ.ვიტგენშტეინის შრომებთან ერთად ფრეგეს გამოკვლევანი წარმართავდა ანალიზურ ფილოსოფიას. გ.ფრეგეს სიმბოლიკაში ერთმანეთისაგან მკვეთრად იმიჯნება ლოგიკური და ლინგვისტური ცნებები. ლოგიკური ცნებები განსაზღვრავს იმ მინიმალურ პირობებს, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ სისტემა იმოქმედოს გრძნობისმიერ მონაცემთაგან და-მოუკიდებლად. ლინგვისტური ცნებები და მათი საშუალებით განხორციელებული ანალიზი, პირიქით, უნდა ითვალისწინებდეს იმ გრძნობისმიერ მონაცემებს, რომლებსაც ესა თუ ის ენა გვთავაზობს. პირველად თავის გამოკვლევაში „საზრისი და მნიშვნელობა“ გ.ფრეგემ წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ფორმალურ ენათა ანალიზი გამოსადეგია ბუნებრივ ენათა ანალიზისათვის. აქვე, ფრეგეს სხვა ეპისტემური მიზან-ინც ამოძრავებდა: თუ შესაძლებელია, რომ განსხვავებულ იქნას „საზრისი და მნიშვნელობა“, მაშინ შესაძლოა მიღწეულ იქნას განტოლებათა აღრიცხვის შესახებ ცოდნის გაზრდა. მათემატიკურ ეგზისტენციური წინადადების ანალიზს შედეგად მოჰყვა ლოგიკის გადაწყობა ექსტენსიურობის პრინციპის მიხედვით, ხოლო ჭეშმარიტების მნიშვნელობის შემოღება გადატრიალებას მოასწავებდა ლოგიკაში.

„ლოგიკურ ძიებებში“ გ.ფრეგეს პროპოზიციული ლოგიკის საფუძვლებზე გამოჰყავს დედუქციის წესები. ფორმალური ენის აგების პრინციპების ჩამოყალიბებისას ფრეგე უნდობლად ეკიდება ბუნებრივი ენის გამოხატვით შესაძლებლობებს ყველა დონეზე. აზრთა აღრიცხვა ხორციელდება

გრამატიკული პროპოზიციული სინტაქსისაგან დამოუკიდებლად და განისაზღვრება ერთადერთი მოთხოვნით, რაც გამოიხატება ჭეშმარიტების მნიშვნელობის მიწერის აუცილებლობით. აზრი განისაზღვრება როგორც სრული საზრისი, ჭეშმარიტი ან ყალბი; გამოსატყულების მატერიალურ ფორმას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება. თავის ადრეულ გამოკვლევებში ფრეგე საყვედურობდა ლოგიკოსებს, რომ ისინი ძირითადად დაინტერესებულნი არიან ენობრივი პრობლემებით, რომლებიც ამახინჯებს აზრის ლოგიკურ მნიშვნელობას და მიზნად ისახავდა აზრის გამოსატყვის სრულიად განსხვავებული ფორმის შექმნას (ასეთად მას თავისი სიმბოლიკის არითმეტიკული ფორმულების ენა ესახებოდა); ვინაიდან გრამატიკულ სინტაქსს არ ძალუძს აღწეროს რეალური ლოგიკური მიმართებანი, იგი ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან მიმართებებს აზრებსა და მსჯელობას, თანწყობასა და დასკვნის გამოტანას შორის. ლოგიკა, როგორც მეცნიერება, ეძებს ჭეშმარიტი დასკვნის გამოტანის გზებს, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს ჭეშმარიტებას, მას არ აინტერესებს კონკრეტულ წინადადებათა ჭეშმარიტების დადგენა. აზრის შინაარსის ჭეშმარიტების დადგენა სხვა მეცნიერებათა საგანია. აზრთა ლოგიკა ემყარება მათემატიკურ სტრუქტურებს, რომლებიც დამოუკიდებელ აზრებზე განსაზღვრულ ჭეშმარიტების ფუნქციას წარმოადგენს. ასეთია აზრთა ლოგიკის ექსტენსიურობის პრინციპი. გ.ფრეგეს ლოგიკური ძიებანი ბუნებრივ ენასთან ბრძოლის უკანასკნელი ცდაა. მათ გაფანტეს ის მოჩვენებითი ანალოგია, რომელიც თითქოს აკავშირებდა ბუნებრივი ენის წინადადებებს მეცნიერების ენის ფორმულებთან. დღეს ნათელია, რომ რაც იქმნება ბუნებრივ ენაში და გამოიხატება წინადადებებით, არ შეიძლება გაანალიზდეს ექსტენსიური ლოგიკის პრინციპებით. ამ უკანასკნელის მიღმა აღმოჩნდება ირიბი თქმა, პირის ნაცვალსახელები, სხვა დეიტორი სიტყვები და ყველა ის წინადადებები, რომლებიც განუყოფლად არიან დაკავშირებული მნიშვნელობასთან.

გ.ფრეგეს ფუნქციური ენა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კონცეპტთა საფუძვლები იერარქიის მიხედვით; ამ მომენტის გათვალისწინება აუცი-



ცილებელია, ცინაიდან წასესხები სიტყვები მხოლოდ I საფეხურის ენას (საგანთა ენას) როდი მიეკუთვნება; როგორც კი წარმოიქმნება საჭიროება, ენის მარაგი მაშინვე შეიცვლება შესაბამისი განყენებული კონცეპტებით ან საკუთარი შემოქმედების ან წასესხები სახელის ხარჯზე.

ჩ. მოჩისის მიერ შემუშავებული ნიშანთა ზოგადი თეორია ძირითადად ბიჰევიორიზმის დებულებებიდან მომდინარეობს. იგი სამ განზომილებაშია წარმოდგენილი. ესენია - სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა. სემანტიკური განზომილება ასახავს ნიშანთა და საგანთა შორის მიმართებას და შეისწავლის მათ. ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება სინტაქსურ განზომილებაში აისახება და სინტაქსის მიერვე შეისწავლება, ხოლო ინტერპრეტატორთა (მოლაპარაკე სუბიექტთა) დამოკიდებულება ნიშნებთან პრაგმატული განზომილების საგანია და მას პრაგმატიკა შეისწავლის. ამგვარად, სამივე განზომილებას საკუთარი საგანი, ლექსიკონი და მეტა-ენა გააჩნია.

გამოიყოფა ნიშანთა სამი სახე: ინდექსური, მახასიათებელი და უნივერსალური (2I, 5I).

ერთეული (სინგულარული) ნიშანი ერთ საგანს აღნიშნავს და ინდექსის სტატუსით გვევლინება. მახასიათებელი ნიშანი აღნიშნავს რა საგანთა სიმრავლეს, ნაირგვარად უკავშირდება სხვა ნიშნებს, რომლებიც ხსნიან ან აცხებენ მისი ხმარების სფეროს. თუ ნიშანი აღნიშნავს ყველაფერს და მისგან ყველა ნიშანი გამომდინარეობს, მას უნივერსალური ნიშანი ეწოდება.

ყოველი წინადადება შეიცავს ნიშან-დომინანტს და სპეციფიკატორს, ანუ ინდექსურ ნიშნებს, მახასიათებელ ნიშან-დომინანტს და მახასიათებელ სპეციფიკატორს (2I, 52). მათთან ერთად წინადადებაში იხმარება დასახელებულ ნიშანთა დამაკავშირებელი სხვა ნიშნები. დომინანტური ნიშნის არჩევანი განპირობებულია პრაგმატიკული მოსაზრებებით.

ინდექსური ნიშნები ინტერპრეტატორის ყურადღებას მიაქცევენ და-



ნაწიგრებულ გარემოზე, მახასიათებელი ნიშანი-დომინანტი განაპირობებს ერთგვარ ზოგად რეაქციას (მოლოდინს) გარემოს ამ ნაწილთა მიმართ, ხოლო მახასიათებელი სპეციფიკატორები განსაზღვრავს ზოგადი მოლოდინის ზღვრებს; ყოველივეს ერთად განსაზღვრავს ის ამოცანა, რომელიც ინტერპრეტატორმა უნდა გადაწყვიტოს და რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მსჯელობის სახით, რასაც სინტაქსში შეესაბამება წინადადება, ხოლო სემანტიკაში პროპოზიცია.

ჩ.მორისი ბიჰევიორისტი იყო და ამიტომ მრავალი კატეგორია სწორედ დასახელებული მიმდინარეობის ეტრმინებით განისაზღვრება. ასეთია, მაგალითად, რეაქციის, ანუ მოლოდინის საფუძველზე გამონათქვამის ჭეშმარიტების განსაზღვრა და, რაც მთავარია, თვით ნიშნის მნიშვნელობის განსაზღვრა (2I, 65). ამგვარად, სწორედ ბიჰევიორიზმის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ნიშნები სამგანზომილებიანია და უკავშირდება ქცევის სამ სახეობას - აღქმას, მანიპულაციას და დასრულებას. ნიშანი აღმნიშვნელია ანუ დესიგნაციური, თუ იგი აღნიშნავს საგნის ან გარემოს თვალსაჩინო თვისებებს; შემფასებელი - თუ იგი აღნიშნავს საგნის ან სიტუაციის საბოლოო თვისებებს და განმარტებელი, თუ იგი მიუთითებს, თუ როგორ უნდა იმოქმედო სიტუაციაზე, რომ დააკმაყოფილო წარმმართველი იმპულსი (2I, 62, I2I).

აღქმის საფეხურზე ჭარბობს დესიგნაციური ნიშნები, ვინაიდან აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმ სიტუაციის შესახებ, რომელშიც მოქმედებს მოლაპარაკე სუბიექტი. მანიპულაციის სტადიაში ნიშნები ძირითადად აღნიშნავს თუ როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს მოლაპარაკე სუბიექტს ობიექტის ან სიტუაციის მიმართ და ამიტომ, აქ ძირითადი განმარტებელი ნიშნებია, ხოლო საბოლოო ფაზაში - ნიშნები ძირითადად აფასებენ ობიექტის ან სიტუაციის საბოლოო თვისებებს და აქ გადაწყვეტს როდეს შემფასებელი ნიშნები თამაშობს. ნიშნის მნიშვნელობის სამ განზომილებას შეესაბამება სამი სახის ინტერპრეტაცია,



კვლავ სუბიექტის ქცევიდან გამომდინარე.

დესიგნაციურ განზომილებაში რეაქცია ობიექტზე შეესაბამება ობიექტის მიერ თვალსაჩინო თვისებათა საგარაუდო ფლობის ფაქტს.

ობიექტი დადებითად ან უარყოფითად ფასდება შემფასებელი ნიშნებით. განმარტებული ნიშანი განსაზღვრულ რეაქციას გულისხმობს ობიექტის ან სიტუაციის მიმართ. ყოველი ნიშანი უფლებამოსილია იმოქმედოს მნიშვნელობის ყოველ განზომილებაში და ფლობდეს განსაზღვრულ ინტერპრეტაციას (2I, I22-I23).

ნიშნები, ფლობენ რა მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს, (მასტიმულირებელნი, გამაძლიერებელნი, ხედისშემწყობნი), სხვადასხვა კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობას იძენენ, შესაძლოა მნიშვნელობათა დამთხვევა, ანუ თანაკვეთა. ყოველი ნიშანი გამოსატყვისად თვის ინტერპრეტაციას და ინტერპრეტატორიც აღიარებს მას, როგორც ასეთს.

ნიშნის გამონახუებლობითი უნარისა და ემოციური ზემოქმედების გაერთიანება არ არის მიზანშეწონილი და ამ ორი მომენტის განსასხვავებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თვით ობიექტის ზეგავლენა მოლაპარაკე სუბიექტზე; შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ზეგავლენის მოხდენა განსაკუთრებული გამომხატველობითი უნარის მქონე ნიშნებს ძალუძთ. ნიშანთა ხმარება და გამოყენება ხშირად გაიგივებულია ერთმანეთთან.

პრაგმატიკის საგანი ნიშანთა წარმოქმნა, ზემოქმედება და გამოყენებაა. გამოყენების ოთხი სახე არსებობს: ინფორმაციული, შემფასებლობითი, ბრძანებითი და სისტემური. დესიგნაციური ნიშნები იხმარება ინფორმაციულად, შემფასებელნი - შემფასებლად, განმრიგებელი - ბრძანებით-იძულებითად, ხოლო ფორმალური ნიშნები - სისტემურად.

ნიშანთა წარმოქმნის, მათი მნიშვნელობისა და გამოყენების მთელი პროცესი, მისი ყოველი საფეხური შეიცავს პრაგმატულ კომპონენტს, რო-



მელიც ჩაიხსება სინტაქსში, ვითარდება სემანტიკაში და საბოლოო
 ხეს იძენს პრაგმატიკაში. „ენა, ამ სიტყვის სრული სემიოტიკური გა-
 გებით, წარმოადგენს ნიშნისმიერ საშუალებათა ნებისმიერ სიმრავლეს,
 რომელთა ხმარება განპირობებულია სინტაქსური, სემანტიკური და პრაგ-
 მატული წესებით“. ენა ნიშანთა სოციალური სისტემაა, რომლის საშუ-
 ალებითაც გამოიხატება კოლექტივის წევრთა რეაქცია ურთიერთთან და
 გარე სამყაროსთან. ენის გაგება და მისი სწორად ხმარება მოასწავებს
 მიჰყვე ხმარების (სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული) წესებს,
 რომლებიც მიღებულია ადამიანთა მოცემულ ერთიანობაში (2I, 68).

ენობრივ ნიშანს უნდა შესწევდეს უნარი, რომ განზრახ, მიზანდა-
 სახულად იქნას გამოყენებული კომუნიკაციის აქტის დროს. ნიშანთან
 დამოკიდებული მიზნის გაცნობიერება ამ ნიშნის ხმარების ტოლფასია
 და გულისხმობს ამ ხმარებიდან გამომდინარე შედეგთა გააზრებას მეტ-
 ყველგან აქტის მონაწილეთა მხრიდან. ნიშანთა ხმარება განპირობებუ-
 ღია ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

ნიშანთა გამოყოფილი კლასები განსხვავებულად განაპირობებს
 მოლოდინის სხვადასხვა ხარისხს, უმცირესიდან რეფერენციის სიზუსტის
 უმაღლეს ხარისხამდე.

სემიოზისის ქცევისმიერი ფორმულირება ნიშნისმიერი ქცევის ობი-
 ექტური შესწავლისას საშუალებას იძლევა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:
 ეს არის ხუთწევრი მიმართება: V - ნიშანი, W - ინტერპრეტატორი,
 X - ინტერპრეტანტი, Y - მნიშვნელობა (სიგნიფიკატი), Z - კონტექ-
 სტი. V იწვევს W -ში განსაზღვრული რეაქციისადმი (X) განწყობას
 განსაზღვრული ობიექტის (Y) მიმართ გარკვეულ Z პირობებში.

პრაგმატიკის თვალსაზრისით ენის სტრუქტურა - ეს არის ქცევითა
 სისტემა, სადაც ყველა კომპონენტი პრაგმატულ განზომილებაში წარმო-
 გვიღგება.

სემიოზისის, ანუ ნიშნადქცევის (განიშნაობის) პროცესი უშუალოე



დას დაკავშირებული მოქმედების ზოგად სამ პრინციპთან: ინტერპრეტა-
ტორის მიერ ინფორმაციის შეკრება, ობიექტის არჩევა და მასზე კონ-
კრეტული ქცევით ზემოქმედება.

რაც შეეხება მიმართებას ენასა და სინამდვილეს შორის, რ. მორისს
დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ კორელაციური მიმართება სინამდვილესა
და სემიოზისის სამ განზომილებას შორის.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ნასესხები ენობრივი ერთეუ-
ლი, სიტყვა - ნიშანი და მის მიმართ გათვალისწინებულ უნდა იქნას
ყველა ის პარამეტრი, რაც ნიშანს და განიშნიანებას ახასიათებს,
მხოლოდ არა ძირითადი, არამედ მსესხებელი ენის პოზიციებიდან; ამ-
დენად ყველა მოხსენიებული ფაქტორი ერთგვარად გადაეწყობა და აქცენ-
ტები სხვანაირად განაწილდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მოცემულ
ენაში კონკრეტული სიტყვის „კაუზალური“ ისტორია იქმნება. რა თქმა
უნდა, ასეთი პროცესი, ანუ საგნის მიმართება ნიშნისადმი, მსესხებელ
ენაშიც მოქმედებს, მაგბამ არა არსებულ საგანთან სიმრავლის საფუძ-
ველზე, არამედ ასეთი სახელი ონტოლოგიაში შემოსულ საგნს მოჰყვება.
ამდენად, ეს ნიშანი დესიგნაციურია, ანუ აღმნიშვნელი და გააჩნია
მნიშვნელობა, გამოსატული დესკრიფციით ან საკუთარი სახელით.

ამ საფეხურზე არ არის გამოორიცხული შემოსული საგნის სახელდება,
ანუ სახელის დარქმევა მსესხებელი ენის საფუძველზე, რის შედეგადაც
მიიღება დეფინიცია-დესკრიფცია.

სწორედ სახელდების პროცესია განსაკუთრებით საყურადღებო ნასეს-
ხებ სიტყვათა მიმართ, ვინაიდან ნიშნის მიმართების დამყარებისას
მის ინტერპრეტატორთან, ანუ ნიშნის მხმარებელთან, სწორედ მეორე
ტრიკოტომია, ანუ ნიშნის მიმართება საგნისადმი იძენს განსაკუთრე-
ბულ ძალას.

ვინაიდან კომუნიკაცია მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ნიშანთა სა-
შუალებით ხორციელდება, ასეთ აქტს ყოველთვის თან სდევს ერთგვარი

რწმენა-იძულების მომენტი, რაც საჭიროებს და დამახასიათებელიც არის დინამიური ნიშნისათვის; კონცეპტი, ანუ საგნის ხატი, ასეთ დინამიკას არ ფლობს. დინამიური ნიშანი ინდექსია, რომელიც მოლაპარაკე სუბიექტის ყურადღებას რეალურად არსებულ საგნებზე მიაქცევს.

როგორი სახითაც არ უნდა მიმდინარეობდეს კომუნიკაციის პროცესი, ანუ როგორი სახეც არ უნდა ჰქონდეს ამ პროცესის პრაგმატულ გარემოს ინდექსური ენობრივი ნიშანი განზრახ, მიზანდასახულად გამოიყენება.

მოლაპარაკე სუბიექტის მხრივ ენობრივი ნიშანი, ამ შემთხვევაში, ნასესხები სიტყვა, სწორედ ინდექსური, დინამიური მიზანდასახულობით გამოიყენება და მას სდევს იძულება-დარწმუნების, ყურადღების მიქცევა - წესის მომენტი. არ არის გამორიცხული თავმოწონება-სნობობის მომენტი.

მსმენელის მხრივ ნასესხები სიტყვა-ინდექსის ხმარებას თან სდევს შეცბუნება-დაფიქრების მომენტი; მან არ იცის ან არაა მოცემული სიტყვის მნიშვნელობა და საპასუხო რეაქციაც შესაბამისია, რაც გამოიხატება ან სრული გაგებით, ან დაბნეულობით და კომუნიკაციის შეწყვეტით.

კომუნიკაციის აქტს ხასიათის მიხედვით დასაშვებია ნიშნის არაერთგვაროვანი ზემოქმედება და მისი სხვადასხვა მნიშვნელობის საზღვარგარეშე, ზოგიერთ სიტუაციაში შეიძლება სჭარბობდეს ინფორმაციულობა, ზოგ შემთხვევაში შემფასებლობა და ა.შ. მაგრამ როგორი მნიშვნელობაც არ უნდა ახლდეს ნასესხებ ნიშანს, მასში მაინც ძიროთადად ინდექსური, რეკლამური მხარე უნდა ვადიაროთ. ყოველივე ზემოთქმული ეხება ენის სინქრონიულ განზომილებას, ცინაიდან პრაგმატულს-ცენარები-ძიროთადად აქ თამაშდება.

ნასესხები სიტყვის ხმარება ძიროთადად პრაგმატული განზომილებით განისაზღვრება და იგი მოლაპარაკე სუბიექტის ცოდნიდან მომდინარეობს. სუბიექტი, ცხადია, ფლობს განსაზღვრულ ცნებათა სისტემას, ანუ ინფორ-

მაცნას მოცემული (ფართო გაგებით, იტულისხმება როგორც უშუალოდ მო-
ლაპარაკის მიერ ხილული, ასევე სხვადასხვა განზომილებებით წარმოად-
გენილი) სამყაროს შესახებ. ცნება სიტყვიერად გვეცდინება როგორც
განსაზღვრული დესკრიფცია, ან საკუთარი სახელი, და შეადგენს მოცემული
ენის ცნებათა სისტემის განუყოფელ ნაწილს. ცნება სინგულარული (ერ-
თეული) ტერმინის მნიშვნელობას გამოხატავს, გამოყოფს საგანს საგან-
თა უნივერსუმში და წარმოადგენს მას. ცნების საშუალებით ამოიცნობა
საგანი და ღვინდება მისი რაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცნე-
ბა შეადგენს მოცემული ენის ცნებათა სისტემის ნაწილს. ცნებას, სა-
განსა და ცნებათა სისტემას შორის მიმართება ფუნქციონალურია და შე-
მოსაზღვრება ცნების განსაზღვრის არის, ინტენსიისა და ექსტენსიის
ფარგლებით.

მოლაპარაკე სუბიექტის მხრივ მნიშვნელობის ცოდნა ნიშნავს მოცე-
მული ინფორმაციის ათვისებასთან დაკავშირებულ პრობლემათა რიგში
ძალდაუტანებლად გარკვევას, რაც გულისხმობს გამონათქვამთა ჭეშმარი-
ტების ღირებულების დასადგენ ცოდნას და მოცემულ გამონათქვამთა სიმ-
რავლით ათვისუფალ მანიპულირებას.

რეალური საგნის რეფერენტი ინდივიდთა შეთანხმების საფუძველზე
განისაზღვრება ამ საგნის შესაძლო მახასიათებელ თვისებათა სიმრავ-
ლეზე პრედიკაციის საშუალებით. პრედიკაცია საგნის სელექციურ მახა-
სიათებლებს ჩამოთვლის და მოიცავს დადებით და უარყოფით პრედიკატთა
კონიუნქციას. თვისებები მარტივი ან რთული ხასიათისაა და მათი შე-
მოწმება შესაძლებელია უბრალო ჩამოთვლითაც კი. რეალური ობიექტის
რეფერენტი გადმოიცემა საკუთარი სახელით.

შესაძლო საგნის სახელი ისევე განისაზღვრება, როგორც რეალური
საგნისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საგანი მიე-
თითება და განისაზღვრება დესკრიფციითა სიმრავლით, ხოლო პრედიკაციის
არსი იმაში მდგომარეობს, თუ რა სახით წარმოგვიდგენს, როგორ მიუთი-



თებს იგი ობიექტზე. შესაძლო საგნის რეფერენტზე ის ფუნქცია მიუ-
თითებს, რომელიც განისაზღვრება მოცემულ გარემოებათა მდგომარეობის
აღწერით. სხვადასხვა გარემოებათა აღწერაში ერთი და იგივე საგანი
შესაძლოა სხვადასხვა ინტენსიონალური ფუნქციით, სხვადასხვა მნიშვნე-
ლობით წარმოგვიდგეს. შესაძლოა საგანთა შესახებ გამონათქვამებს
ჭეშმარიტების დირექტულების იგივე პირობები აქვს, რაც რეალურ სა-
განთა შესახებ გამონათქვამებს. განსაზღვრული დესკრიფცია შეიძლება
უშუალოდ მიუთითებდეს საგანზე (რეფერენტულად) ან აღწერდეს მას
(ატრიბუტულად). ასეთ მოვლენას განსაზღვრულ დესკრიფციათა რეფერენ-
ტულ და ატრიბუტულ ხმარებას უწოდებენ. დესკრიფციის ადგილის განსაზ-
ღვრა მოცემულ ცნებათა სისტემაში დაკავშირებულია მოცემული დესკრიფ-
ციის de dicto (ატრიბუტული, გიწრო) ან de re (რეფერენტული, ფართო)
სტატუსის დადგენასთან.

დესკრიფციამ შესაძლოა ერთდროულად მიუთითოს კიდევ (რეფერენტულ-
დი ფონი) განსაზღვრულ ობიექტზე და დააფიქსიროს კიდევ მისი მნიშვნე-
ლობა, ანუ ცნება (კონცეპტი). ეს უკვე ინტენსიონალის ფონია.
ორივე მომენტი განიხილება განსაზღვრული სუბიექტისა და განსაზღვრულ
ცნებათა (კონცეპტუალური) სისტემის მიმართ (25, 170-175).

სახელის მიმართება დესკრიფციასთან ერთნაირია როგორც რეალურ,
ასევე შესაძლო ობიექტთა მიმართ. სახელი მიუთითებს საგანზე, დეს-
კრიფცია კი წარმოადგენს ამ საგანს და განსაზღვრავს მას.

ინდივიდის ცნება (კონცეპტი) სახელის მნიშვნელობაა, ხოლო დეს-
კრიფცია - ამ მნიშვნელობის ნაწილი. ვინაიდან კონცეპტი (ცნება) ძი-
რითადად განსაზღვრავს ობიექტის წარმოადგენის სახეს, ამდენად დასა-
შვებია, რომ სახელი, ცნება და დესკრიფციათა სიმრავლე ერთი და იგი-
ვეა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ინდექსალები ისეთი გამოთქმებია,
რომლებიც უშუალოდ მიუთითებს საგანზე, ყოველგვარი ინტენსიონალური
შუამავლის გარეშე. ასეთი თვალსაზრისის ნაკლი იმაში მდგომარეობს,

რომ იგი მთლიანად უბუღებელყოფს იმ სისტემას, რომლის მიმართაც განისაზღვრება ნებისმიერი ინტერპრეტაცია; ყურადღების მიღმა რჩება აგრეთვე განსაზღვრულ დესკრიფციასთან მალული ხასიათი, იმ შემთხვევაში, როცა ისინი ჩვენებით, მითითებით ტერმინებად იხმარება.

განსხვავებული თვალსაზრისის თანახმად, გამოთქმა „ეს არის \mathbb{P} პირდაპირ განუყოფნება პერცეპტუალურ, თვალწინმყოფ სიტუაციას. ასეთი გამოთქმა მხოლოდ აღწუსს ავსს პერცეპტუალურ სიტუაციაში მომხდარ ცვლილებებს და მოლაპარაკე სუბიექტი მარტივად რეაგირებს მოცემულ სიტუაციაზე. ასეთი ენის გამოთქმები ვერ მოახდენს ობიექტთა გამოცნობა-იდენტიფიკაციას და შესაბამისად იგი ვერც მტკიცებებს ჩამოაყალიბებს შესაბამის საგანთა შესახებ; ჩვენებითი გამონათქვამები უფრო სიგნალებს წააგავს, ვიდრე კარგად აგებულ, მნიშვნელობის მქონე პრედიკატულ გამონათქვამს.

საინტერესოა ამ მხრივ რ. პაფლიონისის შეხედულება, რომელიც შესაძლოა ყველაზე მისაღები იყოს ინდექსალთა არსის გარკვევასთან დაკავშირებით (24, 183). ამ ავტორის მიხედვით, ინდექსალური გამოთქმები („ეს არის \mathbb{P} “) ნამდვილად ფლობს ჩვენებით ფუნქციას. ასეთი და მისი მსგავსი გამოთქმები ნამდვილად ემსახურება სუბიექტის მიერ საგნის გამოყოფას, სწორედ ამ სუბიექტის აღქმის საგნად. გამოყოფა კი უკვე ნიშნავს ობიექტის დახასიათებას. საერთოდ, ენის ცოდნა მოასწავებს ენაში მიღებული ნომენკლატურის თანადობაში მოყვანას სუბიექტის მიერ ღანაწიერებულ სამყაროსთან, რაც ნიშნავს კონკრეტული ენის ცნებათა სისტემაში განსაზღვრული კონცეპტუალური სტრუქტურების აგების ენის მეშვეობით. ასეთ ქმედებას საფუძვლად უდევს ენის ე.წ. „მანიპულაციური“ ფუნქცია, რომლის საბოლოო შედეგია ინდივიდუალურ კონცეპტუალურ სქემათა განზოგადება (24, 183). ინდექსალის სპეუალებით მითითება მოასწავებს როგორც „ინდექსური“, ასევე განსაზღვრული დეს-

დესკრიფციული მნიშვნელობის ატებას მითითებული საგნის მიმართ.

დესკრიფცია, რომლის პრედიკატია საზოგადო სახელი და რომელშიც შეიძლება შედიოდეს საკუთარი სახელი ან ინდექსალი, თავისთავად შეიცავს ინდექსურ ელემენტს. არ არის სავალდებულო, რომ დესკრიფციამ ერთმნიშვნელოვნად, ცალსახად განსაზღვროს საგანი. იგი ძირითადად აფიქსირებს გარკვეული სახით განსაზღვრულ ობიექტს; გარდა ამისა, დასაშვებია რეფერენტული და ინტენსინალური ფუნქციის ნაირგვარი კომბინირება, რაც შესაძლებელს ხდის დესკრიფციით გარკვეული სახით განსაზღვრული ობიექტის გამოჩენას განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებული როლით. გინაიდან მოლაპარაკე სუბიექტი ფლობს განსაზღვრულ ინფორმაციას მოცემული ობიექტის შესახებ ცნობილ კონცეპტუალურ სისტემაში, იგი სწორად გამოიყენებს ობიექტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ობიექტი განისაზღვრება არასწორი, არაადექვატური დესკრიფციით. მხოლოდ ერთი პირობით, რომ ის მახასიათებელი ნიშნები, რის გამაერთიანებლადაც ეს დესკრიფცია გვევლინება, მეტ-ნაკლებად უნდა ემთხვეოდეს საერთო სუბიექტურ ცოდნას მოცემული კონცეპტუალური სისტემის ფარგლებში. ასეთი ცოდნის საფუძველზე განხორციელებული ძიება, ადექვატური პრედიკატის ძიება, შეეცაება იმ ადგილს, რაც ეჭირა არაადექვატურ დესკრიფციას.

დესკრიფციის ხმარების კონტექსტს და მოლაპარაკე სუბიექტებს შესწორებანი შეაქვთ კომუნიკაციურ სიტუაციაში და ხელს უწყობენ მითითების ეფექტურად განხორციელებას.

ამგვარად, ენისმიერი გამონათქვამები, მათი სემანტიკა, ინტერპრეტატორები და მათი ფუნქციონირების პრაგმატული კონტექსტი წარმოადგენს ობიექტის ეფექტურად მითითებისა და ამოცნობის, ე.ი. არაადექვატური დესკრიფციის უკუგაღების აუცილებელ პარამეტრებს.

ეს განსხვავება კრიპემ შემოიღო სემანტიკაში. „სემანტიკური რეფერენცია“ მოლაპარაკის მიერ წარმოთქმული გამონათქვამის მნიშვნელობას გამოხატავს.

„მოლაპარაკის რეფერენცია“ მოიცავს მოლაპარაკის განზრახვას და ხმარების კონტექსტთა სხვადასხვა პარამეტრთა სიმრავლეს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკეს განუზრახავს, სურს ილაპარაკოს განსაზღვრულ ობიექტზე, რომელიც მას ამავდროულად მის მიერ გამოყენებული ენის-მიერი გამოთქმის სემანტიკურ რეფერენტადაც წარმოუდგენია. არაადეკვატური დესკრიფციის გამოყენების შემთხვევაში, ობიექტისადმი რეფერირების მიზნით, მოლაპარაკე სუბიექტი, იცის რა შესაძლო კონტექსტთა ზღვარი და მოცულობა, ასწორებს თავის შეცდომებს და აყალიბებს ახალ, წარმატებულ პრედიკაციას. როცა საკომუნიკაციო აქტი შედეგიანად ხორციელდება, სემანტიკური რეფერენცია ემთხვევა მოლაპარაკის რეფერენციას. ს. კრიპკეს მხედველობიდან გამორჩა და არ მიაქცია სათანადო ყურადღება იმ ფაქტს, რომ ობიექტთა მიმართ რეფერენცია და მათი ინტერპრეტაცია უნდა ემყარებოდეს განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემათაგან მომდინარე ინფორმაციას და მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ამ ცოდნის ფლობას (23, 188).

მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ობიექტის ამოცნობა და განსაზღვრა ხდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ნაწილია განსაზღვრული კონცეპტუალური სისტემისა და რომლის შესახებ ცოდნას ფლობს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტი. მოლაპარაკე სუბიექტის ხელთ მყოფი ინფორმაცია ობიექტთა კონცეპტების შესახებ ყალიბდება როგორც სუბიექტის ცოდნა ან აზრი ამ ობიექტთა შესახებ.

კონცეპტი (ცნება) სიტყვიერად გადმოიცემა ან განსაზღვრული დესკრიფციით ან საკუთარი სახელით. კონცეპტი, რომელიც განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემაში შედის, ერთეული (სინგულარული) ტერმინის მნიშვნელობას გამოხატავს განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკისათვის. და სწორედ ამ მნიშვნელობის მიშენებით ხდება ობიექტის გამოყოფა საგანთა უნივერსუმში, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემაზე. გარდა გამოყოფისა, სწორედ მნიშვნელობაზე და-



მოკიდებული საგნის განსაზღვრა-დახასიათება.

განსაზღვრული ინფორმაციის ცოდნა მოლაპარაკე სუბიექტის მხრი-დან მოასწავებს წინადადების ჭეშმარიტების ღირებულების პირობების ცოდნას, გინაიდან ამ შემთხვევაში მოქმედებს წინადადების მნიშვნე-ლობის ცოდნის დაკავშირება ამ წინადადების ჭეშმარიტების ღირებულე-ბის გარკვევასთან.

სახელის მნიშვნელობის დაკავშირება განსაზღვრულ ინფორმაციას-თან, რომელსაც მოლაპარაკე სუბიექტი ფლობს, შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც ობიექტის ამოცნობის კრიტერიუმი; ამგვარად, სახელის მნიშ-ვნელობა უკავშირდება ჭეშმარიტების ღირებულების პირობათა და არა თვით ჭეშმარიტების ღირებულების ცოდნას. ასეთი დაშვება საშუალებას იძლევა, რომ ობიექტის ამოცნობის საკმაო კრიტერიუმად მისი სახელის მნიშვნელობა ჩაითვალოს.

კონცეპტთა „დამთხვევა“ ჰქმნის ენობრივი კომუნიკაციის საფუძ-ველს განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტთა შორის.

ასეთი დამთხვევა განპირობებულია იმით, რომ „კონცეპტი“ არსე-ბობს მხოლოდ განსაზღვრულ კონცეპტუალურ სისტემასთან მიმართებით, რაც გულისხმობს მის კავშირსა და სათანადო მიმართებას სხვა კონცეპ-ტთა სიმრავლესთან. ვარდა ამისა, ასეთი დამთხვევა აუცილებელი პირო-ბაა ბუნებრივი ენის გამოყენებისა, მისი არსებობის დასაბუთება პრაგმატული თვალსაზრისით.

რეფერენტის იგნეციის დადგენა ინდივიდთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით დამოკიდებულია მისთვის დამახასიათებელი თვისებების მიწერაზე და მათი გვერდითობის შესაძლებლობაზე. ობიექტის წარმოდ-გენა დესკრიფციის საშუალებით მოასწავებს მის მიცემასა და ჩართვას ამ კონცეპტუალურ სისტემაში (23, 167). იგი წარმოადგენს ამგვარად მოცემულ ობიექტს სუბიექტისათვის. სინგულარული ტერმინის რეფერენტის ცოდნა არ არის საეაღდებულო ამ ობიექტის შესახებ წინადადების გასა-ბეგბად. საკუთარი სახელის ხმარება წინადადებაში საკმარისა სიახლის

პატარებელი ობიექტის შესახებ განსჯის ასაგებად და მისი შემდგომი ამოცნობა—ღახასიათებისათვის. თუმცა, ობიექტის ცოდნა ამ შემთხვევაში არ არის საცაღდეულო, რეფერენცია ამ ობიექტის მიმართ მაინც ხორციელდება (23, I67).

ენობრივი ნიშნის არსიდან გამომდინარე, როცა ნიშანთა სისტემიდან ენის სისტემაზე გადავდივართ, ნასესხები სიტყვის ტიპი შეიძლება მიჩნეულ იქნას საკუთარ სახელად, ან ერთეულ, სინგულარულ ტერმად, რაც ობიექტულად შეესაბამება მის ინდექსურ ხასიათს, წინაიდან ამ შემთხვევაში ინდივიდუალური კონცეპტის ექსტენსია (ზღვარი) შეზღუდული იქნება.

ერთი ენიდან მეორეში გადასვლა მოასწავებს სამყაროს შესახებ კოდის შეცვლას. სამყარო ადამიანისათვის ერთია, მაგრამ ადამიანები სხვადასხვანაირად ანაწენებენ მას, ე.ი. განსხვავებულ მიმართებაში იმყოფებიან სამყაროსთან და სხვადასხვა ენებით გამოხატავენ სამყაროსადმი ამ მიმართებას. ადამიანთა შორის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს ერთიანი კონცეპტუალური სისტემები, რომლებიც დგინდება ადამიანის მეხსიერებაში, ყალიბდება და მტკიცდება როგორც რწმენა და ცოდნა. ასეთი წინადადებები აერთიანებს ყველა იმ პირობებს, რომელიც ეტება მნიშვნელობას, ენისა და სამყაროს დამოკიდებულებას და გამოთქმათა გააზრებას. რწმენის გამოხატვით წინადადებებში გადმოცემულია მოლაპარაკე სუბიექტის აზრი, შეხედულება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ. რწმენა — ეს არის ყალბი ან ჭეშმარიტი ინფორმაცია რეალურ ან შესაძლო სამყაროს შესახებ (23, I69). რწმენის გამოხატვითი წინადადების ანალიზი გულისხმობს რწმენასა და სუბიექტურ და ობიექტურ ცოდნას შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას, მნიშვნელობის წაჭმოკმინის, შემეცნების და გაგების პროცესებს შორის ურთიერთმიმართების დადგენას და ენის როლის შესწავლას „სამყაროს სურათის“ აგებისას.



თანამედროვე ენათმეცნიერება რწმენის წინადადების ანალიზს უკავშირებს ისეთ რთულ საკითხებს, როგორცაა მნიშვნელობის იგივეობა ანუ სინონიმია ერთი ენის ან ენათშორის დონეზე, ენისმიერი და ენისმიდმა ცოდნის გამიჯვნა, სემანტიკის ანუ მნიშვნელობის თეორიის და პრაგმატიკის, როგორც ენის ხმარების განსაზღვრა. აქვე ადექვატურ თეორიად ყალიბდება ღებულებანი მოლაპარაკე სუბიექტთა ინტუიციის შესახებ. ცოდნა, ანუ გიღებთ ენის იდეალურ მცოდნეს, მოასწავებს მოცემულ ენაში არსებულ ყველა მნიშვნელობით მიმართებათა სიმრავლის ცოდნას. სემანტიკის ინტერპრეტაციული ვარიანტის მიხედვით, საკუთარ სახელებს არ გააჩნია მნიშვნელობა, მათ არ ახასიათებთ სემანტიკური თვისებები და მიმართებები; ვინაიდან მათ არ შეუძლიათ სემანტიკურ ურთიერთობათა დაწყობა, ამიტომ მათგან არ არის მოსალოდნელი სემანტიკური შედეგის მიღება და ამდენად ისინი არ შეიძლება შედოოდნენ ენის სემანტიკურ კომპონენტში; ამდენად რწმენის წინადადებებში ისინი არ შეიძლება შეიცვალოს სინონიმით და ამის გამო რწმენის წინადადებები საკუთარი სახელებისათვის „გაუმჭვირვალ“, „მღვრიე“ კონტექსტს წარმოადგენს.

სემანტიკური თეორიის მეორე ვარიანტში, რეფერენტულ თეორიაში, სინონიმთა ურთიერთჩანაცვლების საკითხი უბრალოდ წყდება იმის დაშვებით, რომ ერთი და იგივე ობიექტი გვევლინება საკუთარი სახელის (სინგულარული ტერმის) რეფერენტად სხვადასხვა გარემოებებში (შესაძლო სამყაროებში). ამდენად, სინონიმთა ჩანაცვლება არ იწვევს რწმენის წინადადების „არაგამჭვირვალე“ კონტექსტად ქცევას, ვინაიდან რეფერენტიც და მისი წარმოდგენის საშუალებანი სრულად არის განსაზღვრული ყველა კონტექსტში (შესაძლო სამყაროში).

ამ ორი ძირითადი სემანტიკური თეორიის არსებობა ასახავს ამ თეორიათა თვალსაზრისით არსებულ შესაბამის დაპირისპირებას რწმენის სემანტიკურ და პრაგმატულ ასპექტს, სემანტიკურ და არასემანტიკურ (სამ-

უაროსმიერ) ინფორმაციას, ობიექტურ და სუბიექტურ მნიშვნელობათა შორის. ასეთი დაპირისპირება მოგვაგონებს კაცის მიერ შემოდებული დიქტონომიას ენობრივ კომპეტენციასა და შესრულებას (პერფორმაციას), შესაბამისად, სემანტიკურ და არასემანტიკურ ინფორმაციას შორის (23, 238).

რწმენის წინადადების ანალიზის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული ენის კონცეპტუალური სისტემა.

ნასესხები სიტყვების სტატუსის გარკვევა გარკვეულწილად უკავშირდება ცოდნის, ყოვლისმცოდნეობის, სინონიმთა შეცვლის, „მკაცრი დესიგნატორის“, გამჭვირვალე კონტექსტისა და ნასესხები სიტყვის ლექსიკურ, სემანტიკურ კომპონენტში ჩართვის საკითხს.

მეტყველების აქტის მიმდინარეობისას, ე.ი. კომუნიკაციის მომენტში, რწმენის გამოხატველი წინადადება ჩვეულებრივ გამოითქვება და გამოყენებული წინადადება გვევლინება როგორც განყენებული მტკიცება სინამდვილის შესახებ შემეცნების ნებისმიერი განხრის თვალსაზრისით. ასეთ წინადადებებზე აგებული თეორია ასახავს სამყაროს მეცნიერულ სურათს (23, 256). ზოგადი რწმენის ასეთ ნაგულისხმებ წინადადებებს შემდეგი სახე აქვს: „ფიქრობ, რომ“, „გულისხმება, რომ“, „გარაუდობენ, რომ“.

რწმენის წინადადება იმპლიციტურად მოქმედებს ყველგან, სადაც გვხვდება რაიმე მტკიცება სამყაროს შესახებ და ეფუძნება განსაზღვრული ენის კონცეპტუალურ სისტემას როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ კონტექსტებში. ამ კონტექსტთა „გამჭვირვალეობა“ დამოკიდებულია „სუბიექტურ“ და „ობიექტურ“ რეფერენციასზე სინგულარული ტერმინის მიმართ მეტყველების აქტის მონაწილე პარტნიორობა მხრივ. კონცეპტუალური სისტემები შეიცავს როგორც მისთვის დამახასიათებელ მნიშვნელობის მქონე სემანტიკურ კომპონენტს, ასევე ისეთ კონცეპტებს, რომლებიც ასახავს მოლაპარაკე სუბიექტთა სოციალურ გამოცდილებას შემეცნების სხვადასხვა



საფეხურზე: სადი გონის, მეცნიერული თეორიის, ან სხვადასხვა ჰიპოთეზების დონეზე.

მოლაპარაკე სუბიექტთა ცოდნის სტერეოტიპები, მიღებული დასახელებულ დონეთა შედეგად, კონცეპტთა წარმოქმნის ისტორიის გათვალისწინებით, ლაგდება ლექსიკონებში (ბუნებრივ ან ხელოვნურ) განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკეთა მხრიდან ამ ენის სემანტიკის სახით, რაც შეადგენს მათი კომუნიკაციის საფუძველს (23, 254), სუბიექტური ან ობიექტური ინფორმაციის სახით, რაც გამოიხატება შესაბამისად ე.წ. მოლაპარაკის ან პროპოზიციული რეჟერენციის სახით.

რწმენის წინადადებათა გარდაქმნა სუბიექტთა შორის რწმენის გამომხატველ წინადადებებად, მოასწავებს ამ წინადადებათა ობიექტივიზაციას, განზოგადებას, ანუ, უფრო ზუსტად, სუბიექტური ცოდნის გამომხატველ წინადადებად გადაქცევას: „A -მ იცის, რომ...“. ასეთ წინადადებათა სიმრავლისათვის ჭეშმარიტების ღირებულების მინიჭება მათ აქცევს ცოდნის გამომხატველ ზოგად წინადადებებად (on said, one knows...).

ამდენად, ცოდნის გამომხატველი სუბიექტური წინადადება ტოლფასია: „ცნობილია, რომ P (წინადადება) ჭეშმარიტია“.

როგორც რწმენის, ასევე ცოდნის გამომხატველ წინადადებებში, მოლაპარაკე სუბიექტის ყოფლისმცოდნეობა შეზღუდულია როგორც ზედაპირული, ასევე სიღრმისეული ინფორმაციის ზღვარის მეშვეობით. ასეთი ინფორმაცია გულისხმობს ენისმიერი და არაენისმიერი ცოდნის გათვალისწინებას მოლაპარაკე სუბიექტთა მიერ.

ასეთი ცოდნით აღჭურვილი მოლაპარაკე - კომპეტენტური სუბიექტი - აუცილებელი პირობაა ენის სემანტიკის როგორც აგების, ასევე მისი რეალიზაციისა და საერთოდ ენის გამოყენების თვალსაზრისით, როგორც გაგების, ანუ ინტერპრეტაციის, ასევე კომუნიკაციის სფეროში.

ამგვარად, ნასესხებ სიწყვათა საკითხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ნასესხები ერთეული

უცხო ამ ენის კონცეპტუალური სისტემისათვის, გინაიდან თვითოეულ კონცეპტს აქვს წარმოშობის ისტორია, რაც ქმნის ე.წ. ისტორიულ ტაგებს (17, 340-376). და აქცევს სინგულარულ ტერმინებს და ზოგიერთ ზოგად სახელს „მკაცრ დესიგნატორად“, რომელიც არ იცვლება არც ერთ შესაძლო კონტექსტში. მოლაპარაკე სუბიექტმა იცის უცხო სიტყვის ხმარებით რომ არღვევს ამ კანონზომიერებას. მაგრამ, მეორის მხრივ, ენის ხმარების პრინციპებიდან გამომდინარე და სამყაროს შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოლაპარაკე სუბიექტი თამამად, უხვად და ერთგვარი თანისმოწონებით ხმარობს უცხო სიტყვას. სამყაროს შესახებ ინფორმაცია გულისხმობს მოცემული საგნის შემოსვლის გზას, მის სახელს უცხო ენაზე და იმ ეფექტს, რასაც ამ სიტყვის ხმარება გამოიწვევს მშობლიურ ენაზე. ეს, როცა საქმე ეხება კომპეტენტურ სუბიექტს; სხვა შემთხვევაში, უცხო სიტყვის ხმარება უბრალო მიზანძვად ან ენის დანაგვიანებად შეიძლება ჩაითვალოს.

სინქრონიის დონეზე უცხო სიტყვა იშვიათად ან სულ არ ირთვება ენის სემანტიკაში და არ ფორმდება შესაბამისი გრამატიკული მახასიათებლებით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონკრეტული ენის შესაბამისი ინსტიტუტები ცდილობენ უცხო სიტყვა კონკრეტული ენის ფარგლებში მოაქციონ, მაშინაც კი იშვიათად მიიღწევა სასურველი შედეგი, ყოველ შემთხვევაში ერთი თაობის მანძილზე. ამ დროს დგება სინონიმთა იგივეობის საკითხი ისე, რომ არ დაირღვეს წინადადების გააზრება და შესაბამისად მისი ჭეშმარიტების დირებულება. თუმცა, ასეთ მკაცრ შეფასებას ეს წინადადებანი მოლაპარაკეთა მხრიდან არ დებულობს, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ხმარება გაუცნობიერებლად მიმდინარეობს და კონტექსტთა „გაუმჭვირვალობა“, ანუ წინადადების ჭეშმარიტების დარღვევა მხოლოდ სპეციალისტთა მსჯელობის საგანია.

ყველა ენობრივი სისტემა იყენებს ბაზისურ კომპონენტს, საიდანაც უშუალო შემადგენელთა წესებზე დაყრდნობით აიგება სიღრმის სტრუქტურა-



რები, რომლებიც ტრანსფორმაციების საშუალებით გარდაქმნება ზედარ-
რულ სტრუქტურებად.

ბაზისური კომპონენტი წარმოქმნის პრეტერმინალურ (ბოლსწინა) მწკრივებს, რომლებიც შედგება კატეგორიებისაგან და შეიცავს ლექსი-
კურ ერთეულთა ლექსიკონს. ამ საფეხურზე ძირითად საკითხს წარმოადგენს
სემანტიკური ანალიზის გზის დასახვა. ასეთ შესაძლებლობას გთავაზობს
კატეგორიული, სუფთად სემანტიკური, თუ რეფერენტული ანალიზის კატე-
გორიები.

ბუნებრივ ენათა სემანტიკური ანალიზისას ფართოდ გამოიყენება
ფუნქციური ანალიზი, მაგრამ, რადგან ბუნებრივი ენა სახელდებითი ენაა,
ამიტომ ფუნქციური ანალიზი სახელს უკავშირდება, რაც ხშირად ძალზე
აძნელებს სახელდების პროცესს, სახელდობრ, ბიძგს აძლევს მრავალმნიშ-
ვნელიანობის წარმოქმნას, ე.ი. სახელდების ერთ-ერთი ძირითადი პრინ-
ციპის დარღვევას და სხვა დარღვევების თავიდან ასაცილებლად წარმოიქ-
მნა, დამუშავდა და გამოიყენება ისეთი ოპერაციები, რომლებიც თვალს
აძევნებს და აკონტროლებს მნიშვნელობის ნებისმიერ გარდაქმნას. ასე-
თებია ზედაპირული და სიღრმული სტრუქტურები, ტრანსფორმაციები, ექს-
ტენსიონალი და ინტენსიონალი, ფუნქცია, შესაძლო სამყაროები და ა.შ.

პრეტერმინალური მწკრივის ლექსიკური ერთეულით შევსების დროს
დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ერთეულებით უნდა შეიგნოს
სათანალო ხის მოცემული მწკრივი: ისეთი კატეგორიებით, რომლებიც საკუ-
თარ თავს ასახელებს, თუ შესაბამისი გამონათქვამი განეკუთვნოს გან-
საზღვრულ ლოგიკურ ტიპს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ძი-
რეულ და წარმოქმნილ კატეგორიებთან.

გამონათქვამებისათვის მნიშვნელობის, ანუ ინტენსიონალის მიწერა
ინტერპრეტაციის არსს წარმოადგენს. პრაგმატულ პარამეტრებთან დაკავ-
შირებით ფართოდება ინტერპრეტაციის არეც და მიიღება ინტორმაციის
მრავალნაირი სახეც, მომდინარე ინდექსებიდან, პრედიკატთა და ობიექ-
ტთა ინტენსიონალიდან, ფუნქციური სიმბოლოებიდან და ოპერატორებიდან.

ბუნებრივ ენაში, ფაქტია, ენათა იერარქიული განლაგება არ იგრძნობა, თუ ენის რომელიმე ფრაგმენტი არ ხდება მიზანდასახული ანალიზის საგანი. ენათა იერარქიული დალაგება საფეხურთა მიხედვით, მოასწავებს განსჯის უნივერსუმის გაღრმავებას და გაფართოებას (28, 134).

ენის საფეხურის მომატებასთან ერთად იზრდება მისი ინტენსიონალობაც და საგანთა ენისაგან დაშორებაც. პირველი საფეხურის ენაში, საგანთა ენაში, მნიშვნელობა და რეფერენცია ერთმანეთს ემთხვევა; უფრო მაღალი საფეხურის ენებში ურთიერთობა საგანსა და მნიშვნელობას შორის რთულ ფუნქციურ აღრიცხვას ემყარება.

ამგვარად, პირველი საფეხურის ენა წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომლის მიმართაც შეიძლება ითქვას, რომ ყველა სიღრმისეული სტრუქტურა ჩართულია დისკურსში ზედაპირული ტრანსფორმაციების მეშვეობით.

ამ ენაზე მნიშვნელობა გადმოიცემა ექსტენსიონალიზა და ინტენსიონალიზის საშუალებით იმგვარად, რომ ინტენსიონალური ფუნქცია გამოგოს შესაბამის ექსტენსიონალს. სივრცის ნებისმიერ მე-*n* -ე წერტილში ინდივიდები რეალური ინდივიდებია და არსებობენ ინდექსთა კვთის ნებისმიერ წერტილში. ფუნქციები ასეთ ენაში პირველი საფეხურისაა, მაგრამ არა აუცილებლად პირველი ხარისხისა. ინდივიდთა მუდმივი ფუნქციები ინდივიდთა საკუთარი სახელებია, ხოლო პრედიკატები ასახელებენ პრედიკატებს. ასეთი ენა არ შეიცავს ისეთ მოდალურ ოპერატორებს, რომლებიც ჰქმნის კონტრაქტუალურ სიტუაციებს, ე.ი. თხოულობს პირობით და კავშირებითი კილოს ხმარებას.

უფრო მაღალი საფეხურის ენები იქმნება ფუნქციათა აღრიცხვის, სახელთა და თვისებათა კლასების, ცნებათა აგების, მოდალური ოპერატორებისა და პროპოზიციული განწყობის გამოთქმათა ხმარების მეშვეობით. ასეთი პარამეტრების მოშველიების აუცილებლობის შესახებ ლაპარაკი გვეკონდა იქ, სადაც გ.ფრეგეს ფუნქციურ ენას ევხებოდით. აქაც



გავიმეორებთ, რომ ნასესხები სიტყვა შეიძლება ენის ნებისმიერ საფეხურს ეკუთვნოდეს.

ბუნებრივი ენა შეიცავს იმდენ ცვლადს, რაც აუცილებელია და საკმარისი იმისათვის, რომ მოიცვას მისი ონტოლოგია (ინდივიდთა და პრედკატთა სიმრავლე). ასეთ ენას საკმაო საშუალებები გააჩნია იმისათვის, რომ განსაჯოს ენისმიერი, ლოგიკური, ფილოსოფიური და ყველა ის პრობლემა, რაც წარმოიქმნება მისი ხმარების პროცესში; ასეთი მოსაზრება აისახა რ.კარნაპის „საგანთა ენაში“, ქუაინის „სემანტიკურ ზესვლასა“ და ზინტიკას სიღრმისეულ და ზედაპირულ ინფორმაციაში და მონტეგიუს მოღალურ ენაში.

ერთი ენიდან სხვა ენაში ერთეულთა გადასვლის ფაქტი, ალბათ, უნდა დაუტყავშირდეს ენობრივი ფარდობითობის, ანუ ენათშორისი შესაბამისობის, უფრო კონკრეტულად, ენათშორისი სინონიმის ცნებას. რაღაც თვალსაზრისით, სავარაუდოა, ზუსტი დეფინიციის დასადგენად, თარგმანის დებულებათა მოშველიებაც. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნასესხებ ერთეულს აქვს ცენდენცია ენაში დამკვიდრდეს, ლექსიკონში შესაბამისი დეფინიციით აღინუსხოს, თუმცა, არა ყოველთვის მოცემული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და გრამატიკული გაფორმებით.

„ენობრივი ფარდობითობის“ პრინციპი თავდაპირველად უორფმა ახსენა და განსაზღვრა კიდევ (65, 143-144). ამ პრინციპის არსი შემდეგში მდგომარეობს. მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტები ისევე ემორჩილებიან ამ ენის ლინგვისტურ სტრუქტურებს, როგორც საგნები მიზიდულობის ძალას. ყოველ კონკრეტულ ენას საკუთარი ავტომატური და უნებლიე სტრუქტურები გააჩნია, რომლებიც ქმნიან ამ ენის ფორმალურ სახეს, მის „გრამატიკას“ ამ სიტყვის ფართო გაგებით. მოლაპარაკე სუბიექტები მოხსენიებულ სტრუქტურათა ხმარების შედეგად გარეგნულად ერთგვაროვან ფაქტებს განსხვავებულად შეაფასებენ, ე.ი. ისინი სამყაროს სხვადასხვანაირად

ხედავენ. თვითმუხლ ასეთ ხედვას, შესაძლოა გულუბრყვილს და ჩამოყვალ-
ლიბებელს, შეუძლია წარმოქმნას სამყაროს ნათელი, გარკვეული მეცნიერ-
რული ხედვა. ამგვარად, თანამედროვე მეცნიერების სამყარო შედგება
გრამატიკის სისტემატური გონისნიერი გააზრებისა, გრამატიკისა, რომ-
ლის საფუძველს დასავლური ინდო-ევროპული ენები წარმოადგენს. ენათა
ამ ჯგუფში და შესაბამის ტერიტორიებზე მეცნიერების წარმოქმნა განა-
პირობა ისტორიული ფაქტების მიხედვით მწკრივმა, რომლებმაც ბიძგი მის-
ცეს ვაგრობის, ზომა-წონის სისტემის, ტექნოლოგიების გამოგონებასა
და გამოყენებას. ხსენებულ ენებზე მოლაპარაკე ადამიანები არ აცნო-
ბიერებენ თავიანთი აზროვნებისა და მიტყვევების არხების ილიომურ,
განსაკუთრებულ ხასიათს. პირიქით, ისინი ამით სრულიად კმაყოფილდე-
ბიან და ისინი ლოგიკურად აუცილებლად მიაჩნიათ. სრულიად საწინააღ-
მდეგო მდგომარეობაში იმყოფება ამ ენაზე არმოლაპარაკე სუბიექტი,
მისთვის დიდი ნაწილი უცხო ენაზე მიმდინარე ინფორმაციისა ხედმეტად
ილიომურად და არალოგიკურად გამოიყურება; ასეთივე მდგომარეობა წარ-
მოიქმნება საზოგადოების ცხოვრებაში ახალი ტექნოლოგიების ან ახალი
ისტორიული მოვლენების დამყარებისას, რასაც უშუალოდ მოსდევს ახალი
ლინგვისტური წარმონაქმნების ჩამოყვალბება არსებულ ენობრივ ბაზაზე,
ან, რაც ნაყოფიერია, შესაბამისი ცნებების გადმოქანა, ანუ ახალი
ერსეულების შემოსვლა სხვა ენებიდან; ეს უკანასკნელი მოვლენა მრავ-
გაღნიანი არხით ხორციელდებოდა ყოველთვის და ხორციელდება ახლაც,
XX საუკუნის ბოლოს, როცა ბაბილონის გოგლის სრულიად საპირისპირო
მოვლენები ხდება, ანუ უნივერსალური ინტეგრაცია, რომელსაც საფუძვლად
უდევს ზესახელმწიფოთა უმადლესი და უმძლავრესი ტექნოლოგიების დაფუძ-
ნება და განვითარება, რასაც თან სდევს მათი პოლიტიკური, სამხედრო
ჭიბველი და ინტელექტუალური ექსპანსიის მცდელობა; ეს უკანასკნელი
ძალზე თავისებური და ერთგვარად ილუმინებული მოცული პროცესია, და ხშირ-

რად მას ქმედების არაპროგნოზირებადი ხასიათი აქვს. ამჟამად მსოფლიოს დიდ ნაწილში გავრცელებულია ინდო-ევროპული ენების საფუძველზე აგებული სამყაროს ასეთივე ზედგა ადამიანის აზროვნების ყველა სფეროში: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ეთიკასა და რელიგიაში.

თუ გავითვალისწინებთ ყველა შესაძლო მომენტს, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საკითხები:

1. რატომ შემოდის ენაში ახალი ცვლადი, თუ მოცემულ ენას გააჩნია სახელი იმ საგნისათვის, რომელიც არსებობს ამ ენის სამყაროში.
 2. საგანი არ არსებობს მოცემული ენის სამყაროში, ამიტომ საგნის შემოსვლასთან ერთად შემოდის მისი სახელიც.
 3. ახალი სახელი უფრო მოხერხებულია, ვიდრე მოცემულ ენაზე ფორმირებული ან საკუთარი სახელი ან დესკრიფცია.
 4. ერთეულის დასაბამ ენას გააჩნია ესპერანტოს ზუნება მისი განსაკუთრებული სისტემის გამო.
 5. თვით ნასესხებ ენობრივ ერთეულს აქვს განსაკუთრებული, ინდექსალური ანუ მითითების ზუნება.
 6. ეს ერთეული განსაკუთრებულ ძალას მუცყველების აქტში იძენს.
 7. ყოველი ახალი ენობრივი ერთეულის ენაში დამკვიდრება მოასწავებს ამ ერთეულის შესაბამისი ცნების ჩამოყალიბებას და მის ჩართვას მოცემული ენის ცნებათა სისტემაში და ამ სისტემიდან მომდინარე - ინფორმაციაში, შემდეგ, აქედან, ამ ენაზე მოლაპარაკეთა ჯერ რწმენასა და შემდეგ ცოდნაში გადასვლას; ახალი ენობრივი ერთეული შესაძლოა დაექვემდებაროს მიმდები ენის მეტაფორული ფუნქციის მოქმედებასაც.
- ცხადია, რომ ენობრივი ფარდობითობა ძლიერ საგრძნობ როლს თამაშობს დროის მოცემულ მონაკვეთში, ახლა, სინქრონიაში, როცა განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკეთათვის ძნელია ამ ფსიქოლოგიური ზღვრის გადალახვა, რომელსაც მათ მშობლიური ენა უქმნის; დიაქრონიაში ეს მომენტი ქრება.
- ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის რაოდენობა

დენობა ძლიერ შეზღუდულია, და, თუ არა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, არა-
გინ ფიქრობს გამუდმებით ამა თუ იმ სიტყვის წარმომავლობაზე.

ამდენად, ახალი სიტყვის შემოსვლას ენაში უფრო მეტად სიტუაციური
და ფსიქოლოგიური მომენტი განსაზღვრავს, ვიდრე წმინდად შიდაენობრივი
პროცესები, თუ, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება ღივ ენობრივ კატაკლიზ-
მებს, მაგალითად, რომანულ ენათა ჩამოყალიბება და ა.შ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხიდან, შესაძლოა გამოვყოთ რამდე-
ნიმე:

1. ენაში ახალი ცვლადის (ან მუდმივის) შემოსვლა განპირობებულია
იმიტომ, რომ მოცემული ენა არ არის მზად ახალი საგნისათვის სახელის
მისაცემად, ან იმიტომ, რომ ეს საგანი არ შედის ამ ენის საგანთა
ონტოლოგიაში, ან იმიტომ, რომ ენამ ვერ მოასწრო ასეთი სახელის შექმნა.

2. უცხო სახელი უფრო მოსაზერებელია, ვიდრე საკუთარ ენაზე არსე-
ბული სახელი, ვინაიდან იგი ინდექსია, და, პირდაპირ, უმოკლესი გზით
მიუთითებს საგანზე ან მოვლენაზე. იგი, თუ მის გაშლას ცდით, შეიძლე-
ბა რეკლამას გვაგონებდეს, მოკლე სცენარითა და ძლიერ გამომხატველი
სხვა კომპონენტებით.

3. ინგლისური ენა, თავისი სისტემის თავისებურების გამო, სულ
უფრო და უფრო იძენს ესპერანტოს ბუნებას.

4. რა თქმა უნდა, ნასესხები სიტყვა განსაკუთრებულ ძალას იძენს
მეტყველების აქტში. ყველა ზემოთჩამოთვლილ ფაქტორს ემატება მეტყველე-
ბის აქტის მონაწილეთა სნობური განწყობილება.

სნობიზმი, არ ცოდნასთან ერთად, ხშირად გადაიწყვეტია უცხო სიტ-
ყვათა ხმარებისას.

აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია იმ სიტყვებზე, რომლებიც რჩება ამა
თუ იმ ენის სისტემაში, ვინაიდან ღია ღერეფის სისტემაში ათასობით
სიტყვა გაივლის ისე, რომ ენაში არავითარ კვალს არ დატოვებს.

ფრანგი ანტონი შ. დიურონი იცნევს რა ფრანგული ენის დამახასიათე-

ბელ თვისებებს სხვა ენებთან შედარებით, ასახელებს ავტორებს, რომელ-
თაც იგივე პრობლემები აინტერესებთ; ეს მომენტი განსაკუთრებით საყუ-
რადღებოა, ვინაიდან დასახელებული ავტორები მოცემულ ენათა მდგომარე-
ობის სხვადასხვა ეპოქებს ეხებიან და წარმოაჩინენ განსახილველ ენათა
იმ მხარეს, რაც მათ განსაკუთრებით საყურადღებოდ ეჩვენებათ. მაგალი-
თად, რივარლი შენიშნავს, რომ „ინგლისურ ენას, რომელიც ინვერსიისად-
მია მიდრეკილი, ახასიათებს ასეთი ენებისათვის ბუნებრივი ბუნდოვნება“
ასეთივე ბუნდოვნებას, ზღვართა წაშლილობას შენიშნავდა სეინტსბერიც
(48, I02).

დიურონი ჩამოთვლის ინგლისურისათვის დამახასიათებელ ინვერტირე-
ბულ კონსტრუქციებს: ა) ზედსართავის ხმარება არსებითი სახელის წინ;
ბ) ზოგიერთ ზმნიზედათა ხმარება ზმნის წინ; გ) საერთოდ მსაზღვრელის
ხმარება საზღვრულის წინ; დ) წინდებულის გადასროლა ზმნის შემდეგ;
ე) მიმართებითი ნაცვალსახელის ხმარება დამოკიდებული წინადადების
არსებითი სახელით გამოსატული წევრის შემდეგ, და აღნიშნავს, რომ ასე-
თი ინვერსია ვერ შესცვლის ენის ლოგიკას, რომელიც ინგლისურში, ისევე
როგორც ფრანგულში, ანალიზურია და პროგრესული, ე.ი. შეესაბამება
სიტყვათა პირდაპირ წყობას.

ინვერტირებულ კონსტრუქციათა გარდა შეიძლება მოვიხსენიოთ მიმარ-
თებითი ნაცვალსახელისა და კავშირის გამოტოვება, განსაზღვრული არტიკ-
ლის ხმარების თავისებურებანი (Do you like cats? - ზოგადი
ხმარება და the cats were mewing - კონკრეტული ხმარება); მაგრამ ეს
თავისებურებანიც არ შეიძლება მივიჩნიოთ დიდი მნიშვნელობის მქონე
მოვლენად (48, I03).

ეს კონსტრუქციები ბევრს ევრაჟერს დააკლებს დისკურსის ერთმნიშ-
ვნელიანობის ღირებულებას, პირიქით, ისინი ჰქმნიან მისი დინების ერთ-
გვარ ტენილობას და ამით თითქოს მიჰყვებიან აზროვნების სინქრონულ
მრავალარხიან სვლას.

ინგლისური ენა, ისევე როგორც ნებისმიერი ენა, ასახავს კონკრეტულ, ამ ენისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიას.

მნიშვნელოვან განსხვავებად ფრანგულსა და ინგლისურს შორის, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ ამ უკანასკნელში ვნებითი გვარის ხმარება (ზოგჯერ ორმაგი ვნებითისაც კი). ფრანგული ენა ასე ჭარბად არ ხმარობს ვნებით გვარს; ამის საშუალებას მას აძლევს განუსაზღვრელი ნაცვალსახელის „on“ და უპირო ნაცვალსახელის „il“ მოხერხებული ხმარება.

ფრანგულისაგან განსხვავებით ინგლისური ჭარბად ხმარობს - ing-იან ფორმებს სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით; ფრანგული ენა ასეთ შემთხვევაში ხშირად infinitif-ს მიმართავს (48, 104). ინგლისური ენა დასახელებული ფორმების საშუალებით აზრებს ერთიმეორის გვერდით აღბეჭდვას, ხოლო ფრანგული მათ ორგანულ მთლიანობაში აერთიანებს. შესაბამისად, იქ, სადაც ფრანგული იდეალურ მთლიან ერთეულს მიმართავს, ინგლისური ფრაზა შესდგება ერთი მეორეზე შეკოწიწებული ენობრივი ერთეულებისაგან.

ფრანგული სინტაქსი უფრო გრძელ ფრაზებს მიმართავს, ვიდრე ინგლისური და თამამად იყენებს როგორც თანწყობას, ასევე ქვეწყობას, მაშინ როდესაც ინგლისური ენა მიმდებარებითი წინადადებებით და მათი დაკავშირების ადგილას ელიფსების, წყვეტილებისა და გაშეორებების საშუალებით ჰქმნის თავისუფალ, მოშვებულ სინტაქსს, რასაც შედეგად მოჰყვება მოჭყნადი გვარი აზრობრივი ბუნდოანება.

ვინაიდან ფრანგულ ენაში სინტაქსური ერთეულის ჩამოყალიბებისას ანალიზი და სინთეზი უფრო შორს მიდის, ამდენად გადასაცემი ინფორმაცია მთლიანად და წვრილმანებშიც მეტად დამუშავებული და ნათელია; ამდენად, იგი მოქნილი, გამჭვირვალე და ადვილად გადასაცემია საკომუნიკაციო აქტის პროცესში, რომელიც შესაბამისად წარმატებით მიმდინარეობს.

ასეთია ფრანგული ენის გენია, რომელიც გვაიძულებს მაქსიმალურად ნათლად გამოვხატოთ აზრი, მაშინ როდესაც ინგლისური, რომელსაც სძულს ცხადად გამოკვეთილი ფორმები, არაერთაზრ უხერხულობას არ განიცდის,

როცა ბუნდოვან სინტაქსურ ბინდში სტოვებს აზრს და არაა მიაჩნია ის სიძნელე, რომელსაც პარტნიორი (კომუნიკატი) შეიძლება შეეჩივოს (48, I05).

ამ ორ ენას შორის განსხვავება აისახება აგრეთვე მათ დამოკიდებულებაში გარე სამყაროს მიმართ (48, I06).

ანტორის აზრით, ინგლისური უფრო ემპირულია, ინსტინქტური და მგრძნობელობითი; იგი ისწრაფვის ისე წარმოდგინოს ფაქტები, როგორც ეს სინამდვილეში ხდება, ხაზი გაუსვას არსთა წარმოდგენის ფიზიკურ მხარეს, მათ ქმედებას. ინგლისური ფრაზა, რომლის გასაგებელი გზა შემთხვევითობიდან აღმოჩენამდე მიემართება, დაკლავნილია ბრიტანული გზების მსგავსად და ერთიმეორის მიმყოლი იმპროვიზირებული შეყოვნების სინთეზი თვით საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა წარმოსახვაში ხდება. ინგლისური ენა, მგრძნობელობით აღსავსე, ასახავს ყველაფერს უშუალოს, მასიურს, რაც, ზოგჯერ, გახლეჩილად წარმოიდგინება უხეშ ცდაში (48, I06)

ფრანგული ენაც მძაფრად გრძნობს, მაგრამ როდი აჭყვება ემოციებს, უფრო ინტელექტუალური, იგი აუცილებლად გარკვეული მანძილის სიშორიდან ჭვრეტს საგანს, რათა შეეშინას მისი სრული, გარკვეული და განსხვავებული ხატი. ფრანგული აზროვნება ერთი წამითაქ არ წყვეტს მოქმედებას ამ ხატის შესატყმნელად და იგი ამისათვის მთელ ცოდნას და წარმოსახვით უნარს იყენებს და ეს ყველაფერი დაგდება თანმიმდევრულად, ლოგიკურად დაწყობილ წინადადებაში. ამგვარად, ფრანგული ფრაზა ბევრად უფრო ნაფიქრია, ვიდრე ინგლისური. იგი სათქმელს ამბობს მეთოდურად, წარმოაჩენს რა საგნის ყველა ასპექტს, იგი მხედველობიდან არ უშვებს მის მთლიანობას. მისი საშუალებით საგანი ხდება მაქსიმალურად გასაგები ყველა მიმართებით. მუდმივ მუშაობას და ქმედებას ამ მიმართულებით თან ახლავს ეკონომიის პრინციპი, რომელიც იჩრევს და განაღებებს, აფართოებს და აციწრებს, რათა უდიდესი შედეგი მიიღოს მინიმალური საშუალებების გამოყენებით. ამის საშუალებას იძლევა ძლიერ მწიფრო

სინტაქსური დისციპლინა, რომელიც განაპირობებს და უზრუნველყოფს წინადადებათა შორის შეგიდულობას და იერარქიას რთული ენობრივი ერთეულების წარმოქმნის პროცესში. მიუხედავად უაღრესად რთული სტრუქტურებისა, (მაგალითად, პრესტი ან ბოსიუე) ფრანგული ენა მარად ნათელი რჩება (48, I07).

ის მოლაპარაკე სუბიექტები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ზუსტად დადგენილ მიმართებებს ზმინასა და წინდებულებს შორის, განსაკუთრებით უფიქრთ იმავე მიმართებათა არსში გააკვირვებენ ინგლისურ ენაში, ცინაიდან აქ წინდებულთა ხმარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

წინდებული აქ, გარდა იმისა, რომ შემოჰყავს წინადადებაში ირიბი და უბრალო დამატება, ზმინის სემანტიკის ნაწილს შეადგენს და მის მნიშვნელობას აზუსტებს. ამგვარად, ინგლისურ ენაში თხუთმეტოდე წინდებულისა და ერთი მუჟა საშუალებით შესაძლებელი ხდება უამრავ ზმნურ მნიშვნელობათა წარმოქმნა და ფუნქციონირება ყოველგვარი დამატებითი დაზუსტების გარეშე. მაგალითად, ძალიან ხშირად, სწორედ წინდებული აღნიშნავს მოქმედებას, ხოლო ზმინა აქ გამოხატულ ცითარებას (მაგალითად; to rub out, to wash out, to wipe out). იქ, სადაც ფრანგული ენა შედგება ხედავს, ინგლისური უპირატესობას მოქმედების მიმდინარეობის ხედავს ანიჭებს (to run in, to rush in, to pop in, to steal in). (48, I08).

